ლიტერატურული გაზეთი

№15 (319) 5 აგვისტო - 1 სექტემბერი 2022 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ნინო მშვიდობაძე

ქარებიანი საკითხავი

ვმარცვლავ კრიალოსანს ოცნებების...
მტკივა...
ნურავინ დამიძახოს: დედა...
ნურავის დავუძახო: შვილო...
ქარდაკრული სევდისფერი არის
ჩემი ყვრიმალები...
ვყვირი...
ვერავინ დამიძახებს დედას...
ვერავის დავუძახებ: შვილო...
უფოთლო ტოტებს ვარხევ აქეთ-იქით,
ვერ ხედავთ, თორემ ზამთრისა ვარ...
განა ვინ დამიძახებს დედას...
განა ვის დავუძახებ: შვილო...
მზერა დამეღალა,
მოურჩენელ დარდებს ვილოკავ...
ვგლოვობ:
მე არ დამიძახებენ დედას...
მე არ დავუძახებ: შვილო...
და მაინც იმარცვლება მუდამ
კრიალოსანი ოცნებების...
ვჯიუტობ:
მეძახიან დედას...
ვჯიუტობ,
ვეძახი: შვილო...

IV

შემდეგი ნომერი
გამოვა 2 სექტემბერს

ბერტრან და ბიმი

ჯაიპურიდან მანქანით წამოვედით და გზად ვხედავ ყველგან ამ გაჭირვებას და არ თავდება და არ თავდება.

რეიჩელი უელსელია, ტაქსისტი სიკჰი ვილისი რიგელი და ღამე ჩამოვიდნენ, ორივე მწერალია და ერთად მივდივართ რეიჩელის შეხვედრაზე.

— ესენი ბოშებია, არა? — ქუჩაზე მოარულ ბლომად ბავშვზე ვკითხულობ.

ერთი, ასე რვა წლისა, გზაჯვარედინზე გამოიქცა დოლით, ოქროს რგოლით ცხვირში და დაჰკრა ნაღარა. იმის დამქაში, ექვსი წლისა კი, გადიოდა მალაყებს გიმნასტივით ამის დაკრულზე — ხუთჯერ, ექვსჯერ მიჯრით, ხელებს იტრიალებდა, რას არ აკეთებდა, ისევ სალტოებს, წინ, უკან, თითქოს ძამპანოს ცირკია და მანქანებს ფულს სთხოვდნენ. ჩამოწიე, ჩამოწიე, რას მიყურებ, ფული მაიტაო. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა, დანა რომ დაგარტყან, სისხლი არ გამოგივა.

რეიჩელს ჰქონდა შეხვედრა ინდოელ სტუდენტ გოგოებთან და სხვადასხვას ეკითხებოდნენ და ესეც უყვებოდა — ეს ცისფერთვალება სხვა სამყაროს გოგო ინდოელ შავტუხა გოგოებს.

ამათ ბრიტანელთა შემოსვლით, შეიძლება ითქვას, ძალიან გაუმართლათ. ადრე, ინდოელი რომ მოკვდებოდა და იმის გვამს დასაწვავ კოცონზე დადებდნენ, იქვე დასვამდნენ იმის ცოცხალ ცოლსაც და ორივეს ერთად დაწვავდნენ.

სატი ერქვა ამას და ბრიტანელებმა აღმოფხვრეს.

ჟიულ ვერნი ვისაც ჯერ კიდევ წაუკითხავს, ემახსოვრება ფიალეს ფოგი რომ ოთხმოც დღეში დედამიწას წრეს არტყამს, ინდოეთში სწორედ ამ სატს გადაეყრება და იმ კოცონიდან პრინცესას გამოიხსნის.

კიპლინგსაც აქვს ერთი მაგარი მოთხრობა, დანტეს ფრანჩესკა და რიმინის ამბავს რომ ადარებს ამას. მოკლედ, წახვალ-წამოხვალ ინდოეთში, ისევ კიპლინგს მიადგები. აი, ახლაც „ხან მარკეტზე“ ვფიქრობ, დელის დუქნების ბაზარზე. შიგ ნახმარი წიგნების დუქანი ვნახე — „ფაკირ-ჩანდ და შვილები“. მოელაგებიათ ბლომად ტომი, კედელთან იყო მთელი დასტები წიგნების მიწყობილი და ორიოდე საათს ისე გაატარებდი შიგ, ვერც შეამჩნევდი. იქ ვიყიდე კიპლინგის კრებული „სამი მუშკეტერი“. ქართულად არ თარგმნილა და რუსულადაც არ ყოფილა ჩემს ბავშვობაში, გარდა ორიოდე მოთხრობისა. სრულიად გამაოცებელი ამბებია სამი ბრიტანელი ჯარისკაცის მეგობრობისა — ირლანდიელის, იორკშირელი გოლიათის და ლონდონელი დიდი ჯიბიდან გავარდნილის. „დინა შედის გულის მოგება“ და „გრინჰოუ ჰილლი“ — ესენიც აქედან არის. ამათი სიყვარულისა და გულის გატეხისა იყო აქ ნაამბობი და აქვე ინდოელი დეზერტირი სხვა სიპაების აყოლას რომ ცდილობს და გამომყევითო, კლდის ბუჩქებიდან ყვირის. ამის ფონზე კი დიდი სევდიანი ამბავი ბრიტანელი ჯარისკაცის პირიდან ნაამბობი და ცრემლები ბლომად მოდის — თეთრკანიანი მსმენელების ცრემლები. აჯანყებული სიპაი კი ისევ ეძახის სხვა ინდოელებს, გამომყევითო და ბოლოს ლონდონელი ორტერისი რომ შეიშრობს ამ ცრემლებს, იმას კარაბინის ტყვიას დააჭედებს შუბლში.

გოგოები კი იცინოდნენ და რეიჩელის თეთრ კანს აღტაცებით უცქერდნენ და ამ დროს ვგრძნობ, აივნიდან ვიღაც მიყურებს. გავიხედე და დიდი მაიმუნი მიცქერს, გაბურძგნილი, თვალი გამისწორა და ძაან უჩვეულო შეგრძნებაა, მაიმუნი თვალს თვალში რომ გაგიყრის. არ იცი, რა ქნა და როგორ მოიქცე, უყურო თუ თვალი მოაშორო. ატყობ, რომ შიში გეპარება და უკვე იმის თვალის გაქცევას ფიქრობ, ამ დროს კი თვითონ წვება ზარმაცად სავარძელზე.

იქვე მანგოს ხიდან გადმოსული მაიმუნი იყო.

შერ ხანი

დილაობით ავოკადო მქონდა საუზმეზე.

ანანასიც იყო დაჭრილი და, თითქოს, მაიაკოვსკის რომ ჰყავს, ბურჟუი გახლდით, ვინ ვიყავი, თან თეთრი შარვლით, თითქოს რიო დე ჟანეიროა. თუმცა იმ დღეს საუზმე ვერ მოვასწარი, რაკი იმ დილით დელიდან ტირუვანანტაპურამში გადავფრინდით. მეტად ძველი ინდური თვითმფრინავი იყო, დელის აეროპორტიც ძველი რემონტისა და ვეება და არ მთავრდებოდა.

ალექსანდრას მძიმე ჩანთა მოჰქონდა და მოვკიდე ხელი და წამოვიღე.

— მთის გიდი, — გაეღიმა.

— არა. თქვენ ქალბატონი ხართ, მე — მამაკაცი. მგონი, ლოგიკურია, გამოგართვათ, — ახლა მე ხო ვიცი, ამათ თავში რაც ტრიალებს.

ერთხელ ერთ გერმანულ კანტორაში ვმუშაობდი და ჩემი უფროსის ოთახში რომ შევედი, მოხუცი კაცი იყო იმასთან ვიღაც გერმანელი მოხელე ჩამოსული და ეტყობოდა, რომ სულ ახლახან ჩამოსულია, სულაც აეროპორტიდან პირდაპირ აქ მოვიდა და ამისგან ინსტრუქციებს იღებს — აბა, რა ქნას და როგორ მოიქცეს.

— აი, ტაქსი მოვიდა, — ამბობს ეს ჰერ პფენინგი და ტელეფონს დებს და ამ კაცს აგებინებს, შენი მანქანა კართან დგასო.

მეთქი, დაგეხმარები ძია-კაცო. ბაბუაჩემის ხელა კაცია, თან უცხო ქვეყანაში, მე, აგე, სუ ჯეელი ვარ, ესა სტუმარია და დავავლე ხელი ამის ჩემოდანს და წავიღე გასასვლელისკენ. ამ პფენინგმა მაშინვე დიაგნოზი დამისვა და მიხვდა, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. იმის ტვინში ხო ვიცი, რაც ტრიალებს. იმას უნდა, ხელფასი უხადოს, კაციჭამია ვირთხა როა ფოთის პორტის კასრში, მე კიდე აგერ ვიღაც დაბალი რანგის მოხელეს ჩემოდანს ვათრევ. ჩემი კარიერა იქ უმალ დასრულდა. დროის ამბავი იყო, ხელშეკრულება როდის გასრულდებოდა და მერე დიდი მადლობა გაწეული სამსახურისათვის და წარმატებებს გისურვებთ მომავალ საქმიანობაში და შენ რომ გგონია, აი, ჯიგრები წარმატებას გისურვებენ და მადლობასაც გიხდიან. ოჯახში ვართ გაზრდილი და წიგნებს გვაკითხებდნენ და ადამიანებად გვზრდიდნენ და არა კარიერისტ ცხოველებად და, ბუნებრივია, რომ ასე იფიქრებ, როცა ფურცელზე გიწერენ ასეთ სიტყვებს, იღებ, რომ ასეც ფიქრობენ. შენ ხომ გგონია, რომ კბილების გამოჩენა და ეშმაკობა ესაა ბანდიტური ცხოვრების წესი, ხოლო როცა 90-იანებში ხარ გაზრდილი და სამსახურში კეთილსინდისიერად მუშაობას ირჩევ, გგონია, აქ ასევე ასეთი არჩევანის მერე მოსული ხალხის თავყრილობაა. თურმე სადა ყოფილხარ.

მოკლედ ახლა ისევ ინდოეთში დავბრუნდეთ და გავიარე დელის აეროპორტი ხელში ამ ჩემოდნით და ისიც შევატყვე, რომ მიხვდა ალექსანდრა, რომ განა ლივრეიან ლაქიამ აიღო მისი ჩემოდანი, არამედ იმისი შვილისტოლა ბიჭმა. პრაღაშია ის გაზრდილი, სოციალისტურ გარემოში და ლივრეიანი ჯეელები იმის რეალობაში არ ყოფილა.

აეროპორტი კი იმხელა იყო, ლამის მთელი რუსთაველი ფეხით რომ გაიარო. გარშემო კი სმოგია ყვითელი. არაფერი ჩანს. ამ სმოგის გამო ვერ გაფრენილან კიდევაც.

ავფრინდით.

ჩემ გვერდით ტიპმა ფეხზე გაიხადა და ასე უწინდებოდ ზის, თითქოს ყანაშია.

ყავად კი ჰქონდათ მგონი ყავა „პელე“, თუმცა ხედი იყო საოცარი და ჩანდა ჩაის პლანტაციები და ჯუნგლები და იმ ჯუნგლების მდინარეები და მთები ამათ შუა კლდიანი და არც მაღალი, მაგრამ ველური და ტბები შიგ ჩაყრილი, საცა სიცხეში ცხოველები იკრიბებიან და გვალვაში ჯუნგლების კანონიც ცხადდება, რომ ნადირობა აილაგმოს წყლის სასმელთან. ოდენ შერ ხანი არღვევს ჯუნგლების კანონს.

ძალიან დიდი სილამაზე ჩანს თვითმფრინავიდან, თვალს ვერ მოწყვეტ. ჩვენ ხომ ესე გაგვზარდეს, რომ საქართველოა ყველაზე ლამაზი ქვეყანა. მარტო აქაა სილამაზე. სხვაგან არაა. ის კი არა, რომ საქართველოც ძაან ლამაზია და სხვაგანაც ბევრია სილამაზე. არა, ამისთანა ლამაზი მეორე არაა. მაგრამ გავიზარდეთ და ევროპა ვნახეთ, ალპებიც ვნახეთ. აგე, ინდოეთიც ვნახეთ და ყველგანაა სილამაზე. ღმერთმა რომ საქართველო გააჩინა, პაკისტანიც გააჩინა და ისევე უყვარს, მარა, არა, ჩვენ ხომ რაღაც გამორჩეულად ვუყვარვართ. რუსთავის ეკლესიაში ვნახე ერთხელ დისკი, ხედებია საქართველოსი და სათაურად ჰქონდა „ქრისტეს დედულეთი“. მართლა ესე ერქვა. გაგახსენდება ერთი ერი, თავს გამორჩეულად რომ თვლიდა და გოლანის სიმაღლეებიდან მკვდარი ზღვის კიდემდე ესწრაფოდა გადაჭიმვას და მერე ადგა და თორმეტიანი ლურსმნებით მიაჭედა ღმერთი ჯვარზე. ელიავაზე რომ თორმეტიანი ლურსმნებია, კილო ექვსი ლარი, იმ ლურსმნებით. ამბავიც ხომ იმისთვისაა, დასკვნა გამოიტანო, მაგრამ როცა შენ შენებურად გინდა? როცა გადაგიწყვეტია, რომ ქრისტე ღმერთი მეორედ მოსვლისას ქართულად ილაპარაკებს?

ლუარსაბ თათქარიძე

გზაში კი რას არ ნახავ, თუნდაც მეწაღეს, და უფრო სახალხოდ საპოჟნიკსა, რომ იტყვიან, პირდაპირ ქუჩაზე გაუშლიათ ნაჭერი, ზედ ფეხმორთხმით მომსხდარან და აფინაჩებენ დასაკერებელს. დიდი რკინის ჩაქუჩიც ედო ერთს ზედ. იქნებ ჭიანჭველების მოსაკლავად, მალიმალ რომ გამოჩნდებიან და დიდები და წითლებია.

გარშემო კი ქუჩა გრძელდება თავისი ცხოვრებით და დაქრიან და გამოქრიან ნაირგვარი ავტობუსი და რიქშა, აბრებიც ნაირგვარი ჩანს, ნესტან-დარეჯანისა და ტარიელიც არაა ერთი და ისიც აქებს და ადიდებს რაცხა გასაყიდს.

მამის გამოკრული სურათი კი ერთხელაც ვნახე, უკვე ფერადი და დიდი წითელი წერტილით შუბლზე და გალანტერეის მაღაზია იყო მეტად მოვლილი.

ლატარიის გასაყიდი დახლებიც არ ილევა ქუჩაზე და ბლომადაა, მეტად ბლომად და ზედ ამათი სპილო ღვთაება განეშა, იმის ნახატი, დაედგათ, აქაოდა, იყიდეთ და ბედის ღმერთი არ დაგტოვებთო. განა, ჩვენთან ღმერთს სხვანაირად უყურებენ?

და საერთოდაც, ივერთ ქვეყანაში დღეს განა ქრისტე ღმერთი უნდათ. უნდათ ალადინის ლამპარი, რომ როცა რამე დაგჭირდება, იმას ხელი მოუსვა და იქიდან ჯინი ამოფრინდეს და შენი კაპრიზები შეასრულოს. ოღონდ მერე უკან უნდა ჩაძვრეს, თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ახლა შარმან შეიხში, თუ რაც ჰქვია, კოტრიალში ხელი თუ შემიშალა, ასეთი რად მინდა, სურვილები შეასრულოს და მერე ისევ ლამპაში ჩაძვრეს.

ქუჩაში კი ქოქოსსა ყიდიან გრუზავიკიდან თითქოს და ჭარხალს. რა არ ჩანს — წარწერა მრავალი, დედა ტერეზას სასწავლებელი და გვერდით სასტუმრო „კრიშნა“, ამათ აქეთ წიგნების დახლია და გამოულაგებია აქაურ მეწიგნეს მარკესი, რაჯანი, ჰოპკინსი, თუმცა ამ ორი ბოლოსი ვერაფერს მოგახსენებთ.

იმის წინ ულვაშ-ქილვაშიანი პოლიციელიც მეტად კარგი სანახაობაა და სვისტოკიც რაღაც სხვა ზომისა და აგებულებისა აქვს.

ყველაზე მეტად ქუჩაზე რამაც გამაოცა ეს იყო საარჩევნო სჯა-ბაასი. შუა ტროტუარზე პლასტმასის თეთრი სკამები გამოედგათ, რიგადაც გაეწყოთ, ავტობუსის გაჩერებასაც გადმოსდენოდა და შარაგზის ნახევარიც მსმენელებით გაევსო და საღღაც მიკროფონიდან ისმოდა დაპირებები და კერალას კომუნისტური პარტიის ხმა აღუთქვამდა უკეთესობას. ამას რომ გაუყვებოდი, ახლა უკვე სხვა პარტია და იმის კაცი იდგა და კაშნედ ინდოეთის დროშა შემოეხვია და ნარენდრა მოდის პარტიის კაცი და იმის ქადაგება იყო.

ინდოელი კაცები კი ბლომად ჩამომდგარიყვნენ და ჩვენთან რომ იციან, სადმე ბორდიურზე რომ ჩამოჯდები, ერთი ჯეელი პირდაპირ ასფალტზე იწვა და ასე ბაასობდა. კარგად ჩაცმული, სუფთა სამოსით, ის დანარჩენებიც მოწესრიგებულ იერზე. განა ან იდაყვი ჰქონდა თავქვეშ შეშველებული, ან მუხლები მოკეცილი, არაფერი მსგავსი, პირდაპირ იწვა ასე ზურგით. ჰა, ხელს გააქნევს, საუბრის მეტი ექსპრესიისთვის და ის დანარჩენი მეინახენიც, თითქოსდა, აბა, რა მოხდა, ესაუბრებოდნენ. გარშემო კი ცხოვრება მიქრის — რიქშები, ავტობუსები, მოტოციკლეტები, ცხენი, ეტლი. მართლაცდა რა მოხდა, დაიღალა კაცი და წამოწვა.

„მაკირ“

„ტუკ-ტუკი“ გავაჩერე და ატაკალის ტაძრისკენ მივდივარ. მიყვარს რიქშით მგზავრობა, გზად რას არ ნახავ. თუნდაც კაცს მწვანე თუთიყუშით, სადჰუს იერზე იყო და მკითხაობდა და ძალიან ბრძნულად იხედებოდა, თან ხელს მიქნევდა — მოდი, მოდი აქო. „კრასივი ვ ამერიკუ პაეძეშ“ — ჩვენთან ზემელზე რომ ბოშა ქალები ბანქოს ქაღალდს ატრიალებენ ხელში, რაღაც ამნაირია აქაც. ბიძას კი ბლომად ბანანი დაულაგებია ველოსიპედზე და ეს ხელით მოჰყავს. თუმცა რაღა ბანანი, ერთ სხვას ოთხი ტომარა უდევს. დიდი ტომრები როა, ფქვილის, და ისინი მოაქვს ასევე კაჩკასავით. მოძრაობაა საგიჟეთი. დათმობით არავინ უთმობს და დასწრებაზეა, ვინ სად შეძვრება, თუმცა არავითარი ავარია არ ხდება. ბევრნი რომ მოგროვდებიან, ჯიქურ მიდიან და არღვევენ ხაზს, ავტობუსი თუ შემოეშველათ, ხო მთლად უკეთესი. ბევრი არ გვივლია, სულ სამოცდაათი რუპია მომთხოვა რიქშამ და მივადექით ამათ ინდუისტურ ტაძარს.

ეზოში უკვე ყველა ქოშს იხდიდა და ღობეებთან, ხან იქით, ხან აქეთ, აწყობდა და ფეხშიშველა დაბანდალებდა და ტაძარშიც შედიოდა. ახლა იმის იერისა და მოყვანილობისა ბევრი რა გითხრათ. შესასვლელში ორი ქვის სპილოა, ორ ფეხზე დგას. ამათ თავზე კი იწყება, რაც იწყება, გადახურვის ფრონტონებსა და კარნიზებზე, შემდეგ ზევით და დაფარულია ფიგურებით. ჭყეტელა ფერებია და ნაირგვარი საზოგადოებაა. ნაირგვარი ღმერთები. იმათ გამორჩევას ვინ დაიწყებს და ასე დაჰყურებენ ზევიდან. ზეციური ინდოსტანიდან.

სანამ ამას კარგად დავაკვირდებოდი, აქეთ წიგნების თაროები შევნიშნე და იქით გავწიე. ყდები ჩანს ზედ წარწერებით „ჰარმონია“. ზოგს იოგი ახატია ლოტოსის პოზაში და ზოგსაც ოდენ წვერებიანი კაცი.

ამ საუნჯის გამყიდველი კი კაცია მეტად მნიშვნელოვანი იერითა და გამოხედვით. ასეთი პირველად ვნახე, რაკი შუბლზე, გარდა წითელი დიდი წერტილისა, ძაან დიდი ყვითელი ლაქა აქვს და იმაში კიდევ ერთი წითელი და მესამე თვალი თუა.

იგივე ნახატი ტანს ზევით შიშველ მკერ-

აბო იაშაღაშვილი

სპარაპეტას ხალიჩა

ფრაგმენტები მომავალი რომანიდან



დზეც აქვს და მოსასხამად კი რაღაც ყვითელი აცვია. ეს უკვე სადჰუების სამოსია და ეს კი განდეგილი კაცი გამოდის.

ისევ ღობესთან დადგომა ვამჯობინე და აქედან ვუყურებ ტაძარსა და იქ მიმსვლელ-მომსვლელს. ღობის მიღმა კი აუზია პატარა, ხალხი კი შიგ იხედება მალიმალ. მეც ჩავიხედე, მარა ვერაფერი დავინახე. ისიც კი გავიფიქრე, თევზები ხომ არ არის რამე მაკურნებელი. აი, ჩვენთან ხო სადღაც, დაიცა, მგონი, წალკაში, რაღაც თევზებიაო, უნდა შეეხო და განიკურნებიო. წარმოდგენა ქრისტიანობაზე ჩვენში ძირითადად ასეთია და დანიშნულებაც ამაშია, რომ რაღაცა ან დალიო, ან წაისვა, ან იმ ცეცხლზე ანთებული სანთლიდან გადაუკიდო. ამ წყალში დამატება არ შეიძლება, აქედან უნდა დაამატო და ამაში გადის მთელი ცხოვრება და ეს თევზები და ჩიტები და ეპისკოპოსის სიზმრები მას სასუფეველს უმზადებს. ესაა ძირითადად აქ მოსახლეობის წარმოდგენა ქრისტიანობაზე. ასე რომ, ამის მერე სხვებზე ფიქრი უხერხულიც კია.

ხალხი კი მეტად ხოშიანი მიდი-მოდის. ისე მეამა ამათი ცქერა. ისეთი კეთილგანწყობილია, თან ბევრი, როგორც ჩანს, სოფლებიდანაა ჩამოსული. ამას ახლა ხომ იოლად შეამჩნევ, გინდაც ჩაცმულობაში, გინდა იმაში, ამაში. გემრიელად არიან. ვერც იმას იტყვი, აჰა, ეშმაკის მოციქულები არიან. იმასა სთხოვენ თავიანთ ღმერთებს, რასაც ქართველები თავიანთ წმინდანებს — ჯანმრთელობა, ბედნიერება. არა, ბევრი ფული არ მინდა, მარა საკმარისი, კაი საბედო და ისინი ითვლებიან, რომ რაღაც ჯოჯოხეთის მაშხალები არიან და აქ კიდევ წმინდა გიორგის მხედრები და ანტიქრისტე ვერ დაიდგამს თავის ტახტს საქართველოში. ეს ტახტის თემა ძაან აქტუალურია და ხალხიც პირდაღებული უსმენს. ამ სიტყვა ტახტზე სულ ლუარსაბ თათქარიძე გაგახსენდება, რომ გაშლიდა მკლავს — ჰა, ჩემ ბიჭობაში რო მოვახტებოდი ცხენსაო.

ორი გოგო მოვიდა ჩემთან დიდი ღიმილით და თბილი თვალებით და მუქი ინდური კანის ფერი რომ არა, იტყოდი, წითელ ღაჟღაჟალოყება გოგოები იყვნენო. დიდი ზდრასტი და სალამი მითხრეს და სიცილით ხელიც ჩამომართვეს. ეს თეთრკანიანებისა ვთქვით უკვე და აღარ გავცდეთ.

ტაძრებთან კი დიდი აღებ-მიცემობა მიდის და ნებისმიერი რამეებით, სუვენირებით, ნიღბებით, ზეთით, იმით, ამით და სურათებით, საცა კრიშნა, ვიშნუ და ძმანი მისნი ჩანან, ზუსტად იმავ თარგზე და იმავ ფუნჯითაა დახატული, რაც ჩვენთან, აი, კარდონზე, საცა ხატავენ და ლამინატზე წმინდანების გამოსახულებებს და ფერებიც კი იგივე იერისაა.

ერთი ასეთი სურათიც ვნახე — შუაში ეს განეშა — სპილო ღვთაება, იმის ერთ მხარესაა ქრისტე, აი, კათოლიკეებს რომ უყვართ ძალიან რეალისტური სურათები და მეორე მხარეს მეჩეთის გუმბათი. მოკლედ, ააშენეს სოფელი. ჰარმონია.

მერე წრე დავარტყი გარედან ამ ტაძარს და შიგნიდან ისმოდა დიდი დაფდაფების ხმა.

ბავშვი კი, ისევე როგორც ყველა ბავშვი დედამიწის ზურგზე, მოაჯირებს შუა შეძვრებოდა და გამოძვრებოდა.

საერთოდ, ბავშვები ძალიან ბევრია, ყველას მოჰყავს და შუბლზე უსვამენ ხან ყვითელ, ხან წითელ, ხან სამივე ფერის დალოცვას.

ბაბუებს ისევე უყვართ შვილიშვილები და შვილიშვილებს ისევე უყვართ ბაბუები, როგორც საქართველოში და დიდი საამოა ამათი ჩახუტებისა და ზრუნვის ცქერა.

ჩვენთან ხომ თვლიან, რომ მარტო ქართველ დედას უყვარს თავისი შვილი გამორჩევით და მარტო ის ზრუნავს.

ბავშვები კი მოჰყავთ და მოჰყავთ, როგორც ჩვენთან მოჰყავთ კვირაობით საზიარებლად. აზიარებენ, აზიარებენ და არც ერთი ბავშვი, რომ იზრდება, ქრისტიანი არ ხდება. არც ერთი! ერთი პროცენტი, კაი, ჰა, დავტოვოთ და არ გადავწეროთ სასოება, მარა სხვა — არა. ერთი, რომ ყველა მიდის ეკლესიიდან და მღვდლები კი ამბობენ, დაბრუნდებიანო, მარა ამდენი წელია, ვუყურებ და წასული ბევრი მინახავს და დაბრუნებული არავინ. ვინც არ მიდის, ისეთ თვითკმაყოფილებასა და ვალმოხდილად სიარულშია, გაშინაურებული და შეხუმრებული, შეგეშინდება. თითქოსდა ბირჟად იდგე და უბნის ამბავსა ჰყვებოდე.

ასეთ ფიქრებში ისევ იმ ღობესთან და აუზთან ამოვყავი თავი და წყლიდან კი კუმ ამოყო თავი, მერე — მეორემ. აი, მაინც ასე გამოდგა, რაღაც საკურნებელი კუებია ეტყობა, მარა წალკის თევზები უფრო მაგარი სალოცავია ამაზე.

მერე კი გზას გამოვუყევი, საცა ტკბილეულს და გამშრალ ბანანებს და იმას და ამას და რა მოთვლის ამ ნუგბარს, ყიდიან და ყიდულობენ. ჩაყოლებაზე ქოქოსიც ბევრია, ეს პირდაპირ მოუყრიათ, თითქოს ხახვია, თუ კომბოსტო და დეზერტირების ჩაყოლებაზე რო ქალები სხედან, ასეა აქაც. ქოქოსის კაკლის ყიდვა კი როგორ ხდება, იცით? ჯეელმა აიღო ერთი, ყურთან შეანჯღრია, აი, ლაყე ხომ არაა, კვერცხზე რომ იზამ. მერე მეორე, მესამე და ოთხი ქოქოსი ასე წაიღო, წააცუნცულა. თითოს ფასი ოცი რუპია — ჩვენებურად ლარი.

და უკვე ამ ყველაფერს გამოშორებას რომ ვაპირებდი, ისეთ უჩვეულო რასმეს მოხვდა თვალი, გავოგნდი. სუნი დატრიალდა ისეთი ნაცნობი, ვაჰ! და კაცი ყიდდა „იზაბელას“, უფრო სახალხოდ „ადესას“ რომ ვიტყვით. კი, ინდურ „ადესას“. რა მარჯვენამ მოგიყვანა აქა, შე მადლიანო, შენა! ისე მეამა ესა. ის მიწვდიდა თავისი ჭუჭყიანი თითებით ყურძნის ლებანს, აჰა, ჩაკბიჩეო და, მეთქი, ეს რა არის, ძია-კაცო? და ყურძენიო. მეთქი, რა ყურძენია?

— წითელი ყურძენი.

— ინდური?

— ხო, ინდური.

ამის ბაღისააო, უკნიდან ჯეელი თითით ამაზე, ამ გლეხზე მაჩვენებს.

— რა ჰქვია, ძია-კაცო?

— მაკირ.

— ვაჰ.

„ადესის“ სუნი შემეშლება? და თვალწინ დამიდგა სოლოლაკისა და მთაწმინდის, ვერის, ზემო ვაკის ჩიხები, პლეხანოვისა და ოქროს უბნის შიდა ეზოები, შიგ ამოსული, ველური, ათას ჭირსა და მოუვლელობას გადარჩენილი და მაინც ამოსული, ასფალტის გამხეთქავი და კედელზე გასული „ადესა“. იქნებ არც სულ წავმხდარვართ?

„ზორო“

რაზე? ბიჭო, ჰიპერმარკეტია, ტელეფონები, ლეპტოპები, ისა და მეორეჯერ რო შევედი, სადაა ჩემი პორტფელი, აი, ამან დამწვა, ბიჭო, სრულიად სხვა ტანსაცმლით შევედი, აი, სრულიად სხვა ტიპაჟი. მაგრამ ეს მეკიდა მხარზე. ეს როგორაა, იცი? ესაა სტრელსონის ჩანთა. სამას ორმოცდაათ ევროიანი ჩანთაა და ამით შევაჭერი ისევ და ეს იცნეს და უკვე დამაჯდნენ კამერით და რო გამოვდიოდი, სიმონ, გერმანელებმა რო ამწიეს, ხო იცი, მაუგლის რო მოიტაცებენ, მომიტაცეს ამხელა როჟებმა და დამიდეს გადაღებულები, რაღაც ეს მოპარულები და დანა და, კაროჩე, მერე პროკურორმა, ოო, დანაო და ეგრევე გამამსერეს ლასტოჩკით, მარა ვიყავი, საერთო საცხოვრებელია, სხვას ვერ დავარქმევ. გაგება? ბაბილონის გოდოლია. ალბანელი, არაბი, თურქი, რუსი, მაროკოელი. რა ვიცი იტალიელი. რუსები ყველაზე ნორმალურები არიან, პროსტა, ყველა ბარიგაა. ამით ცხოვრობენ. ყველა რაღაცას ყიდის, ისე არავინ არაფერს აკეთებს. არესტანტული და რაღაც ის, თან მე სლედსტვენიზე ვიჯექი. ყველაფერი იცვლება თუთუნზე. დარეკვა გინდა? მე ტელეფონი მაქ, უნდა მოგცე თუთუნი, რო ოჯახში დამარეკიო. ძმაკაცობაც არი, მაგრამ იმ ძმაკაცობამდე სანამ მიხვალ. კუჩკებად ცხოვრობენ, გამიგე? ალბანელები ცალკე არიან. ალბანელები არიან სუ კოკაინის ბარიგები, სუ — ციხეზეც, გარეთაც. პოლონელები სუ ხულიგნობაზე, დათვრა, იჩხუბა. რუსები ზოგი ბარიგობაზე, ზოგი მოპარვაზე. ეს მაროკოელები და ეგენი ზოგი დაჭრაზე, დაზიანებაზე, ესეთ რაღაცებზე. ქართველები ყველა მოპარვაზე და გერმანელებს ვევასებით მაგრა. ქართველები არიან ყველაზე ინტელექტუალური ხალხი მაგათთვის. რო გიყურებენ, იმ მასაში ქართველი არი ყველაზე ნორმალური. შესახედავადაც. აგრესიული როჟები არა ვართ, გამიგე? ასე თუ ისე, ინტელექტი ჩანს, ზოგადი განათლება. მაგარი ანალიტიკოსები არიან. სხედან მთელი დღე და გიყურებენ, სიმონ, დადიან და სუ გიყურებენ და პოლნი ანალიზში ხარ. გშიფრავენ, ატ ფროიდა სიმონ ი ნიცშე დო ერიხ ფრომა და ჟან პოლ სარტრა და მერე მაქედან გამომდინარეა შენთან ურთიერთობა. ქრისტიანი რო ხარ, ეგ უკვე პლუსია, მუსულმანებზე აგრესიაა, იმიტო, რო მუსულმანი თვითონ აგრესიულია. მუსულმანი სინონიმია აგრესიის, ტერორიზმის. მუსულმანები სულ სხედან ჩხუბზე, ან დაჭრაზე, მკვლელობაზე, გაიგე, და ქართველი კიდე იციან, რო არც არავის კლავს, არც არავის აყაჩაღებს, თავისთვის იპარავს. კი, სამნი იყვნენ. ერთი ბიჭი თბილისელი, ერთი ბიჭი ქუთაისელი, ნორმალური ბიჭები იყვნენ. ერთი ბიჭი იყო გორელი, ჩემ იქ ყოფნაში განთავისუფლდა, ისიც ნორმალური ბიჭი. ეს თბილისელიც მამაოს ძმა არის. სამებაშია მამაო. ბიჭო, რას ლაპარაკობ, ცივ ნიავს არ გაკარებენ. ან ვინმემ შეურაცხყოფა მოგაყენოს? რას ლაპარაკობ. ლიშ ბი შენ არა, თუ მიაყენებ შეურაცხყოფას, ისე დაგიბღვერენ, შეილება, მიგაბეტონონ, მიგადებილონ, თვითონ არ დაუშვებენ და რატომ უნდა ის ქნა. მარა როგორ მომენტსაც გრძნობ, იცი, რო, სიმონ, სინამდვილეში მგლები არიან ცხვრის ტყავში. აგრესია დუღს, პროსტა, კანონი აჩერებს და მესმის კიდევაც. ვიღაც არაბი, ვიღაც თურქი, ვიღაც მაროკოელი, ვიღაც სირი, თუნდაც ქართველი, ყველა იპარავს. ჩვენს მიმართ აგრესია არა აქვთ, მარა კარგს ხო არაფერს აკეთებ პა ბალშომუ შჩოტუ, მართალია, არავის კლავ, მარა, ობში შცოტში, შენც იმ კატიოლში ხარ, იმიტო, რო შენც სხვა ერის შვილი ხარ და უკვე ამოუვიდათ ყელში. ქუჩაშიც ხო უყურებენ ამათ საქციელს. ამ მუსულმანების საქციელს მე რო ვუყურებდი, აქ რო ეგეთი რამე იკადრონ, ბიჭო, აი, ნაგლი როჟები, ესე რო დადის როჟა და რო ყვირის, ქუჩაში რაღაცას რო გადააგდებს, არავინ რო არ კადრულობს რამის გადაგდებას. გერმანელს რო რაღაცას ეუხეშება. შუა ქალაქში რუსთაველის ძეგლთან რო ყიდდეს კოკაინს ორასი ალბანელი და რო იყოს ნარკომანების მთავარი ბუდე და ეგეთი რამეები და ჩანან რო დუღან.

სხვა რა, ჟივი ნი ხაჩუ. ოჯახს მივხედე, დედაჩემის საფლავი გავაკეთე ბოლომდე, ერთადერთი შავი მიწა მაქ დასაყრელი. დანარჩენი სუფთა ქრისტიანულად. საფლავის ლოდი არაფერი, ისა, ქვა დავდე. მარტო მიწაღაა დასაყრელი, შავი მიწა. ოჯახსაც, ასე თუ ისე, მივხედე, მეც ჩავიცვი, დავიხურე, რაღაც ახალი ვნახე, გავკვალე გზა, გავკაფე. მე იქ, ძმაო, ერთხელ არავის გავუჩერებივარ, სულ პორტფელით, სათვალით, გამხდრობა შეილება აქ მოგხვდეს თვალში, იქ რო გამხდარი ხარ, ესე იგი, კაი ტიპი ხარ და, ესე იგი, არ ჭამ ღორივით. მსუქნები არ ევასებათ.

რაჯანას რიქშა

დილით კაშკაშა მზეა და ვფიქრობ, რომელ გზას დავადგე, იქით, საცა კუთხეში „ამბიკა კაფეა“, თუ მეორე მხარეს, საცა რაჯივ განდის ძეგლია.

იქით გადავდგი ნაბიჯი, მერე აქეთ გადმოვდგი, მერე მოვტრიალდი და ძეგლის მხარეს წამოვედი. არ ვიცი, რატომ, არადა, იქით უფრო გხვდება საცქერი და წიგნის მაღაზიაც „აქშარა სთორი“, ჩაიხანაც „ჩაი-ჩაი“, მაგრამ აქეთ წამოვედი, უფრო ერთფეროვან მხარეს. ასე ვიარე და არ მისული რაჯივ განდის ძეგლამდე, ვიღაც კაცი გადმომიხტა — ჩია, გალეული, ორი დღის გაუპარსავი წვერით.

— რიქშა, სერ, — მაჩვენებს თავის „ტუკ-ტუკზე“, რაც პურს აჭმევს.

— არ მინდა.

— საით მიდიხართ, სერ, იქნება გაგიყვანოთ, იქნება რამ გაჩვენოთ?

— და რა შეგიძლია, მაჩვენო?

— დაიცა, — იღებს სკამის უკან შემოგდებულ გახუნებულ ბუკლეტს, — აი, ესენი ყველა, პლაჟი, იქითაც კოვალამისკენ.

— ქალაქში რა შეგიძლია, მანახო?

— ტაძრები, სერ?

— ხო, თუნდაც ტაძრები და რა დამიჯდება.

— რამდენი ხანი გინდათ? ორი საათი, სამი საათი?

— ორი.

— ორი საათი ექვსასი რუპია.

— მოსულა.

— დაჯექი, — ჩახტა თვითონ.

— რა გქვია? — მეც ვჯდები.

— რაჯან.

ვიარეთ აღმართი და დაღმართი. გზად კი ლაპარაკობს, მარა ძნელია, გაიგო თან ამის ენა, თან ხმაური, რიქშების, მოტოციკლეტების, სიგნალები გაუთავებელი. ამათ შუა ტაძრებია, იმათ წინ თითქოს კარიატიდები რაღაც ღვთაებები დგას, ზოგან დიდი სვასტიკებია და ზარებიც კიდია. ქუჩაში სხვადასხვა ფერის სარი გხვდება თვალში, ყვითელი, ვარდისფერი, რანაირი არა და კაცებს კი მოკლე კაბები აცვიათ, აკეცილი, მუხლები რომ უჩანთ და ამ სიცხის ნაკარნახევი სამოსია ეს. ბევრი კი სრულებითაც ფეხშიშველა დადის და ამით არც არავინ წუხდება. დროდადრო ვჩერდებით და სულ ას რუპიად მეტად უჩვეულო მარაო ვიყიდე პალმის ფოთლების. კრიკეტის ყვანჯების დუქანიც ვნახე და ნახმარი ორასი რუპია ღირდა. სტადიონსაც ჩავუარეთ და კარის ძელები კი დაესოთ, ოღონდ აქაც კრიკეტი და ბურთის სროლა და ყვანჯის დახვედრება გაეჩაღებინათ.

გზად ბევრ სხვასაც ნახავ. პალმის ფოთოლში ახვევენ რაცხა თეთრ მონახარშს იქვე ტროტუარზე ჩაზელილს. რიქშა ყავისფრად გადმოაფურთხებს ასფალტზე.

ქუჩის გაყოლებაზე დიდი ფოტოებია, ნესტან-დარეჯანები იცქირებიან და სხვადასხვას აქებენ. ასი რუპიას ბანანი ვიყიდე, ძველი სასწორით აწონა მოხუცმა. იმის წინ შემოკრეს ზარები და საყვირებიც გამოერევა. და ამ ყველაფერს დაჰყურებს ნამგალი და ურო, წითელი დროშაც.

— კომუნისტებით კმაყოფილი ხარ? — თითქოს ინტრიგანი ვიყო, ისეთ კითხვებს ვუსვამ, მაგრამ საინტერესოა, აბა, რას ფიქრობს.

— აფერისტები არიან. აი, ესაა ბიბლიოთეკა, ესა — ძველი მერია. უკან გაიხედე, მანდ ჩემი ბუცები აწყვია, ყოველდღე მაგით ვთამაშობ. ყველგან. წინაც, უკანაც, — გასაღები გამოაძრო ტარებისას და მაჩვენებს ბრელოკს — „მანჩესტერ იუნაიტედ“.

გვერდით სხვა რიქშამ გადაგვასწრო.

„პრინცი“, — აწერია ზედ.

— ამის მეტსახელი ესაა, ყველა რიქშას თავისი სახელი აქვს. აი, ამას მალაიალამ ენაზე აწერია ცოლის და შვილების სახელები.

— შენ რა გაწერია?

— მე ეს, — პარპრიზზე მაჩვენებს.

— შენ ხო ჰინდუ ხარ?

— ხო, ოღონდ ქრისტე მიყვარს და ამიტომაც მიწერია.

„ქრისტეს უყვარხარ“ — აწერია პარპრიზზე.

უნდა ითქვას, რომ ქრისტიანი მისიონერების ყველაზე უჩვეულო გამოცდილება ინდოეთში სწორედ ის იყო, რომ როცა ინდოელნი ქრისტესა თუ ღვთისმშობელს აღიარებდნენ, თავიანთ ღმერთებსაც არ ივიწყებდნენ და ეს ორივე ერთი მეორეს არ გამორიცხავდა და ერთად არსებობდა იმათ თავსა თუ გულში.

ტაძარსაც მივადექით და იმის მისასვლელში სანთლებს ანთებენ, ახლოს მივედი და ესაა თურმე ლიმონში ჩასხმული ზეთი და შიგ პატრუქიც არის და ამას ანთებენ. ხუთი რუპია ერთი ლიმონი. აცმაც იყო ამ ლიმონებისა. ეს გულზე უნდა დაიკიდო, თუ ჩაიში ჩააგდო, ეს აღარ დამინახავს.

ბავშვებს კი ფეხებზე სამაჯურები უკეთიათ და, ბუნებრივია, უხარიათ. ზოგს ტრადიციული სამოსი ჩაუცვამს, თუმცა რაკი ისედაც ტრადიციული აცვიათ, ეს მეტად და გამორჩევით ტრადიციული აურჩევიათ.

ხალხი კი შედი-გამოდის ტაძრიდან. ერთს სამივე წერტილი ჰქონდა ერთად — თეთრიც, წითელიცა და შავიც. ყველა ენერგია ერთად.

ამათი ქურუმებისა არ ვიცი, მეშინია მათი, მარა ჩვეული ხალხი, გლეხი ხალხი, მშრომელი, სახეზე ღიმილითა და კეთილგანწყობით, რაც ჩვენ ვართ, ისინი არიან ესენიც. იმავეს სთხოვენ, რასაც აქ სთხოვენ.

ამათ ტაძარში შესვლა-გამოსვლას კი ფეხშიშველი ინსპექტორი კაცი დაჰყურებს. ამასაც ყველაფერი უსვია, რაც საჭიროა და რომ დაინახავს, ვინმე ტაძრის ჭიშკარს სურათს ულებს, უსტვენს. მერე ბრაზდება, რომ ყურადღებას არ აქცევენ.

ბავშვი კი, ისევე როგორც ყველა ბავშვი დედამიწის ზურგზე, ტელეფონზე თამაშობს და უფრო გახარებულია, ვიდრე ღვთაებრივი ენერგიების შეგრძნებით.

დასასრული მე-6 გვერდზე

ნინო მშვიდობაძე



სიზმრისა

შვილებს, რომლებსაც დედა მოუკლეს

წუხელის ავი სიზმარი ვნახე...
მოსაყოლად წყალიც რომ ვერ გავიმეტე,
ისეთი...
ყელგამოჭრილი თოლია მესიზმრა...
...
შენ რა დაისიზმრე?
გეძინა კი საერთოდ?
ეგებ ელოდი...
უცდიდი, როდის შეგეხებოდა:
საალერსოდ სულაც არა...
ელოდი, როდის გაგიმეტებდა...
გუმანით გრძნობდი,
ანდა იქნებ, სიზმარში ნახე?
და გეშინოდა?
საკუთარი თავის გამო კი არა,
შვილების გამო...
ჰოდა, თავის მომძინარებით
მამის დაგროვილ აგრესიას გამოარიდე...
რაღა ფასი აქვს ნეტა მიზეზებს,
საძინებელი სისხლისფრად თუ გადაიღება...
იქნებ არ გეძინა?
იქნებ თავი მოიმძინარე?..
გეტკინა, არა?
ნეტავი დიდხანს ხომ არ იწვალე???
შვილებს თვალებში უდედობა ამოეტვიფრათ...
დედის მკვლელი მამა
ამ მძიმე ცოდვას როგორ აიტანს???
შვილების თვალებში ამოტვიფრული დედა
საბოლოოდ დაუკარგავს მოსვენებას
მასაც და სხვებსაც...
...
ვითომ გეძინა???
...
წუხელ სიზმარმა გამაღვიძა,
ავმა სიზმარმა,
მოსაყოლად წყალიც კი რომ ვერ გავიმეტე,
ისეთმა ავმა...

ბავშვები და თუთიის კუბოები

რუსეთის შეჭრის შემდეგ
უკრაინაში 234 ბავშვი დაიღუპა

ომია...
შვილი რომ მყოლოდა,
ვერ გავუშვებდი —
დედა ვიქნებოდი და ვერ გავუშვებდი.
ვინ გამიბედავდა გაკიცხვას...
სხვის ომში ჩემ სიცოცხლენაჩუქარს
ვერ დავატოვებინებდი სიცოცხლეს.
საკუთარ ომში, საკუთარი ქვეყნისთვის
ჯერ მე წავიდოდი...
მერე გამომყოლოდა...
დედა ვიქნებოდი...
ვინ გამიბედავდა შენიშვნის მოცემას...
დედობას არა აქვს საზღვრები.
არც დედები ემორჩილებიან ადამიანურ კანონებს...
ომი კი წესების გარეშეა...
სუნი და ფერი აქვს მხოლოდ.
მისი სუნი მყრალი სუნია,
მისი ფერი სისხლისფერია...
ომია...
სამსჭვალასავით მესობა გულზე:
ომი ბავშვებს არ ინდობს...
დედა რომ ვყოფილიყავი,
არ გავარჩევდი მტყუანს და მართალს,
შიშველი ხელებით მოვუღებდი ბოლოს
ჩემი არშობილი შვილის გამამწარებელს...
ომია...
ომმა წესები არ იცის.
წესები არ იციან არც დედებმა...
დედამიწის ყვავილები რომ მოწყვიტეთ,
ნუთუ გგონიათ, პასუხს არ აგებთ ამისთვის...
ფეხი რომ არ უნდა დაგედგათ და ფეხქვეშ გათელეთ,
ნუთუ ფიქრობთ, რომ არ მოგეკითხებათ...
შვილი რომ მყოლოდა, არ გავუშვებდი...
„ცინკის“ კუბოებით გადავსებული ქვეყანა მახსოვს
და მტანჯავს საკუთარი უძლურება...
სხეულები მაინც ყოფილიყო იმ კუბოებში...
ცივია თუთიის კუბო...
და დედას ვინ დაუშლის, არ გახსნას,
არ ნახოს,
არ მოეფეროს...
ომი უწესოა...
ომს სუნი აქვს — „ცინკის“ კუბოში დაგმანული
სხეულის რომელიღაც ნაწილის სუნი.
ომს ფერი აქვს — ხელებს შემხმარი სისხლის ფერი...
დედა რომ ვყოფილიყავი...
ან ვინ გაბედავდა დაშლას...
ომია...
ბავშვები მომიწყვიტეს უდროოდ...
ბავშვები ფეხით გამითელეს...
მეოთხედ შეწყვეტილ ფეხმძიმობას
ვტირი და ვკვდები, მგონია...
უფალთან რომ წახვალთ,
ბავშვები და თუთიის კუბოები გაიხსენეთ...
კუბოებიც ამბობენ სიმართლეს...
ფეხი არ დაადგათ ბავშვებს და ყვავილებს —
ღმერთთან გვიჩივლებენ!!!

მძიმე

ჩემი სამშობლო
ერთი ბეწო პურია თითქოს,
მაღაზიიდან სახლამდე მკერდზე მიკრული
რომ მომაქვს დილაობით —
ახალგამომცხვარი, თბილი, ხორბლის და
მიწის სუნით გაჟღენთილი...
ჩემი სამშობლო მამაჩემის საფლავია —
უხმოდ რომ ვესაუბრები,
ილიას და ელენეს ფეხისგულებით გადაზომილი...
მზის გულზე რომ თავგადაწეული ვდგავარ და
მზით ვივსები,
მე ვხვდები —
ეს მზეა ჩემი სამშობლო...
მკერდზე მიკრული თბილი პურია,
სული რომ წაგძლევს და ყუას მოატეხ...
ქმრის საფლავზე ამოსული იაა —
რომ დავკრიფე და ოდესღაც მისთვის ნაჩუქარ წიგნში
სათუთად რომ შევინახავ...
და ყოველ ჯერზე,
როცა შინდისში მიწა ფეხქვეშ მეწვება,
ვხვდები:
ძნელია ჩემი სამშობლო —
მძიმე და ძნელი...

ლექსი-ანემია

„ჰემატოლოგ მედიკოსთა ნეო-კათედრებმა ვერლიბრისტებს დაუდგინეს ლექსის გათეთრება“.
ვახტანგ ჯავახაძე

როცა ლექსები სისხლივით თეთრდებიან,
გადარჩენაზე საუბარი სასაცილოა...
დიაგნოზი — ანემია,
მკურნალობა — უშედეგო,
ლექსებს ვერ შეაჭმევ საქონლის მოხარშულ ღვიძლს,
ვერც მედიკამენტებს დაუნიშნავ.
ლექსებს კალთაშიაც ვერ ჩაისვამ,
რომ დაუნანავო.
ისინი შეიძლება მხოლოდ წერო
და ხანდახან ხმამაღლაც წაიკითხო,
თუმცა იმედი, რომ გაგიგებენ,
არ უნდა გქონდეს.
როცა სისხლისგან დაწრეტილი თითებით წერ,
ლექსებსაც სისხლი ეყინებათ,
იკლებს წითელი ბურთულაკების რაოდენობა,
კარგავ მხედველობასაც
და, შესაძლოა,
საგანთა აღქმაც სულ სხვაგვარი გქონდეს —
ამიტომაც:
მზე იყოს და შენ ცის ჭაღად მოგეჩვენოს;
ცა იყოს და სარკმელივით გამოაღო;
მიწა იყოს — დანის წვერზე დადიოდე —
ფეხაკრეფით კი არადა,
სულაკრეფით...
დიაგნოზი კი დასმულია:
გჭირს ანემია,
გაგითეთრდა — სისხლივით —
ლექსი...

და გულის სისხლით დაწერილ სიტყვებს,
სიტყვებს, რომლებსაც სისხლნაკლულობას
ვერ დასწამებენ,
ასაზრდოებ საკუთარი ხორცით და ძვალით,
რომ სიტყვებიც არ გაგითეთრდნენ!!!

ჯვრის აპოსტროფი

იმდენჯერ მოვკვდი,
რამდენჯერაც ვცოდე...
დაკარგულ იმედს აპოსტროფი ვერაფრით ავსებს...
მიცდიან გარეთ ღონემიხდილი იასამნები...
ვცდილობ, ვიარო თითისწვერებზე,
რომ არ ვატკინო:
ბალახებს — გული,
მიწას — მკერდი,
ყვავილს — სხეული...
ჩემ სიმაღლეა ჩემი წილი ჯვარი...
ვეცემი, ვახლი მიწას თავს და
მივითრევ ფეხებს...
მაინც მივდივარ...
და ვეღარ ვხვდები:
სად მიმთავრდება სხეული და მეწყება ჯვარი...
იმდენჯერ მოვკვდი, რამდენჯერც ვცოდე...
და ჯვარი მექცა აპოსტროფად,
დაკარგული იმედების შესავსებად...

მარტოქალების იავნანა

შეყვარებული ქალებიც ხომ კვდებიან ერთხელ...
კვდებიან უხმოდ, მდუმარებით, კვდებიან ყუჩად...
მაგრამ მანამდე:
დასხდებიან ბუხართან — პლედით
და წყნარ მუსიკას მოუსმენენ.
თვალებში ცრემლით
გაიხსენებენ:
როგორ უყვარდათ,
როგორ სურდათ,
როგორ ელოდნენ...
როგორ ძალიან მარტოები იყვნენ,
სციოდათ...
და შემცივნებულ, თხელ და ნატიფ,
წვეტიან თითებს
იღლიებში როგორ ითბობდნენ...
ყველა ტკივილის მიუხედავად,
შევერცხლილ თმისა და თვალებთან ნაოჭების
მიუხედავად —
ელოდებიან
სხვა გაზაფხულს მათ ცხოვრებაში...
თუმცა იციან, როგორ უხმოდ ჩამოიმარცვლა
კრიალოსანი ბედისწერისა...
სხდებიან ჩუმად...
და ჩუმადვე ელოდებიან:
მუხლებზე პლედით
და თვალებში ჩამდგარი ცრემლით...
ეს მოლოდინიც ისეთივე მძაფრი რამაა,
როგორც ტკივილი,
დედის მუცლიდან რომ გამოჰყვათ,
რომ არ ასვენებთ...
სჯერათ,
ცხოვრება ერთხელ მაინც გააპრილდება...
რომ ისევ მოვლენ ეს თავკერძა იასამნები...
რომ სიყვარული ისევ ისე შემოგლეჯს კარებს...
რომ ეყვარებათ...
ეყვარებიან...
სხედან კუთხეში —
შეყვარებული ქალები — სხედან...
და თვალებს,
ხელებს,
ცრემლებს,
მუხლებს და
მკერდს და
კუთხეში მიმსხდარ ამ პლედიან ქალებს —
შეყვარებულ ქალებს ოდესღაც —
სიყვარული თუ ესიზმრებათ,
ალბათ, ისევ და
უყვართ იმაზე უფრო მეტად,
ვიდრე ჰგონიათ ან იციან, რადგან სიყვარულს
საზღვრებს ვერასდროს დაუწესებენ...
სხედან ბუხართან შეყვარებული ქალები —
სხედან —
მუხლებზე პლედით
და თვალებში ჩამდგარი ცრემლით,
და იძინებენ
მშვიდად, ლამაზი სიყვარული რომ დაისიზმრონ:
„დაიძინე, სიყვარულო, იავნანინაო,
დაიძინე, მოუსვლელო, ვარდონანინაო,
მე შენ ყველგან გელოდები, ნანანანინაო,
და ლოდინში გიბერდები, ნანანანინაო“...
იძინებენ და
სიყვარული სიკვდილს იქით მიაქვთ თვალებით!!!



მდიდარ რითმას

არ გაგივლია ნაგავსაყრელთან,
არც მთხლე ლექსების აუქციონთან.
ვიდრე ჩემს წიგნში დაგასახლებდი,
ცაში ეკიდე, აუ, გციოდა!

ჩამოგხსენი და მოგეცი გვარი,
ჩემს სტრიქონებში სითბო იგრძენი.
ატყდნენ — როგორი რითმები არი,
უცნაურები, თან რამსიგრძენი,

ასეთი რითმა ტატუს არა აქვს
(დღეს კლასიკოსად ტატუ საღდება),
რა ხნისა გახდა? მათუსალაა!
პანდორას ყუთში დატუსაღდება!

მე, მიჩვეული მტრისგან ოხშივარს,
ბოშურის მთაში ვარ გახიზნული.
ნაჯახით ვცდილობ ტყის გამოხშირვას,
ჯანმრთელობისთვის ვარგა ხის სუნი.

ამომივარდა ყელში ღვთისმოშიშს
ტაშფანდურები დილეტანტური.
აქ არ მაკლია ჩვენი მთის მოლში
სოკოს მწვადი და ფილე დანდურის.

მდიდარო რითმავ, ერთმნიშვნელოვნად
დედაბოძი ხარ კატრენებისა.
სანამ ჩემს სულში ღმერთი შემოვა,
ეს ერთი ლექსიც გვკადრე ნებისად!

წარწერა წიგნზე „და წავალ ქარში“

ხათუნა ურჩაძეს

ო, ლურჯა ცხენები! ზის ერთ-ერთ ლურჯაზე
და უცნობ ღრანტეებს მიაღწევს ურჩაძე.

თავს გალაკტიონი ამ წიგნში არ იკლავს,
ამ წიგნში გრანელი ცოცხალი არი კვლავ.

მკითხველი ხვდება აქ გიგუშა ერისთავს,
რომელიც არავის დაუთმობს მერის თავს.

შავ-თეთრი ტონებით ნაჯერებ საღებავს
ირეკლავს ტანჯული ოლიას სახება

და პოეტს ნათურაჩამსხვრეულ ქუჩაზე
ბინდბუნდში მეგზურად მიჰყვება ურჩაძე.

სიზმარში ნანახო სადილო, სამხარო,
თქვენ უნდა შეცვალოთ იმ კაცის სამყარო,

გენია რომ არის, არც უჭირს, არც ულხინს,
რამეთუ ხანდახან ეშვება მარწუხი

და გვჯერა, გამოცვლის გადამწვარ ნათურას
ბრწყინვალედ მეტყველი ურჩაძე ხათუნა.

ქეიფი კასრზე

სიგიჟე იყო და ესოდენ იყო სმა,
კინაღამ დავთვერით, სიმთვრალეს ვერ ვიტან.
მე, როგორც დამწყებმა ეზოთერიკოსმა,
ჯინები ამოვსხი დახშული ქვევრიდან.

საძმომ ძირს ბოჰემის დროშა არ დახარა,
გადასარევია ქეიფი „ბოჩკაზე“.
წავიდნენ ოთარა, გურამა... ზახარას
გიტარა აიღო მიშიკო კოშკაძემ.

თაობებს ვაცილებ. მეც თოკზე ვქანაობ
და უკანასკნელი მოჰიკანელი ვარ.
ვახსენოთ ის ხალხი. მითხარი, მამაო,
რამდენი მამაო მოგვიკლა ლენინმა.

იმქვეყნად მიმავალთ შენდობა ვუსაგზლოთ,
ხმაჩაწყვეტილები მოვმართოთ რუპორნი
მხცოვანო ბიჭებო, მიყვარხართ უსაზღვროდ,
პოეტის სიყვარულს საზღვარს ვინ უპოვნის.

ქეიფი გორში

ვქეიფობთ და რესტორანი „ტინისხიდი“
იწვევს სტუმარ-მასპინძლების ტვინის ღრიტინს.

პოეტის თქმით: მეგრელია ლასურია.
იზაბელა (თუ ადესა) ახლა რომ ვსვამთ,
რაც მოჰყავდა ლანჩხუთსაც და ბახმაროსაც,
ძველკოლხური ღვინის ჯიში „ლაზურია“.

წაღვერი

ერთი რეგვენი რომ ვცემე,
ვნანობ, არ უნდა მეცემა.
ეზოში ავი ძაღლია,
შევალ თუ არა, მეცემა.
დიდ წიგნებს სხვებს რომ უცემენ,
მე რატომ აღარ მეცემა?
დილის საარზე მზის სხივი
ცით უშურველად მეცემა.
ხალხს ხიბლავს ტუხიაშვილი
ეკრანზე, მომწონს მეც ემა.
იმდენ სითბოს ვცემ გარშემო,
რომ მეტი აღარ მეცემა.
მიჭირს, არ ვიცი, ნუგეში
ვისგან ან რისგან მეცემა.
მწვანე წაღვერი ვიყავი
და რისთვის უნდა მეცემა.

ხმათა ფარდაგი

სასიყვარულო თამაშებისას
იყავ მუსიკის ამხირებელი.
ასე ხდებოდნენ ბახი, ვებერი
მოწმენი ჩვენი თავაშვებისა.

შერწყმას სატურნის მაგვარ რგოლებთან
ჩვენსას ჰყოფნიდა წამი სამოცი.
ადამის ძველი ტანისამოსი
გახდა-ჩაცმაზე არ გვაბრკოლებდა.

იწყებდა ქვეყნის შექმნას ყანჩელი,
მერე გვაცხრობდა, რათა ხვალ და ზეგ
კვლავ შევეყარეთ ხმათა ფარდაგზე
მე — მაზაკვალი, შენ — ქასკანჯელი.

წუთისოფელი ასეა

დღეს მოგირთო უნდა ქარვით გულმკერდი,
რასაც გუშინ ლექსით გუნდრუკს ვუკმევდით.

ხვალ სულს დავლევ სისხლიანი ხველებით,
დამმარხავენ შენი თეთრი ხელები.

ზეგ ჩემს წიგნზე ატეხილი ტირილი
დაგასიებს რძემოწოლილ დვრილივით.
მაზეგ ნამცხვრის სახლში ალფონს ტყავაძე
დაგპატიჟებს უნალექო ყავაზე.

* * *

ტიპი წუწუნებს. რა სულ წუწუნებს,
რა გააჩმახა საქმე წუწუნით?!

ტიპი წუწუნებს. რა სულ წუწუნებს.
მე იმას ლექსით როდი ვუწუნებ.
წუწუნი უყვართ წვრილწვრილ წრუწუნებს,
კომოდის ქვეშ რომ გააქვთ ცუცუნი.
ტიპი წუწუნებს. რა სულ წუწუნებს,
რა გააჩმახა საქმე წუწუნით?!

* * *

მტკვრისას უნდა ავყვე ნაპირს,
რომ დადგება ნოემბერი,
ქვეყანაში ამ ყველაფრის
გამსაიდუმლოებელი.

მტკვრის ნაპირზე ბინდ-უკუნში
ერთ ადგილზე ვტრიალებდი.
რა შორს იყო პინდუკუში
და რა ახლოს თრიალეთი.

იყო ქოხი მიწურივით
და ფერდობი მოგორმახო.
რა შორს იყო სიძულვილი.
სიყვარული როგორ ახლო.

ეს და ის

ეს პოეტია, ისიც აგრეთვე,
ასე თუ ისე — მკითხველს არგიან,

ეს საკუთარ თავს თითქმის აღმერთებს,
თუმც ის ამაზე უფრო კარგია.

ის იმერს უსვამს კითხვას, ეს — ამერს:
რითი მეტია ლაფშა ირემზე?

ამ ორის ჩრდილში მდგარი მესამე
ჩუმად ქირქილებს მათ შაირებზე.

როცა მოცარტი იყავი

ღამე კუნაპეტი.
ორნი — შენ და ეგ ცა.
მეგობარი ერთი
სალიერად გექცა.
ვარსკვლავები კრიფე
ნახუნავოს ციდან.
გაიმაგრე მყიფე
გული ერთი ციდა.
იქონიე ამღამ
მხედველობა ბუსი.
ახლოს — ლხინის ღალღა!
შორს — სიკვდილის ბუზი!

სხვადასხვა საგნები

ისტორია ბიჭებისთვის სანიასო საგანია,
ბრამსის საგნებს ვინც გვაყვარებს,
ფრანსუაზა საგანია.
და ერთ დღესაც, მეგობრებო,
ჩვენი გრამატიკისათვის,
რითაც მიწას მომაყრიან, ის ნიჩაბი — საგანია.

მთაში წიწვია, ტანა ღრიალებს,
როგორც ყოველთვის, წრესგადასული.
უნუგეშოებს და ნაღვლიანებს
იმედს უღვივებს წელს გაზაფხული.
უიმედობა იწვევს დაზაფრულთ.
დრო მოუფონებს სუსტსა და გულდიდს,
მასაც, წაწალთან უღვთოდ ვინც შეცდა.
მალე ჩამოვა მერცხლების გუნდი
და ჭიანჭველაც მალე იჩენს თავს.
ნეტა რა ჰქვია ამას ნიცშესთან?

ლექსის პრეზენტაციაზე

ქვაბში განა ხინკალი ან ტაფაზე კექსი —
ლიტსამზარეულოში იხარშება ლექსი.

სტუმრად ელოდებიან ცნობილ დეგუსტატორს,
იმ კაცს, გემოს ვინც ატანს შოთას, ვაჟას, ტატოს.

ლექსი თითქმის მზად არის. ხელუკუღმა ყრიან
ქვაბში მეტაფორების ქინძს, რითმების კვლიავს.

დადგა სუნი სუნელთა — ახალთა და ხმელთა.
თავის დროზე მობრძანდა, სხვა სტუმრებთან ერთად,

ის ცნობილი ბატონიც, მაგრამ იმან, ოდეს
დასაგემოვნებელი ლექსი მიაწოდეს,

მოაციცქნა ნამცეცა და გასწია გვერდზე —
კრიტიკოსი არ ჭამდა უმარილო კერძებს.

აბო იაშაღაშვილი

სპარაპეტას ხალიჩა

ფრაგმენტები მომავალი რომანიდან

დასასრული

გოგირდები

— უკან სვლა უჭირს, ამიტომ ასე, — მეც მივეხმარე რიქშის გამოგორებასა და მიწოლაში.

— დაიცა, — წარწერაა კედელზე ამათი შრიფტით.

— რა იყო?

— ეს ჰგავს ჩემი ქვეყნის დამწერლობას. აი, ეს რა ასოა?

— რომელი?

— ჩვენთან ეს არის „გ“. აი, ნახე, ეს ასო ჩვენც გვაქვს, ჩვენთან ესაა „ე“. ნახე, მაისურზე მაწერია, — მაისურზე კი მაწერია „მე ვარ მე-16“ და ბორჯღალი. არ მახსოვს, საიდან მაქვს, მარა დღეს ჩავიცვი და მოუხდა ქალაქს.

— ე, — გაიკვირვა რაჯანამ და მიყურებს.

— ნდპალ, — გამოვიდა მცველი მოხუცი კაცი შენობიდან და მეძახის — შემო, შემოო.

მე უფრო შრიფტს ვუყურებ და რაჯანასთან ვარკვევ, რა ასო რაა.

— გდპალ, — ეს აგრძელებს და მეც მივყევი, ალბათ იცის კაცმა და ასოებზე რაღაც უნდა მითხრას და შევედით და საავადმყოფოა და თურმე ჩაწერაზე მიმიყვანა, აქაოდა, პაციენტი მოგიყვანეთო, გოგოს ეუბნება იქ.

ალბათ ამაზე რაღაც ბონუსია, პაციენტი თუ მიიყვანე.

ის გოგოც მიყურებს, აბა, რომელ დავთარში ჩამწეროს.

ვაჰ, მეთქი, ეს სად ვარ და გამოვტრიალდი.

ქუჩის კუთხეებში კი მომცრო კაფეებია, ზაბიგალოვკები, ქუჩის შუაშიცაა უთუოდ, მარა ქუჩის გადაკვეთა ისე არ იქნება, ერთი ასეთი აშპაშხანა არ იყოს გახსნილი. საჭმელების სახელები არ მკითხოთ. რომ მოვთვალო კიდევაც, განა ვინმე გაიგებს. ესაა ალაგი დილის შეხვედრისა, საღამოს დადგომისა, მოკლედ, აქაური ბირჟა ესაა და მასალა ჩაის მოსვამენ, გააბოლებენ, ვინ ჩამოჯდება და ასეა ამათი ყოფა. ლატარიის ბილეთებს შეამოწმებენ. ეს ლატარიის ბილეთები დიდი რამაა აქ და გასავალიც, ჩანს, დიდი აქვს, რაკი ყოველ ნაბიჯზეა და სულ გთავაზობენ და ხელზეც ყიდიან.

ერთ ასეთ ჩაიხანას ერქვა „სრი ლაკშმიტ თი სთოლ“, ანუ სრი ლაკშმიტის ჩაის დუქანი. ერთი სადჰუ კაციც მოვიდა, მეტად მოხუცი, სტაფილოსფერი სამოსით, ფლოსტებით, კისერზე ხის სკვნილით, სათვალით, „კიმში“ რომ მოხუცია, თითქოს ამისგანაა მოხატული. მეტად თბილად მიესალმა ლაკშმიტს, მოიკითხა, იმანაც კვერი დაუკრა.

იმის ცოტა პირდაპირ კაი ვეება აუზია, საფეხბურთო სტადიონისხელა და შიგ ნაირგვარი ინდოელი ჩასულა და ზოგი გაქაფულია, ზოგს სამოსი გაუქაფავს, ვიღაცას კბილის ჯაგრისი უჭირავს და სარკე — მოკლედ, აბანოა. და ამათ რად უნდათ გოგირდები. ცხელი წყალი ვის რად უნდა. ისეთი სიცხეა აქ. წყლის სისუფთავეზე კარგს ვერაფერს მოგახსენებთ, მარა ძალიან ეამებოდათ იქ ჩაყვინთვა.

— შენ ხარ უფროსი, საცა იტყვი წავიდეთ, — ვეუბნები რიქშას და გაუხარდა ეს. კაი კაცი ჩანს ეს რაჯანა.

— აქაა დრგბჯადა, — ვერ ვხვდები, ესე მოკლედ რას ამბობს ხოლმე და იეს, ესე ვპასუხობ ზრდილობის ამბავში.

— ეს ხო ქალთა ციხეა? — წინა დღეებში ნანახზე ვეუბნები.

— კი, კაცთა ციხე ერთ ხუთ კილომეტრშია, ეს ქალთაა, მარა ცოტა ქალი ზის — ორი თუ სამი. აქ ტირუვანანტაპურამში პრობლემა არაა, ხალხი არაა აფერისტი. საერთოდ დიდი სხვაობაა კერალასა და ჩრდილოეთ ინდოეთს შორის. კერალასა და დელის შორის.

სპარაპეტა

დელი რომ დალაშქრა ნადირ შაჰმა, მის ჯარში მეფე ერეკლეც იყო, ჯერ კიდევ პატარა პრინცი. მაშინ დელი ბოლომდე გაიძარცვა, ფარშევანგის ტახტიც კი წაიღეს, დიდ მოღულთა საამაყო ტახტი, საცა ასი ფუთი ოქრო ყოფილა მარტო, ალმასებს და ზურმუხტებს კი ვინ მოთვლის. შვიდასი სპილო და ოთხი ათასი აქლემი არ ეყო ამის გაზიდვას. ამ დროს გამოიტაცეს იქიდან დიდი მოღულის ხალიჩაც — ცისფერი, სიგრძით რვა არშინი, სიგანით — ოცდაოთხი და მკვდარ სპილოზე მსუბუქი ოთხიოდე გირვანქით თუ იქნებოდა. ხალიჩა ერეკლეს აჩუქეს, მერე, ტფილისის აოხრების შემდეგ, აღა მაჰმად ხანმა ერეკლეს ღალატისათვის ის მელიქ მეჯნუნს მისცა და ასე შერჩათ იმის შთამომავლებს. ჯერ ერევანში ინახავდნენ, მერე ტფილისში გადმოვიდნენ და აქ ჩამოიტანეს და ეს ხალიჩა იყო, ტფილისელმა ქურდმა სპარაპეტამ რომ მოიპარა და სოლოლაკის ჩიხებში იმასთან ერთად მიიმალა.

თოკზე დაკიდებული ხალიჩის საქურდლად მაშინ კატას ააგდებდნენ. კუდზე თოკს მოაბამდნენ და ისე. სარეცხსა და ხალიჩას ესროდნენ. კატა ზედ დაესობოდა კლანჭებით, ქურდი მოჰქაჩავდა და ნაქურდსაც ხელში იგდებდა. თანაც ღამე კატის კნავილზე ვინ გამოვა. დიდი მოღულების ხალიჩას კატა არ ეყოფოდა, ის მეტად მძიმე იყო. ვეფხვს თუ ააგდებდი, თუმცა ვეფხვი თბილისში საიდან და ასეც რომ ყოფილიყო და სპარაპეტას გოდფრუას ცირკიდან ჯერ შერ ხანი მოეპარა ხალიჩაზე ასაგდებად, იმას აივანზე ასე არავინ დატოვებდა. აქ სხვა იყო. სპარაპეტა ან კარს შერჩეული გასაღებით გააღებდა, ან ფანჯრის შუშას ამოტეხდა. ზედ თაფლს უსვამდნენ, მერე ქეჩას მიადებდნენ და ჩასტეხდნენ. არც ხმა იყო, არც ნატეხის დაყრა. ფეხაკრეფა კი იცოდა. სულის გაკმენდა. სუნთქვის გადაყლაპვა. მერე ქუჩების და შუკების ამორჩევა განა რთული იყო. მაგის მეტი რა იცოდა. სოლოლაკიდან იარმუკაში ჩამოვიდოდა და აქ კი უკვე მთელი ტფილისის პოლიცია ვეღარ მოძებნიდა და რომ გამოჰკიდებოდნენ კიდევაც, თვით ჟანდარმერიის პოლკოვნიკი ზარანდია იყო ამ საქმეში გარეული და ამ ხალიჩის მოპარვას გადაჰყვა შემდეგ დიდი თავადის ნათლული პოლკოვნიკი სახნოვის კარიერა და ჟანეტ დე ლამიესა და ჰაჯი-სეიდის ჯაშუშური საქმიანობა. და მერე რა ბედი ეწია ამ ხალიჩას? მელიქ მეჯნუნის ოჯახს ის აღარ უნახავს და, ჩანს, ისევ გაიყიდა და ტფილისიდან იქნა გატანილი და იმპერიის საზღვრებში ის აღარ ჩანს და არსად ამოვარდნილა. მაშინ ტფილისში ყიდულობდნენ ხალიჩებს გულბეკიანი, ისხაკ ბათოშვილი, თათარი მამედოვი და „ბორკჰარდტი და კ.“, — იყო ასეთი სავაჭრო სახლი ვენიდან მოსული და აქ დაეძებდა ღირებულ ხალიჩებს ევროპულ ქალაქებში გასატანად და გასაყიდად. კაი ხალიჩას მსურველი არ აკლდა, თუმცა რომელმა იყიდა და გააპარა?

ისევ რაჯანა

— ეს რაა, რო აფეთქებენ? — ატაკალის ტაძართან გავაჩერეთ. წინა დღით სადაც ვიყავი.

— პუჯა, — ამას ხშირად ამბობს და როგორც ვხვდები, მომლოცველს აღნიშნავს, — დაიცა, სანდლები იქ დამრჩა.

ვიხედები აქეთ-იქით, დოლისა და დუდუკის ხმაა.

— ეს ქორწილის სახლია, — მობრუნდა რაჯანა და ფარდულზე მაჩვენებს, რომელშიც ხალხია.

ეტყობა, ეს ქორწილის ხმებია. ცოტა საჭიდაოს ჰგავს.

ქურუმი ყვავილებს ყრის და საცეცხლურივით რაღაცას აქნევს. წინ მშობლები, უკან გოგოს სამი ხელისმომკიდე. ბიჭის ძმაკაცები აქეთ-იქით დადიან, ერთი ჩემთან ახლოს მოვიდა და ყურადღებას მაქცევს, ერთი რას ვიწერ, ჯადოს ხომ არ ვუკეთებ.

ყველაზე მაგარია ბავშვები ქორწილში. მთელ მსოფლიოში ბავშვები ქორწილში ყველა ერთნაირია. ჩვენთან რომ კოსტიუმიანი ბავშვები არიან, რაღაც ასეთია აქაც, ოღონდ კოსტიუმის მაგიერ ინდური სამოსი. პატარა ზომის, ოღონდ დიდი კაცისა თუ ქალისა.

ერთმა კაცმა, ალბათ მშობელმა, გოგოს ოქროს ძენკვი შეაბა, კაი გრძელი კოსა აქ. მერე პატარძალმა ყვავილების გირლანდა დაკიდა ქმარს.

ხალხი უკვე სუფრისკენ დაიძრა.

— ეხა იქნება ლანჩი, — რაჯანა ამბობს, ზუსტად ასე.

— რამეს დალევენ?

— არა, საჭმელიც მარტო ვეგეტარიანული.

— ბახ! — უკნიდან ისმის აფეთქება.

— ახლა წამო ეს ვნახოთ.

— ბახ! — ისევ რაღაც გასკდა.

— წამო, წამო, — იცინის.

— რა არის ეს?

— იქ, ტაძართან, ფულს იხდიან და ესენი აფეთქებენ.

— ფულს იხდიან?

— ხო.

— ასეთი ლოცვაა? — ესე მივხვდი.

— ხო, — ეღიმება.

ისევ ხმაურში ვიარეთ რიქშით.

— ცოტა გავჩერდეთ, — და რაჯანა გასაჩერებელ ადგილს ეძებს.

ბაზარში ბანანია ბლომად. ჩვენ რაც ვიცით ბანანის, იგივეა, რომ გეგონოს, ვაშლი მარტო თურაშაულის არსებობს, ან მიჩურინის. ამ დროს რამდენია — რამდენი ფერის, ზომის, მოყვანილობის, ადრეული, გვიანდელი, სინოპი, კეხურა, ანტონოვკა, გოლდენი, ბროკკი, დათვალეთ თავად. იგივეა აქაც, ბანანია იმდენივე ჯიშის და ზომის — ჯუჯა ბანანი, შავი ბანანი, შესაწვავი, მოსახარში, რანაირი აღარ. თითები არ გეყოფა დასათვლელად, ფეხის თითებიც.

კუთხეში შეღებილი ბიუსტი იდგა.

— ვინაა?

— რაჯივ განდი.

— ხო, ვიცი, ინდირა განდის შვილი.

— ხო.

— ინდირა განდი კაი ქალი იყო?

— კი, კაი ქალი იყო.

ეს ისაა, თუ დაგავიწყდათ, ინდოეთში კასტრირება რომ შემოიღო კანონად და სანაცვლოდ ტრანზისტორსა და ბოთლ ზეთს ჩუქნიდა.

და ერთი მომცრო ტაძარი ჩანს. შიგ ქურუმია, ტანს ზევით გახდილი, სახეზე სხვადასხვა რამ აქვს წასმული და პალმის ფოთლებში შეხვეულ რაღაცას აძლევს კაცსა და ქალს.

— ეს დალოცვაა?

— ხო, დალოცვაა, — და იმ პალმის ფოთოლში რაღაც თეთრი ჩანს, ეტყობა, ესაა, რომ მერე ისვამენ შუბლზე.

ტაძრის ფრონტონზე კი გვერდიდან ვიღაც ფიგურა წამოწოლილა.

— ვიშნუა, — ამბობს რაჯანა.

ვიშნუ მხარ-თეძოზეა წამოწოლილი, მეტად შეუფერებლად ღმერთისთვის, უფრო ლუარსაბ თათქარიძეს ჰგავს, იმის მარჩიელობაში როა, ბოზბაში სჯობს, თუ ჩიხირთმა.

— მოდი, ესე შემოვუაროთ და ისე მივადგეთ რიქშას.

— აქედან?

უკანა კარს მივუახლოვდით და ადრე სვირინგიანი კაცი რომ ვნახე, ახლა სხვა იდგა, უფრო მსუქანი და ღიპიანი და ამასაც ის ოქროს ბოლოებიანი ჯოხი ეკავა და დაინახა თუ არა რაჯანა, დიდი სიხარულით მიესალმა და სახინკლეში რომ შეხვდებიან ძველი ძმაკაცები, რაღაც ასეთი უშუალო რამ გაცვლა-გამოცვლა წავიდა ლაპარაკისა.

— რუსსო, — ჩემზე ეუბნება რაჯანა და, ჩანს, იმან ჰკითხა, ეს ვინ გამოგიჭერიაო.

— ესეც რიქშაა? — ისეთი მეგობრული შეხვედრა იყო, არ მეკითხა, არ გამოდიოდა.

— ესეც ფეხბურთელია.

— ესეც?

— ერთად ვთამაშობთ დილაობით.

— კარგად თამაშობს?

— ისე რა.

ეს ტაძრის კარის დარაჯი და ტანს ზევით შიშველი, თან ამ ოქროს ჯოხით ხელში კაცი, მეტად დავინტერესდი, რა ყაიდის მოთამაშე უნდა ყოფილიყო.

— ესა ზაშიტაშია, — ესე უდარდელად მომიგდო რაჯანამ.

— რა ჰქვია?

— ვის?

— ამ კაცს.

— რა ვიცი, ის ხომ ზაშიტაში თამაშობს.

„ჯანგლ ბუქ“

და შემოვედი აეროპორტში, უკან მოვფრინავ და დროის გასაყვანად წიგნების დახლებს გავხედე. პირველად სადგურის ასეთ კიოსკებში იყიდებოდა კიპლინგის მოთხრობები და აქედან მოედო მთელ ინდოეთს.

— გაქვთ კიპლინგი?

რაღაც დაბნეულივითაა გამყიდველი, თითქოს ფიქრობს, გამოაჩინოს თუ არა. თუმცა მალევე სადღაც წიგნებს შორის შეძვრა, გამოძვრა და „ჯანგლ ბუქი“ — „ჯუნგლების წიგნი“, ჩვენებურად „მაუგლი“, გამოაძვრინა. გამოვართვი და ჩავტკბი იმის თვალიერებაში.

ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი.

ზარი მშობლიური გურჯისტანიდან.

— ბიჭო, როგორ ხარ?

— შენ რას შვრები?

— „ზორო“ დაიჭირეს პორტუგალიაში. ხალიჩა გადმოჰქონდა და აეროპორტში გაუშმონეს ბარგი, გაატელევიზორეს და მთელი ამბები და რაღაც გულბეკიანის მუზეუმიდან მოპარული ხალიჩააო.

— კაი, ტო.

— ხო, აი, ესე, ბრატ.

— ბიჭო, ახლა ინდოეთში ვარ, აეროპორტში. მოვფრინავ, როუმინგი მაქვს ჩართული, შენ გეწერება, ჩამოვალ და გნახავ.

— ინდოეთში? როდის წახვედი?

— ლიტერატურულ ფესტივალზე ვიყავი.

— ახლა მოფრინავ?

— ხო, აი, აეროპორტში ვარ.

— ვა, კაი, ძმაო, გნახავ და, აბა, შენ იცი.

— დაიცა და ტელევიზორში რაო, ამისთანა რა ხალიჩაა?

— ძაან ასობი ხალიჩააო, დაიცა, როგორ თქვეს?.. ვიღაც დიდი მოღულების ხალიჩა. ეგ მოღულები რა ფრუქტია, არ ვიცი, მარა რაღაც ისეთი ხალიჩა ყოფილა.

აი, სად გაქრა თურმე სპარაპეტას მოპარული ხალიჩა ტფილისიდან. თუმცა ხალიჩას ვინ დაეძებს, ნეტავ მარტო ხალიჩა იყოს საქმე.

გადატვირთვა

ვიწექი, როცა შემოვარდნენ — ლილია სააბაზანოს კართან მდგარა და ჯერ იმას მიდგნენ: „ღალატს“ არ შეგარჩენთო არცერთი არცერთს. არადა, ლილია ნატას დის, ტატას უახლოესი მეგობარი იყო და ერთად ცხოვრობდნენ ამ სახლში, სადაც მე და ნატა სტუმრად ჩავედით.

ნატამ ქოლგა მომიქნია და მე, როგორც ჯეტ ლის ლატენტურმა ფანმა, საშინელი დარტყმა ფეხით დავბლოკე.

ლილიას კივილზე ბელგიელები გამოცვივდნენ, რომლებიც ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ დაქირავებულ ოთახში. ულიფო გოგოს სელი ერქვა და მატიეს ტრუსიკი ეცვა. მატიე უტრუსიკოდ იყო ბრეტელა მაისურის ამარა.

— ჩემ მდგმურებს ჰაში რატომ მიეცი? — მკითხა გაბრაზებულმა ტატამ ბელგიელების დანახვაზე.

ნატა ისტერიკას აგრძელებდა და ჩემი უბადლო ბლოკის შედეგად გადატეხილ ქოლგას იქნევდა. მატიე კი არ შეეპუა ამ ვითარებას, ჯერ ნატას ჩამოართვა ქოლგა, მერე ლილიას ჩაჰკიდა ხელი და თავის ოთახში გაიყვანა. შიშველი სელის ცქერა მამშვიდებდა უფრო თუ ქოლგის კომპლექსის უეცარი გაქრობა, ვერ ჩამოვყალიბდი, მაგრამ ჩანდა, რომ ყველაფერი ასე იოლად არ დამთავრდებოდა. ნატამ კარი შეუნგრია ბელგიელებს და მერე გადატეხილი ქოლგით ხელში დაგვიბრუნდა:

— სირები ხართ ხუთივე! — კიოდა მთელი ხმით.

და აქ გადაეკეტა ტატასაც:

— ჩემი ბიზნესის განადგურებას აღარ მოგითმენ, გასაგებია? ეს შიშვლები ეარბიენბიზე, იცი, რას მოჰყვებიან? რომ ნაქირავებ სახლში ოცდაოთხი შვიდზე ჰაშიშს აწევინებდნენ და ქოლგებს ურტყამდნენ ერთმანეთს, და მე იმის გამო, რომ უნივერსიტეტი დავამთავრო, იძულებული გავხდები, ნახევარ განაკვეთზე ვიმუშაო კაფეში და ჭურჭელი ვრეცხო ღამღამობით, გაიგე? ეს უკვე წითელი ხაზებია, იდიოტო! — ყვიროდა ტატა ნატას მისამართით და შვებას ვგრძნობდი კონფლიქტის ეპიცენტრიდან წუთიერი თავის დაძვრენის გამო.

დების ჩხუბი სხვა ფენომენია. აქ დანდობა არ მოსულა. ვერბალურად ეს იმაზე მაღალი დონეა, ვიდრე — ცოლქმრული ლექსიკონი. აქ ყველაზე ღრმა და უხსოვარი სისუსტეები ხდებიან უპირატესობები. აქ ბავშვობის დროინდელი ჩრდილები ხდებიან ზღაპრული გმირები და ყველაფერს ცელავენ — დების ჩხუბი თუ გინახავს, ნეიტრონულ ვარსკვლავთა შეჯახების ხილვაც აღარ გაგაოცებს.

ხმაურზე გაღიმებული მატიე დაბრუნდა ოთახიდან და კაცურად დამიდგა გვერდში. „ეს რა ცუდი კომენტარი დამინერია, ტრუსიკი შეუმოსავს და ბათინკები ამოუცვია“ — ვფიქრობ და ძაან მიტყდება, რომ მე ვარ ამ კონფლიქტის ინსპირატორი და სიტუაციაზე მშვიდად დაკვირვების და ღადაობის უფლება არ მაქვს. სელი სრულიად შიშველი იჭყიტება ოთახის კარიდან. ლილია არ ჩანს. ტატა ისევ დას ურჩევს საქმეს. ახსენებს ყველა შეცდომას ოცდაათი წლის მანძილზე. თუკი კვირაში 1 შეცდომას უშვებ, 30 წელიწადში 1800 შეცდომა გიგროვდება საშუალოდ. 1800 შეცდომის შეხსენებას კი დაახლოებით 60 საათი სჭირდება. ორდღენახევარი ასე ვინ იდგებოდა გაუნძრევლად...

* * *

რამ მოგვიყვანა აქამდე? — ვფიქრობდი.

ბოლო ერთი კვირა უშედეგოდ ვცდილობდი, გამეკეთებინა ყველაფერი ისე, რომ ლილიაზე აღარ ეეჭვიანათ. ანუ პირველად ერთი კვირის წინ იეჭვიანა, როცა ვირტუდასში ვუსხედით მზის ჩასვლას ყველანი ერთად, ოკეანეამოფარებულ ბორცვებს გავყურებდით, კვამლს რიგრიგობით ვუშვებდით და თითქოს არაფერი ხდებოდა ისეთი, რაც ამ აგრესიას გააჩენდა, მაგრამ სწორედ მაშინ გაჰკრა ნატას აზრმა, შემომხედა და მკითხა:

— გევასება?

მე ინსტინქტურად თავს ვუქნევდი, თან ენას ვაბორძიკებდი:

— პრი, პრინციპში, რი, რით არის ცუდი გოგო?

— აი, ხო გამოვიცანი! — იგესლებოდა ნატა.

მერე ვუხსნიდი, რომ ეს ის არ იყო, რაც მას ეგონა.

იქ სკვერში მერე ისევ მკითხა:

— აბამ?

დავიმანჭე უარის ნიშნად.

არ დამიჯერა.

ამის მერე ამ კითხვას დღეში რამდენჯერმე მისვამდა, მე კი ხან რას ვპასუხობდი და ხან რას იმის აღსანიშნავად, რომ ეს თემა ძალიან არ მაინტერესებდა.

ამ გზაზე ერთი კვირა ვიარეთ. უფრო ხშირად ვჩხუბობდით, ვიდრე ვდუმდით. ახლაც, ასე უმიზეზოდ, ტატასთან ერთად შოპინგიდან დაბრუნებული დამაცხრა. „მისტერ ჰაკიმში“ ორ ევროდ ნაყიდი ქოლგა შემომცხო და ფლოსტებში ფეხგაყრილი გამჩითა ჯავახეთის ზეგანზე, გადამწვარ ბალახებში მდგარი და მოდუდუნე, მზეზე მიფიცხებული რაღაც არქაული ციხის ნანგრევების საკნებთან, ლოდებით გარშემორტყმული სამიათასრაღაც მეტრზე, მინდვრების ზემოთ.

* * *

ვფიქრობდი და ვერ ვხვდებოდი, სად დავუშვი შეცდომა. უფრო სწორად, ვხვდებოდი, მაგრამ არ მინდოდა, დამეჯერებინა, რომ ეს შეცდომა სწორედ ის იყო, რომელსაც სკანდალი მოჰყვებოდა. „შოპინგიდან დატყდომა, ზოგადად რომ უღირსი საქციელია, კი უნდა იცოდე, როცა კაცი ხარ და ქალი გევასება!“ — მეუბნებოდა შინაგანი ხმა. მე კი ვპასუხობდი: „შოპინგიდან დატყდომის გამო ქოლგას ვის ურახუნებენ? თან შოპინგიდან იმიტომ დავტყდი, ვიფიქრე, დროს მოვიგებ, ბარგს მივყრი სახლში და ისევ დავბრუნდები ნატასთან და ტატასთან, კიდე ვიშოპინგებთ, მერე ვისადილებთ, მერე გავისეირნებთ, მერე დავლევთ სადმე და ამბები. არა, მოლიდან გამოსულსვე კი გამიელვა აზრად: რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, რომ იფიქროს, ლილიას გამო დაბრუნდი და შოპინგთმოძულე კაცის ბუნება არაფერ შუაშია? და ეგრევე მივბრუნდი და ვთხოვე, ინტერნეტი ჩართული ჰქონოდა, რომ შევხმიანებოდი.“ „ანუ შოპინგიდან კი დატყდი, მაგრამ დასაბრუნებელი პირობა დადე და არ დაბრუნდი?“ — აგრძელებდა შინაგანი ხმა ჩემს მხილებას. მე კი ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ ეს ის არ იყო, რაც მას ეგონა და შევეცადე, ისე აღმედგინა ეს ამბავი წარმოსახვაში, როგორც სინამდვილეში იყო ქრონოლოგიურად ქოლგის შემოლეწვამდე:

მოკლედ, დავტყდი შოპინგიდან იმიტომ, რომ გავსავათდი ხუთი საათი წინ და უკან სიარულით უძილო, პახმელიაზე, უმადოდ და, მაშასადამე, მშიერი. ლილიაზე რაც ჭირდა ნატას, მახსოვდა და მაქსიმალურად ვცდილობდი ყველა ეჭვის გაქარწყლებას. ყველა შესაძლო და არაშესაძლო გაგრძელების პროექციას ვახდენდი და ვიგონებდი შემოვლით გზებს. ასე მაგალითად, სახლში წასვლამდე ავუხსენი, რომ აუცილებლად მჭირდებოდა ვაიფაი სამსახურებრივი ზარის განსახორციელებლად და სასწრაფო მეილის გასაგზავნად. ნატა შოპინგცენტრში როცაა, მე კი არა, ქრისტეს გამოცხადებას არ შეიმჩნევს. თუ სეილს გადააწყდა, მეორედ მოსვლას დააიგნორებს. ჰოდა, წამოვედი ასე. სახლში უჩუმრად შევიძურწე. ლილიას ოთახის კართან ინსტინქტურად მაინც შევდექი და ყური მივუგდე. გამიხარდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. თუ ლილია სახლში არ იქნებოდა, სანერვიულოც არაფერი იყო. ჰაშს მოვწევდი, მუსიკას ჩავრთავდი და ბლინებს შევიწვავდი. შეიძლება, ნუნუსთვისაც დამერეკა, ტატას არქიტექტორი გეი მეგობრისთვის, რომელიც კაი მსმელი და მოსაუბრე კაცი აღმოჩნდა. ყოველ საღამოს ჩვენთან იყო და მიყვებოდა ათას რამეს ჩინფაინას თავისი რეცეპტიდან დაწყებული პორტუგალიურ ოთხხმიან სიმღერაზე და ტერციების პარალელიზმზე.

— მარტო ხარ? — მომესმა ზურგსუკან ამ დროს. ისევ ეს ნააბაზანარი ლილია იყო, ისევ შეხსნილ ხალათში.

— სიგარეტის მოსაწევად გავალ, — ვთქვი და ოთახიდან აივანზე გავედი.

აი, ახლა დამენძრა. მოვლენ. აივანზე ვდგავარ, ვეწევი, ეს ლილია ხალათმოხვეული დგას საძინებლის კართან. სრული ჩაფახება სურათი იყო. საკუთარი შინაგანი ხმა რომ არ მიჯერებდა კაი, მაგრამ ალბათ ძმაც არ დამიჯერებდა, რომ ეს ის არ იყო, რაც მას ეგონა, რადგან უკვე ზედმეტად ბევრი სცენა იყო ისეთი, როცა ეს ის არაა, რაც შენ გგონია უნდა თქვა. სახლიდან გიჟივით გამოვვარდი.

დავუყევი გზას სავაჭრო ცენტრებისკენ.

არ ჩანდნენ. მთავარ ქუჩაზე კრუასანს მაინც შევჭამ-მეთქი, ვიფიქრე და კაფეში შევედი დროის გაყვანის მიზნით და იმ იმედით, რომ ნატა და ტატა გამოივლიდნენ და სახლში ერთად დავბრუნდებოდით. კაფეში კაი ხანი ვარჩიე ისეთი ადგილი, საიდანაც გზაჯვარედინებს გავაკონტროლებდი და თან იოლად დასანახი არ ვიქნებოდი. ჩემსავით შენიღბვის მოსურნეც უმალ დავლანდე. კაფეს ყველაზე დახურულ ნაწილში, მარტოდმარტო ტონა ტკბილეულით. ისე ილუკმებოდა, შიგადაშიგ ხელსახოცსაც აყოლებდა უეჭველი.

„ეს ადგილი იმიტომ შეარჩია, რომ არ დაენახათ, როგორ სკდება ჭამით“ — გამეცინა და თან მისი ლიფიდან ამოვარდნას მყოფმა ძუძუებმა მომცეს იმედი, რომ ჯერ არაფერია დაკარგული, რომ ჯერ კიდევ არის შანსი ახლიდან დაწყების, გამოსავლის პოვნის, ურთიერთობის გადარჩენის, მაგრამ როდესაც ყავა და კრუასანი მოვიდა, ყველა იმედი მათ გადაიბარეს და ჩემი ეჭვებიც, რომ ბოლო დროს განსაკუთრებულად ძუძუდამოკიდებული გავხდი, გავიბათილე.

ჭამის პროცესი საუკუნე გავწელე. ნატას ლოკაცია ჩავუგდე, თუ სად ვიმყოფებოდი, მერე ისიც მივწერე, რომ თუ მალე არ მოვიდოდნენ, წავიდოდი.

სმს-ზე არ მპასუხობდა.

აი, ახლა თუ წავალ სახლში, იფიქრებს, რომ სახლიდან არც გამოვსულვარ და ამ მესიჯებს კვალის ასარევად ვნერდი და სინამდვილეში ლილიასთან ვიყავი — დავასკვენი. თან იმაზე ვფიქრობდი, როცა მკითხა, მომწონდა თუ არა ლილია, ვიცოდი პასუხი თუ არა. ნატა აქ რომ არ ყოფილიყო და ტატაც არ ყოფილიყო, მაშინაც არ მეცოდინებოდა, მომწონდა თუ არ? ხალათმოხვეული რომ ამეტორღიალებოდა, მაშინ რას ვიზამდი? კდემამოსილ სახეს მივიღებდი და ვეტყოდი, რომ მე ერთგული ადამიანი ვარ და ასეთ ურთიერთობებს არ ვემხრობი?

— აბა, ფბ-ში რატომ დაამატე? — მეკითხებოდა ნატა მორიგი დაკითხვისას ვირტუდასის მერე.

— ფბ-ში ასობით მეგობარი მყავს.

— აბა, რატომ უთხარი, რომ საიდანღაც გეცნობოდა?

— მეცნობოდა.

— სიგარეტის მოსაწევად სულ ერთად რატომ დგახართ აივანზე?

— შენ არ ეწევი და რა გავაკეთო?

— ჰაშის მოსატანად ეგ რატომ გამოგყვა?

— ტატას არ ეცალა და...

— მარტო წასულიყავი...

— მაგის ყოფილ შეყვარებულს ჰქონდა და მარტო ვერ მივიდოდი.

— ჰოდა, ამაშია საქმე, ყველაფერზე ასე სწრაფად რომ მპასუხობ, ზუსტად ესაა საეჭვო!

„არ შეიძლება კრუასანს ორი საათი ჭამდე!“ — მოვუწოდე საკუთარ თავს და შევამჩნიე, რომ ამ ვითარებაშიც შოპინგცენტრის ნაცვლად სახლისკენ მივდიოდი. იქნებ მართალი იყო ნატა და ლილიას შებმას ვლამობდი?! არა, მე მინდოდა იმის დამტკიცება, რომ იმდენად მართალი ვარ, სახლში ლილიასთან მარტო დარჩენა არაფერს ნიშნავს! უკაცრიელ კუნძულზეც არ შევხედავდი ლილიას სხვანაირად — ვარწმუნებდი თავს, მაგრამ ფეხს მაინც ვითრევდი. სახლის კართან შევჩერდი და სიგარეტი მოვწიე. ხომ იყო შანსი, გამოჩენილიყვნენ ნაშოპინგარი დები და დამთავრებულიყო ყველაფერი ჰეფი ენდით? არ გამოჩნდნენ.

სახლში ასვლისთანავე ჩემს ოთახში გავმაგრდი, მაგრამ ვერ გავმაგრებულვარ კარგად და ზუსტად ამას მოჰყვა ის დავიდარაბა. ტიტლიკანა ბელგიელების დასანახად ქოლგის შემორტყმა, დების ჩხუბი და სირეგად მოხსენიება.

და მე ისევ იმ ოთახში ვიდექი, უხერხულობისგან თუ დაბნეულობისგან ვერ ვხვდებოდი, რა იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი და ზუსტად ამ დროს, ღვთიური ნიშანივით, ნატამ გადატეხილი ქოლგა მეორედაც მომიქნია. სახლის კარი გამოვაღე, რაღაც ჩავიბურდღუნე და დავტყდი. ასეთ დროს სწორედ გაქცევაა კუნგ ფუს ბოლო ილეთი და პოლიტიკური თავშესაფარი კანადაში.

* * *

ნეტა რა ჩავიბურდღუნე-მეთქი, ვფიქრობდი ეზოს კარიბჭემდე. იქ კი ისევ დედის გინება წამომეწია და მივხვდი, იმაზე მონდომებული უნდა გავქცეულიყავი, ვიდრე ჩემი ფიზიკური კონდიციების ანალიზის შედეგად იყო შესაძლებელი.

— პორტო ძალიან რომანტიკული ქალაქია. დაახლოებით ასორმოცდაათი ათასი კაცი ცხოვრობს. დამახასიათებელი არქიტექტურით გამოირჩევა. მე ვიტყოდი, ქალაქგეგმარების კუთხით ტიპური ოკეანისპირა ქალაქია. ცოტა მანქანები მოძრაობენ. პლაჟები. ტურისტები. მაინც სიმშვიდე, — მიყვებოდა ნუნუ არქიტექტორი წინა ღამით სახლის აივანზე.

ტატას თქმით, ნუნუ გეი კი იყო, მაგრამ ისეთი არა, აქეთ რომ დაგკერავს. იქით რომ უნდა ეჩალიჩო და უგზავნო თაიგულები, აი, ეგეთი.

— ის თქვენი დაა? — მეკითხებოდა ნუნუ ნატაზე, რომელიც მორიგი ჩხუბის მერე იარებს იშუშებდა საძინებელში და გამარჯობაც სადღაც ძალიან შორიდან გამოსძახა სტუმარს. ეს გამოძახებაც არავის გაუგონია, მაგრამ რომ გვეკითხა ან გვესაყვედურა, ასე იტყოდა. ასე გაიმართლებდა თავს.

ჰოდა, პორტო რომ რომანტიკული და წყნარი ქალაქია, ამაზე ვფიქრობდი, როცა მომდევდნენ კივილით. გაქცევამდე ფეხს ავუჩქარე. თან ვცდილობდი, ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ეს უკან ადევნებული ადამიანი და იმის უკან მორბენალი, რომელიც თავის მხრივ იმას მისდევდა, ვინც მე მომდევდა, მე კი არ მომდევდა, არამედ ვიღაც სხვას, შეიძლება საკუთარ თავს, ოღონდ — მე არა. მე კაი ბიჭი ვიყავი და ლოცვაზე მაგვიანდებოდა. პადრე გამიწყრებოდა და ამიტომ მქონდა აღელვებული სახე. დედისტრაკის გინებას არ ვიღებდი პირადში, ან რომც მიმეღო, აბა, ვინ რას გაიგებდა ქართულ ენაზე — ჯერ დედა რა იყო, მერე ტრაკი და მერე ამ ტრაკზე ფიზიკური ზემოქმედება.

* * *

პორტო გამოირჩევა ლამაზი, ვიწრო ქუჩებით, ჰოდა, ჩავტეხე ერთგან და მოვწყდი ადგილიდან მთელი ძალით.

აღმართზე მივრბოდი.

და ამ დროს ტელეფონზე დამირეკა ჩემმა დამ, ლანამ.

— როგორ ხარ, ბრო, ასწორებს?

— ვაა, ლანაააა, — ვუპასუხე ქოშინით.

— რა გჭირს, ხო მშვიდობაა?

— კატამ გაგვტაცა ფულით სავსე ჩანთა და მივდევ რა. არაფერი ისეთი.

— კატამ ჩანთა?

— საფულე, საფულე. თამაშით. სერიოზულად კი არა. მეზობლის კატა. ჩვენი ახლობლის.

— აააა, გასაგებია, მაგრად ხარ შენ ეტყობა...

მესმოდა ლანას მსუბუქი და მხიარული ხმა.

— ნატა ხომ კარგადაა, როგორ გიძლებს?

— ძალიან კარგი ქალაქია. მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით. მოგვწონს.

— მოკითხვა გადაეცი და დამირეკე, რომ დაიჭერთ.

დასასრული მე-12 გვერდზე

ალა დათუკიშვილი

პასტორალური ოცნება

ზელიმხან ხანგოშვილს

დგანან ჰაველზე
ცივი გემები
და აგურისფერ
პოსტდამის სახლებს
ნისლით ლოკავენ.

ხომ არაფერი
არ აქვთ საერთო
ამ ცხელ ყურესთან,
შევარდენების უდაბნოში
აშლილ როკვასთან,

პალმის გემებთან,
თეთრ აფრებს რომ
მზე უუთოვებთ,
ვიდრე სრულიად
არ გადაწვავს
მათ ტილოს სახეს,
ხომ არაფერი
არ აქვთ საერთო
მირზას ქუჩასთან,
სადაც ერთხელაც
დაჭრილი გნახეს.

სხედან მტრედები
და კენკავენ
ორანჟერეის
სასახლის ხორბალს
და ქერა გოგო
შენს ძუნწ მზერას
წამით იპარავს,
მიდიხარ წინ და
ფრთხილობ, რადგან
ზურგში ყოველთვის
მოგყვება ვიღაც,
როგორც წიქარას.

პატარა ბავშვი
მიგანიშნებს
გახსნილ თასმაზე,
შენ დაიხრები
და ასხლტება
მტრედი მინარეთს,
და იკვებება
შენი სისხლით
ევროპის ქუჩა
პასტორალური ოცნებიდან
გამომდინარე.

ჩემი დღეები

ჩემს ღამეებზე კი იცი უკვე,
ახლა მცირედი
ჩემს დღეებზე უნდა გაგანდო,
თენდება,
ოკეანეთიდან
სატვირთო გემებს
ამოაქვთ მზე და
იბადრება ოქროს საბადო.
ვიღვიძებ
შუა აზიიდან
გამოყოლილი სიზმრით
და მომდევს მაგ თვალების
ვიწრო ჭრილები,
მხრებზე დაყრილი
თმების ლივლივი
შემოხსნილი კარის ჭრიალი.

წამით ვნანობ, რომ
არ გავიზარდე ყირმიზივით
ყირგიზი გოგო,
არც შენ არა ხარ ტაჯიკი ბიჭი
და ყველაფერი ბანალური
რეალობაა,
ან იქნებოდა,
შეხვედრის გზებს რომ
ასე არ ვჭრიდეთ.

დრომ მოიტანა,
სამსახურმა,
ცოტაც რუტინამ,
შენ გაიხადე მეამბოხის
ლურჯი ჯინსები,
შემოგიტია კლასიკურმა
ლევინის ხაზმა
და პიჯაკების
ცვენით ივსები.

დუღს კაპუჩინო,
ჩემთან დილა წვენით იწყება,
თითქოს ქოქოსი მაიმუნის
სახით გაფითრდა,
იქ კი, სადაც ჩვენ უნდა ვიყოთ,
მწვანე ჩაია,
და ნონით ჭამენ მწარე ოშის
თუჯის ქვაბიდან.

აცხობს ისტამი ცხელ თონეში
გოგრის სამბუას
და წამწამების ჩამოქნევით
ცეცხლი გიზგიზებს,
ხომ გეუბნები, ვნანობ ხოლმე,
რომ არ მივედი,
არ გავერიე იქ ჩამომჯდარ
ქალებს ყირმიზებს.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ აგერ
ცხადზე ცხადია,
ორმოცი წელი დავატარებ
ასეთ რიჟრაჟებს,
შენი დილა კი იქ დგას,
სადაც შენი ხატია,
სამშობლო,
სადაც დამარცხებაც
სხეულს გიკაჟებს.

სხვა დანარჩენი ჩვეულებრივ
ვსუნთქავ მიზანით,
როგორც იმედით, რომ გავაქრო
სიტყვა ლტოლვილი
და მერე ერთ დღეს ავიხდინო
ყველა სიზმარი,
სიგიჟე — შუა აზიიდან
გამოყოლილი.

ზიზი

წევს შენი თავშლის
დათალხული ნასიზმრალევი
ხის ძველ სკამზე და
შენთან გაყრის საქმეს იძიებს,
რომ შენზე მეტ ხანს
აიტანა სოფლის ზმანება,
რომ შენზე მეტ ხანს შემოაცვდა
ყოფას მიწიერს.
დგას შენი მერხი,
საკერავი რკინის ზინგერი,
რა გააფუჭებს, დროს აქეთ ჭამს
რკინისფეხება,
როგორც ამბობდი, როგორც თავად
გულში იგრძენი,
დღეს სიგიჟემდე მენატრება
შენი შეხება.
შენი თითებით შეკერილი
სარაფანები
გადავაფარე „დესნადვებს“ და
„არლიონოკებს“,
შენ რომ გშვენოდა, იმ ნარინჯის
წლებს ვეპარები,
სახლებს ვუშლი და ცოცხლებს ვუშვებ
კედლის ობობებს.
ატლასზე მეტად შემიყვარდა
ბამბის საცვლები,
აღარ ვსვამ ყავას, რძიანია
ჩაის ფიალა,
უდაბნოს ქარმა თითქოს ჩემი
გამოსარჩლებით
ფარდა წინანდლის სიოსავით
ააფრიალა.
აქეთ აზიზი
მშვენიერის სინონიმია,
შენი სახელი, ოქროსფერი
თმების ლივლივი,
ნეტაი იმ გზებს, იმ ბილიკებს,
შენ რომ გივლია,
ყველა საზვერეს სიყვარულით
გადაივლიდი.
და აგერ სამი ოცეული
წელიწადია,
დღემდე ვერავინ მოვაწონეთ
მამას ბლითები,
შენი წყლიანიც ეტკბილება,
სხვისი მწარეა,
ისეთი ღმერთით სავსე გქონდა
თბილი თითები.
ოქროსფერ თმებზე აბრეშუმის
თალხი მანია
ვერ გიფარავდა მაგ თვალების
მწვანე გარიჟრაჟს,
შენი სახელი არაბულად
ლამაზმანია,
მაგრამ ქართულად,
რა იციან,
რაღას არ ნიშნავს...

წყალი

ფრთხილად იმასთან,
რასაც ვნატრობდით
და, ჰა, მოგვეცა.

ბედუინები უდაბნოს რომ
გადაივლიან,
რომ დაეწვებათ შეილების
თეთრი ფარდები,
ქვიშა და მზე რომ დაუხეთქავთ
ფეხებს ინიანს
და საქალწულე უდაბნოში
შეუხანდებათ.
რომ დაწკრეტავენ წყლის წვეთისგან
ტიკებს, აქლემებს,
სადაც უდაბნოს ხვლიკებიც კი
აღარ არიან,
სადაც ქვის მთები ცემენტისფერ
ქარებს ახველებს,
უცქერს ნავთობის თვალებიდან
ღამეს მთვარიანს.
ამბობენ, ამ დროს შვიდი კარის
ბოქლომს გააღებ,
თუ ლოცულობდი,
მადლსაც ლოცვას
დაესესხები,
შენ დაინახავ ოაზისის
დაწნულ პარმაღებს
და ნახავ, სავსე ჭაზე როგორ
გიდგას ფეხები.
ამ დროს,
ამბობენ,
ამ დროს გინდა
მთელი სიფრთხილე,
რათა არ გახდე სამუდამოდ
მწყემსი ურვილი,

რადგან ერთია, რომ მწყურვალმა
წყალი იხილო,
მაგრამ წყლით მეტი დამხრჩვალაო,
ვიდრე წყურვილით.
ამიტომ ფრთხილად,
რაც ვინატრეთ
და, ჰა, მოგვეცა,
ვისუნთქოთ ფრთხილად,
ვჭამოთ ფრთხილად,
ფრთხილად ვიაროთ,
ღმერთო, მშვიდობით გაგვატარე
უდაბნოს გზებს და
მოგვეცი წყალი,
თუ მადლის დროს
ვადამიანობთ.

სტოკლეს სასახლე

ათოვს ტერვერენის გამზირს,
ხავსის თვალები აქვთ კედლებს,
ადოლფი ქუჩაში დადის
და თითქოს ვიღაცას ეძებს.
ისეთი სიშმაგით ხაპავს
ქალების უცხოურ სახეს,
დაჰყურებს მეგობრის ნახატს
და ისევ მუჭაში ახვევს.
მე კი სიცივე მკბენს თითზე,
რაღაც აირია დროში,
ვიდექ უდაბნოზე,
ხიდზე,
ახლა სტოკლეს ვხედავ თოვლში.
მოდის ვიკინგური რწევით,
აბნევს მტაცებელის მზერას,
მიახლოვდება და ვხვდები,
თმიდან ფეხებამდე მზვერავს.
არ ვიმჩნევ, მივყვები გამზირს,
წესით აქ არა ვარ — ვამბობ,
საკენკს რუხი მტრედი აზის
და ნისკარტს ფიფქებში ალბობს.
სტოკლეს მარცხენა ხელს ვხედავ,
ბუენაროტიდან ნათალს,
მოსდევს კლიმტის კოცნის სევდა,
თან მეფურ მასკარადს მართავს.
ალბათ სიზმარია ისევ,
ხელებს ლავიწებზე ვიშენ,
ქალს როტვეილერი მისდევს
კაუჩუკის ძვალით პირში.
და ისე დაჰყეფა ქუჩას,
თითქოს დედამიწა ერჩის
ადოლფის გიგანტურ მუჭას,
ის, ვინც უკავია ხელში,
ზამთრის ტერვერენის ნახატს
შესჩერებია და ბოდავს,
— წესით აქ არა ვარ ახლა,
— წესით მე არა ვცემ ბოლთას!

შობა წალენჯიხაში

წალენჯიხაში თოვლი მიწას თვალებს უხატავს,
გარეთ შობაა, ყველა ბავშვის დიდი დღეობა,
შენ ერთი ჭიქა საფერავით ზიხარ ბუხართან
და შეყინული თმენით წვეთავს ინწრას ხეობა.

რაღაცეები სხვანაირად უნდა გავლექსო,
ჭირხლის ბურუსებს სახეები გაორებია,
მთელი ცხოვრება აწებებენ კანონს კოდექსებს,
რადგანაც რთული, უკოდექსო კანონებია.

რთულია გზები,
რომლებზედაც ერთ დღეს შედექი,
რადგან სულს გხდიან შედეგების შემომატებით,
კართან კი გრძელი რიგი დგას და
ამბობ — შემდეგი,
და შემოდიან არშემდგარი დიპლომატები.

სადღაც კი ლოცვას თითქოს სუნთქვა ამოაყოლეს,
ისე დარეკეს ეკლესიის ძველმა ზარებმა
და ისწორებენ სარკეებში მიტკლის საყელოს
ისინი, ვისაც ვეზირობა არ ეზარება.

გადაივაკეს ქარბუქებმა, ბრძენობ წლებია,
რამდენს ელხინე, ეამბორე, რამდენს ეომე,
დრო კი მშვენიერ ირმის ნახტომს დამსგავსებია,
აგერ იწყება ორი ათას ოცდამეორე.

როგორც ყოველთვის,
ესთეტიურ სუფრას გიშლიან,
მსუბუქი ხემსით ფაიფურის თეფშზე სადილობ,
ლექსში კი არა, ისე,
როგორც მხატვრულ ფილმშია,
სოფლის ძაღლების აყეფებას ახშობს ალილო.

გარეთ კი თოვლი წალენჯიხას თვალებს უხატავს,
ქრისტესშობაა, დედამიწის დიდი დღეობა,
შენ ერთადერთი სანატრელით ზიხარ ბუხართან
და შეყინული თმენით წვეთავს ინწრას ხეობა.

წინანდლის ალილო

ხელი მომეცი, ხილი არ მინდა,
მაქვს ხელისგული ფიფქების ამწე,
როგორც შეშლილი ხილიანიდან,
ჩემს სოფელზე და კომშებზე დავწერ.

გზები ნაპრალებს დაიამებენ,
ითოვებს ღამე დანაპირები
და ცდოს მუხლებში გაიანვრებით
აცეკვდებიან ტყესთან ირმები.

მიწა წინანდლის ლოცეს და ლოცეს,
მაგრამ ტკივილებს რა გაიქარვებს,
მოვა თოვლი და წმინდა სამოსელს
გადაუკოცნის მამა მიქაელს.

ტრადიციულად, როგორც ცივიდან
კავკასიონის მაღალ ყელამდე,
დემეტრეს ძველი ეკლესიიდან
დაუყვებიან ნათლისმცემლამდე.

და იმღერებენ სოფლად ალილოს
ბავშვები, უფლის თეთრი გუნდები,
რომ ღმერთმა მეცხრე ზეცა გაგვიღოს,
სადაც ოდესღაც ყველა ვბრუნდებით.

ხელი მომეცი, ხილი არ მინდა,
მაქვს ხელისგული ფიფქების ამწე,
მიყურებს სოსო ხილიანიდან,
დამავიწყდა თუ ამ ლექსშიც დავწერ.

საუკუნეებს ეპატრონება
ეს თოვლიანი კიპარისები,
დარდად როცა მცლის ქვიშის ცხოვრება,
მე წინანდლური ლხინით ვივსები.

წითელი მოცხარი

მაკა შალიკაშვილს

თვალები შენი როცა კრეფენ
წითელ მოცხარებს
და შავ კაბაზე გული გიცემს,
როგორც კოლიე,
მირონივით რომ ანაწილებ
ლექსის მოძღვრებას,
ან თვით მირონი გელექსება,
ასე მგონია.
მე,
აგერ უკვე ერთი თვეა,
ხმა მაქვს ჩამწყდარი,
აქეთ ომები, იქით ძველი
პანდემიები,
შენ კი მოვარდი ლექსიანი
რითმა ავდარი,
დამიდონორე სასტრიქონო
არტერიები.
არ მელექსება, მაგრამ, აჰა,
მაინც გამლექსე,
მოდიხარ,
მომდევს ხმელი ტანის
ფაიფურები,
ომს გავაპობდით,
ყველა მიწას დავიბრუნებდით,
რომ მოვიხვიოთ შენი ლექსის
ტაიფუნები.
მაგრამ
მე აგერ უდაბნოში
ჭასთან ვახანებ,
სხვა მეგობრები, რახანია,
კოლიზეუმთან,
გომელაური მაგალითად, —
გაზეციურდა,
დამინებული მეგობრობაც
გამომზეურდა.
გამომზეურდა,
ამოჭამა მზემ ყველა ჩრჩილი,
ამოუცნობი სიზუსტეა,
რა რის ღირსია,
საიდუმლო კი, როგორც ამბობს
ძია ჩერჩილი,
შენახულია მაშინ, თუკი
ის არ იციან
და ამ იდუმალ მისტიკაში
ვცხოვრობთ მე და შენ,
მხრებზე უნაკლოდ გახვევია
შალი ქაშმირის,
შენ, ჩემო მაკა, გეწურება
ლექსი ზედაშედ
და გვარს გიმაგრებს გენერალი
შალიკაშვილი.
თვალები შენი როცა კრეფენ
წითელ მოცხარებს
და შავ კაბაზე გული გიცემს,
როგორც კოლიე,
როცა ტუჩები იმღერებენ
წმინდა ლოცვანებს,
ლექსის მესაზე უდაბნოდან
გამიყოლიე.



ჯემალ ინჯია

გან-გან-გან
გურამიშვილი, გაბაშვილი,
გელოვანი, კალანდაძე, სულაბერიძე

იმ დონემდე როგორ უნდა დავიდე,
დავივიწყო, რაც კი ვალად დავიდე.

გავიწირეთ საწუთროდან დავითო —
თქვენგან მესმის, ბესიკ, მირზა, დავითო.

ცრემლს სმოლენსკი, მირგოროდი, იასი
საჭიროებს ანასი და იასი.

ნატვრად მაქვს, რაც ერთხელ გულში ჩავიდე,
მეგრულ სოფელ ტრაპიზონში ჩავიდე.

მოქალაქემ ქართლის ქალაქ გორისა,
კარგად ვიცი თუ ვარ ვისი გორისა.

ლოცვა ებრაელი დეგის სულთათვის

ჩვენ ქიმიას და ფიზიკას გასართობი,
სახალისო ცდებით,
გვასწავლიდნენ ეთერი და მაზალტობი —
ებრაელი დები.

ჩვენნაირად გავლეს მათაც დრო ჯახირში,
შეზრდილებმა გორთან.
ღმერთო, ქართველ ებრაელთა ოჯახიშვილთ
მიმიხედე, ორ დას.

* * *

მითხარი, თავი რად ჩაჰკიდე დაბლა, ნეტარო,
შენი ალერსით მე ჯერ ხომ არ მტკივა კუნთები.
ასტრონომი რომ ვყოფილიყავ და პლანეტა რომ
აღმომეჩინა, მას შენს სახელს მივაკუთვნებდი.

ბევრი დამიჭკნო დავიწყების ნისლმა პიონი.
აიდის ღია კარს ჯერ ხნობით ვამტვრევ მარტივად.
ჩემთვის შენა ხარ შემოდგომის მზის ლამპიონი,
ჩემი სიკვდილის შეუცვლელი ალტერნატივა.

* * *

გადაფოთქილან ტუხტები,
ვარდებმაც გაიმაისეს.
ასპიროზივით უხდები
საქართველოს ცას აისზე.

სასწაულია ბუნების
შენი თვალების ორი ჭა,
რომლებშიც ჩვენი გულების
მესაიდუმლე გორი ჩანს.

ლექტორები
რკინიგზის სადგურში

გორის სადგურის ვდგავართ ბაქანზე,
ცივა (და იქაც ციოდა — შიგნით).
ოთარ ჩხეიძემ ლექტორ ბრახვაძეს
თბილი წარწერით აჩუქა წიგნი.

ქალმა მცირე ხანს წიგნში იყურა,
სახე გაუხდა ცოტა ყეყეჩი,
მერე წარმოთქვა პათეტიკურად —
წავიკითხავო მატარებელში.

მწერალმა უთხრა მავალს ხეირზე:
რა გამაცინე! შენ რა გითხარი?!
არა აქვს წიგნი ოთარ ჩხეიძეს
მატარებელში წასაკითხავი!

გზავნილი სამყაროს

ჩვენ მას ვკარგავთ!..
ადრენალინი სასწრაფოდ!!!
დეფიბრილატორი!..
მოემზადეთ: ერთი... ორი... სამი...
მუხტი!!!
კიდევ! ერთი... ორი... სამი...
მუხტი!!!

— მარკ, თუ ღმერთი გწამს, არ მიმატოვო... ისევ დამუხტეთ!!!

— ექიმო ჯონსონ, ვწუხვართ... გარდაცვალების დრო... 00 საათი 01 წუთი.

— მარკ... ჩემო ღიმილო!..

* * *

ეს ამბავი მაშინ დაიწყო, როდესაც პირველად ბრუკლინში საღამოს ათზე გონებაამღვრეული გავედი ბარიდან, სადაც საუკეთესო სასმელად უემოციო ბარმენის გაურკვეველი წარმომავლობის ვისკი ითვლებოდა. თუ გაგიმართლებდათ და იმ დღეს ბარმენი მოახერხებდა სახლიდან გაპარვას ისე, რომ მისი ცოლის, სტელას, მომზადებულ ომლეტს არ დააგემოვნებდა, მაშინ ვისკის ჭიქასთან ერთად უნიჭო ღიმილით ჩამოცმულ ლაიმის ნაჭრითაც გაგიმასპინძლდებოდათ.

დეკემბრის სუსხში გახვეული უსახლკაროებით სავსე იყო ქუჩა...

ჩემი ყურადღება პატარა გოგონამ მიიქცია, რომელსაც რკინის კასრში დანთებული ცეცხლის ალიღა უგიზგიზებდა უღმერთოდ დარჩენილ სევდიან თვალებს და პატარა გაყინულ თითებს გასათბობად სულს უბერავდა, თითქოსდა არ ენდობოდა მხურვალედ მოგიზგიზე სახელდახელოდ დანთებულ კოცონს.

გზა ბრუკლინიდან მანჰეტენამდე არც თუ ისე ახლო იყო და არც მე მელოდა შინ არავინ, ვინც ჩემი მისვლის წამებს საათის ციფერბლატს მოჰპარავდა და მარადიულობად აქცევდა... ამიტომ გადავწყვიტე გოგონასთან მისვლა და ჩემი შეციებული სულის მასთან ერთად გათბობა.

— გამარჯობა! ცივა, ხომ? არაფერს მეტყვი?

ისე მეწადა მდუმარების მიღმა დაგუბებული სევდის ამოძახილის მოსმენა, რომ გაუჩერებლად ათას კითხვას ვაყრიდი, თუმცა ამაოდ... ყოველი კითხვის დასმისას მხოლოდ თვალებით შემოხედვას და უსაზღვრო დაუშრეტელი სევდის ოკეანედ ნაქცევ დარდს ვიღებდი.

ასე ვიდექით ორი შეციებული სული ბრუკლინის ქუჩის კუთხეში და ჩვენი წარსულის აჩრდილთ უენოდ ვიხსენებდით...

მდუმარებას კი მხოლოდ ქუჩის მუსიკოსის მიერ შესრულებული სიმღერა „We are the world“ გვირღვევდა...

— მე ელენი მქვია... შენ?.. ანუ... კარგი...

— მე მარკი ვარ.

მოულოდნელი სიხარულით ამევსო სხეული. ღმერთო, რა სათუთი და ნაღვლიანი ჟღერადობა ჰქონდა ხმაში... პირველსავე ბგერიდან სულში მეღვრებოდა და, ღმერთია მოწამე, იმ ღამით მანჰეტენამდე წასვლას ბრუკლინის კუთხეში მასთან ერთად სევდის ალით აგიზგიზებულ კასრთან ერთად დარჩენა მეწადა...

— უნდა წავიდე. მალე ექიმი ჯონსონი მოვა და თუ ვერ მივუსწრებ, ღამით ისევ მშიერს მომიწევს დაძინება... იცი, რა ძნელია? თუმცა მე უკვე მივეჩვიე და ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე... აი, გაიხედე... იმ ურნასთან ბიჭს ხედავ?

— კი.

— მას ბობი ჰქვია... ბობი ვერ მიეჩვია... არ მისმენს, ვუხსნი, მაგრამ რატომღაც არ უნდა მოსმენა და ალბათ მაინც ჭამა ურჩევნია.

— და შენ როგორ მიეჩვიე?

— გასწავლი... წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ბრონქსზე ბენის ბურგერ ქლაბში ვარ და დიდ ფუმფულა ბურგერს მივირთმევ ანჩოუსით, პეპერონით, სტეიკითა და ცხარე საწებლით... მერე ფრთხილად ვკიდებ ხელს ისე, რომ ბურგერიდან სოუსი არ დამეღვაროს (ჰო, ყველაზე გემრიელი ეს სოუსია და მისი დაღვრა არ შეიძლება). მერე კი, როცა დასაძინებლად თავს ვდებ, ვფიქრობ, როგორ გემრიელად ვივახშმე ბრონქსის ბურგერ ქლაბში და ვიძინებ... შენც გშია ხოლმე?

— კი...

— შენ რას წარმოიდგენ ხოლმე, მარკ?

— მე? მე... სულს, ჩემო პატარა ანგელოზო, სულს... შეიძლება, ექიმ ჯონსონთან მეც გამოგყვე?

— კი...

თოვდა... ჰაერში გაჟღერებულ წარმოუდგენლად სულისშემძვრელ სიმფონიას ასრულებდა ფიფქთა ორკესტრი. მივდიოდით ბრუკლინის ქუჩაში ორნი — მე და ელენი... მე ჩემი სამყაროს შეუცნობელ ლაბირინთს ვიკვლევდი რწმენის და კაცთმოსაობის შესაგრძნობად, ხოლო ელენს ანგელოზთან — მის სოფი ჯონსონთან შეხვედრა ეწადა...

ქუჩის ბოლოს სახელდახელოდ მოწყობილ საველე კარავთან შეკრებილ ხალხს მივადექით... ელენი რიგში მორჩილად ჩადგა მისი წილი ცხელი წვნიანის მისაღებად... ღმერთო, ეს რიგი კი არა, უშრეტი სევდის ოკეანე იყო, სადაც ცხოვრების ხიდიდან გადამხტარი სულები მის ფსკერზე საუკუნო გოდებისთვის იყვნენ განწირულები... სულს მიხლეჩდა ამ უკიდეგანო ოკეანის თვალუწვდენელი მღელვარება... როორ მინდოდა, ვინმეს თუნდაც პეშვით ამოენთქა ეს სივრცე და გადაერჩინა ბევრი ელენი, ბობი თუ ქეთრინი... მაგრამ ამაოდ შევცქეროდი ამ ოკეანეს, რომლის ნაპირთან მხოლოდ ერთი მოციმციმე შუქურა, სახელად ექიმი სოფი ჯონსონი, იდგა და გზას უნათებდა ბედის უკუღმართობით ოკეანეში უგზო-უკვლოდ დაკარგულ განწირულ სულებს.

ელენის წყალობით გავიცანი ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი სინათლე — ექიმი სოფი ჯონსონი, რომელიც მანჰეტენის წმ. ნიკოლოზის სახელობის საავადმყოფოში ექიმად მუშაობდა და ყოველ საღამოს ცვლის დასრულების შემდგომ ცხელი წვნიანით ბრუკლინის ქუჩის კუთხეში ანგელოზობდა...

ბევრი აღარ გვიფიქრია, ელენის და ბობის დახმარებით დეკემბრის სასრულს შევუღლდით და მეჯვარეობის პატივი სწორედ რომ ელენს და ბობის ხვდა წილად.

დღეს დღე მისდევდა და ჩვენი ბედნიერებით სავსე სამყაროში ყოველი წამი უფლისგან დალოცვილ ქადაგებად ქცეულიყო.

ამ ბედნიერებას კი გვირგვინად ელენი გვივსებდა, რომელიც ბალეტზე შევიყვანეთ. სოფის სწამდა, რომ მას ნიჭი ჰქონდა, თუმცა ისე უღიმღამოდ იქნევდა ფეხებს, გეგონებოდათ, ქუჩაში აკიდებულ ცუგოს იგერიებდა... მაგრამ მეც მორჩილად უნდა მერწმუნა ელენის უნიჭობით აღსავსე ნიჭიერების და საღამოს ხუთზე ბროდვეიზე საბალეტო სკოლისკენ მივაქანებდი, ხან ბურგერის, ხან ნაყინის და ხან პარკში გასეირნების დაპირების ხათრით...

ერთ მორიგ რეპეტიციაზე მივეშურებოდით. იმ დღისით სოფის საავადმყოფოში დარჩენა უწევდა, ჰოდა, გადაწყდა, რომ მე და ელენს, ბალეტის უბადლო შემსრულებელს და მომავალ პრიმას, მასთან უნდა გაგვევლო სავახშმოდ.

საშინელი ამინდი იყო და გადავწყვიტეთ, მანჰეტენამდე ტაქსით მივსულიყავით... ელენს ისე ეჩქარებოდა ბრონქსის ბურგერ ქლაბის ბურგერით რუდუნება, რომ მკვირცხლად გადამიხტა ტაქსიდან და ფილაქანზე საავადმყოფომდე შურდულივით გაქანდა...

შეშინებული გადავხტი ტაქსიდან და ელენს გავეკიდე...

— ელეეეენ, დამიცადე! ელეენ, შეჩერდიიი!!!

მკვეთრ სინათლეს ვგრძნობდი თვალებთან და უცნაურ ბურუსში იძირებოდა ჩემი სამყარო...

* * *

ჩვენ მას ვკარგავთ!..
ადრენალინი სასწრაფოდ!!!
დეფიბრილატორი...
მოემზადეთ: ერთი... ორი... სამი...
მუხტი!!!
კიდევ! ერთი... ორი... სამი...
მუხტი!!!

— მარკ, თუ ღმერთი გწამს არ მიმატოვო!.. ისევ დამუხტეთ!!!

— ექიმო ჯონსონ, ვწუხვართ... გარდაცვალების დრო... 00 საათი 01 წუთი.

— მარკ... ჩემო ღიმილო...

ვერ ვხვდებოდი, რატომ მემშვიდობებოდა ჩემი საყვარელი ქალი ან რატომ არ ესმოდა ჩემი ძახილი!!!

ნუთუ ეს დასასრულია? კი, მაგრამ, ჩემი გზავნილი? ნუთუ თქვენც არ გესმით ჩემი?! და თუ ასე არაა, გადაეცით ეს გზავნილი სამყაროს — იზრუნეთ თქვენს წილ ელენზე, ბობზე და მაქსზე! იქეცით დედამიწაზე ანგელოზად, როგორც ეს ექიმ სოფი ჯონსონს შეეძლო!

მე... მე კი ამით ჩემს სულის შიმშილს თქვენს მიერ გაკეთილშობილებულ სამყაროში ბრონქსის ბურგერ ქლაბის ელენის საყვარელი ბურგერით მოვიკლავ.

ბარმენთან საუბარი

— როგორც ყოველთვის?

— როგორც ყოველთვის!..

— ეს თქვენი ლუდი...

და ესეც საღამოს საუბარი ბარმენთან:

— იცი, სტივ, უკვე დიდი ხანია, რაც ჩემს ბარს სტუმრობ და შენზე იმდენად ბევრი რამ ვიცი, რაზეც, შესაძლოა, არც ერთ შენს მეგობარს წარმოდგენა არ ჰქონდეს. შეიძლება ითქვას, შენი საუკეთესო მეგობარი ვარ, თუმცა რატომღაც არასოდეს დაინტერესებულხარ, ვინ ვარ, რას ვფიქრობ, რა მინდა, რა მიხარია ან რა მწყინს. ასე უბრალოდ, მოდიხარ და კათხა ლუდზე მიწევს დაუსრულებლად ვისმინო, თუ როგორი ღამაზი იყო ლინდა, როდესაც მას პირველად შეხვდი ან თუნდაც აზრს ვისმენდე შენგან, რაა სიყვარული და რა — ადამიანური სიმდაბლე... მერე ისევ ახალ კათხას ითხოვ, სულმოუთქმელად სვამ და ამ სიტყვებით მემშვიდობები — ეჰ, მეგობარო, ჩვენი სამყარო უბრალოდ დამპალ ჭაობს ჰგავს, სადაც ნელ-ნელა ნებით ვიძირებით. ხურდა დაიტოვე, შენ ეს დაიმსახურე! — ასე უბრალოდ იღიმი და მიდიხარ.

— მე... მე არ ვიცოდი...

— კარგი, სტივ, კარგი... ბართან სხვაზე ან სხვის გრძნობებზე ფიქრს ჩვენ, ბარმენები, ვაქარვებთ.

— შენზე მომიყევი, ბარმენო...

— სტივ, სტივ, ჩემი სახელითაც კი არასოდეს დაინტერესებულხარ, უბრალოდ შენი ტკივილის დიდ მეგობრად მთვლი, სულ ესაა. დაგისხა, სტივ?

— კი. კიდევ ერთი, თუ შეიძლება.

— ესეც ლუდი და ესეც საღამოს საუბარი ბარმენთან. ხურდა არაა საჭირო, უბრალოდ ეცადე, დამპალ ჭაობთან მდგარმა მხოლოდ შენი სიმდაბლის სიმძიმილზე ფიქრის ნაცვლად სხვას ჩასჭიდო ხელი....

— მე... მე მინდა, ვიცოდე — რა გქვია?

— ბარმენი, სტივ, ბარ-მე-ნი!

LE BAR

5 აგვისტოს საღამო იდგა...

ჩემი ამ ქვეყნიური რეინკარნაციის თარიღს დღეები მაშორებდა და, როგორც ყოველთვის, ჩვეულად ჩემში აუხსნელი სევდა ნელ-ნელა მიმძაფრდებოდა, ამიტომ საღამო ჟამს გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის წინა სარეინკარნაციო დღესასწაული მეჩუქებინა და ღამის პარიზის ინტიმური ატმოსფეროთი გაჟღენთილი ბარის პატარა წითელი კარი შემეღო, საიდუმლო კი თავად ამ დიდებული ბარის განსახიერება იყო, მხოლოდ არაწესიერი ყავისფერი კარი მარაის გულში მდებარე ვიწრო ქუჩაზე უღალატებდა ამ პატარა ადგილის არსებობას.

მკაცრ, მაგრამ სამართლიან კარისკაცთან მოლაპარაკებების შემდეგ მივაღწიე, შიგნით შევეშვი და შემეღო ჩემი წითელი კარი...

სიამაყითა და კმაყოფილებით განცდილი იქვე, ბართან, ჩამოვჯექი მყუდრო, სუსტად განათებულ ინტერიერში.

კოქტეილის მენიუ მოკლედ, თუმცა შესანიშნავად ჩამოეყალიბებინათ. ალკოჰოლური სასმელები უმაღლესი ხარისხისა გახლდათ, სავარძლები და დივნები საოცრად კომფორტული... ბევრი მათგანი ხშირად დაკავებულია ხოლმე, ასე რომ, თუ გინდათ, ადგილი წინასწარ შეარჩიოთ და თქვენი ფიქრები, ოცნებები წარმოუდგენელ ლაბირინთში ამოგზაუროთ, ადრე ჩამოდით...

ბარმენი ვირტუოზული ოსტატობით ჟონგლიორობდა ჩემ თვალწინ და აშკარა იყო, ამ ოსტატობით დაღლილს მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა — მის წინ მჯდომი „იდიოტი“ როდის შეუკვეთდა სასმელს, ამიტომ ჩემი „იდიოტობის“ ხანგრძლივობით შეშინებულმა დავინდე თავი და ბარმენს შევუკვეთე:

— რაიმე მაგარი... ორმაგი!

პირველივე ჭიქა უყოყმანოდ გამოვცალე და ცერემონიულად ბარის დახლზე ხმაურით დავდგი ნიშნად იმისა, რომ ჩემი „იდიოტური“ მე მეორე ულუფას საჭიროებდა, ამიტომ ყოველგვარი თქმის, თხოვნისა თუ შეხსენების გარეშე ჩემი ჭიქაც ნეტარი სითხით ნელ-ნელა ივსებოდა...

ასე ფიქრაღრეული და ბედს მინდობილი ღამის აჩრდილი ვიკარგებოდი სუსტად განათებულ ინტერიერში, როგორც უნიჭო მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი ნიჭიერებით აღსავსე მილიონერის კედელზე ჩამოკიდებულ რიგით პორტრეტად...

5 აგვისტოს ღამე იდგა...

ფიქრებიდან წითელი კარის ჭრიალმა და კარისკაცის ხრინწიანმა ხმამ გამომარკვია:

— აქეთ, მადმუაზელ!..

კარიდან ბარის დახლამდე სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯი იყო და, გეფიცებით, ამ ნაბიჯების თითოეულ გადადგმას მონოტონური ხმის წყალობით ვგრძნობდი. მესმოდა, როგორ იცვლებოდა მადმუაზელის მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლის წკაპაწკუპი:

წკაპ...

წკუპ...

და ისევ, ასე ოცამდე...

არა, არასოდეს მივუარყვია, რომ როდესაც ღმერთი ჩემს მოვლინებაში გართულიყო, ჭკუის გარეშე უზელია ჩემი ტალახი, თუმცა ამ შემთხვევაში, მგონი, ტალახისგან ხელების გასვრაც დაზარებია...

და აი, ისიც...

ღმერთო ჩემო...

ის ჩემს გვერდით სკამზე, ბარის დახლთან, ჩამოჯდა...

ათასმა აზრმა გამიელვა თავში — როგორ მივტრიალდებოდი მისკენ, როგორ ვკითხავდი სახელს, როგორ დავპატიჟებდი სასმელზე, როგორ ვთხოვდი პარიზული ღამის შეურაცხადად აღიარებულ ჰანგებზე გარიჟრაჟამდე ცეკვას, როგორ შეეხებოდა მის ბაგეს ჩემი ბაგე, როგორ ავუხსნიდი სიყვარულს ღვთისმშობლის ტაძარ-

თან, იქ, სადაც მარადიული სიყვარულისა და სევდის ქალღმერთი ესმერალდა მახინჯ და ყველასაგან მიგდებულ სიყვარულის მეუფეს, კვაზიმოდოს, მკლავთა სასთუმალზე ესვენა; როგორი პერფორმანსით ვთხოვდი ხელს ელისეის გაშლილ მინდორზე შეკრებილი აურაცხელი ათასი რჯულის ადამიანის თვალწინ და როგორ დავიფიცებდი მის ერთადერთობას მთელი კაცობრიობის თვალწინ...

მაგრამ ვერ შევხედე...

თავჩარგული მხოლოდ მის წითელ ქუსლიან ფეხსაცმელს და კაბის ჭრილს ვხედავდი...

ჩემი ტანჯვა ისევ და ისევ ბარმენის „იდიოტობის“ თეორიის წყალობით დასრულდა. როგორც იქნა, ჰკითხა:

— რას ინებებთ, მადმუაზელ?

— მხოლოდ წითელი ღვინო. თუ შეიძლება, ორი ჭიქით მომართვით.

გაოცებულმა შევხედე ბარმენს და მანაც გაურკვეველი გამომეტყველება შემომაგება. მგონი, ამჯერად ორივე იმაზე ვფიქრობდით, რად უნდოდა მარტო მყოფ უცხო ქალბატონს წითელი ღვინო და ისიც ორი ჭიქით...

ფიქრები კვლავ გახელდა...

ნუთუ... არაა... როგორ შეიძლება, ასე უბრალოდ მოვწონებოდი და მეორე ჭიქა ჩემთვის შეეკვეთა... მაგრამ იქნებ მართლაც ასეა?..

სასწრაფოდ გავიმართე წელში, ბარმენს თვალი ჩავუკარი და სიგარაზე ვანიშნე, მოეკიდებინა, რათა უცნობი ქალბატონის თვალში ჩემს სულელურ ქცევას მეტი ეფექტი მოეხდინა.

ჩემდა გასაკვირად, ქალმა შევსებული ერთი ჭიქა თავის გვერდით ცარიელი სკამის წინ, დახლზე დადგა, ერთით კი თავს იქცევდა...

მისი საქციელით გაოგნებული და მონუსხული ჩემი გონება გაურკვევლობას ებრძოდა.

წუთს წუთი მისდევდა, ბარის დახლთან დრო გვიმარადიულებდა წარსულისგან შემორჩენილ ღიმილებს და ეპოქალურ მოვლენებად ჩვენი ცხოვრების თითოეულ ფურცლად სათუთად ვკინძავდით.

6 აგვისტოს დილა თენდებოდა...

ქალი წამოდგა, ბარმენს მხოლოდ ერთი ჭიქის საფასური გადაუხადა, გაწბილებული ბარმენის თხოვნას, მეორე ჭიქის საფასურიც გადაეხადა, ღიმილით უპასუხა:

— ჩემი მოგონებები გადაიხდიან!..

ასე უხმოდ, უემოციოდ დაიცალა წითელი სევდით შევსებული ბოკალი და მაღალ ქუსლებზე შემდგარმა ქალმა გრაციოზულად დატოვა ფიქრის ნავსაყუდელი სახელად: „Le bar“...

6 აგვისტოს გარიჟრაჟი იდგა. ნახევარი ბოთლი ვისკისა და ერთი ბოკალი ღვინისგან შეზარხოშებულ სხეულს თმობდა ჩემი ფიქრები და მიჰყვებოდა ქალს...

„Le bar“-იდან გასულს...

მაღალი ქუსლებით...

აგიზგიზებული ხიბლი ჩემივე ხელით ჩამეხშო და ფიქრით შეცდომილს აღსარებაზე სასჯელად დაკისრებული მეტანიები გარიჟრაჟამდე მეკეთებინა.

მახსოვს, როგორი აღტყინებით ჩავირბინე ტრაპი და შიპოლის აეროპორტის გასასვლელში მდგომ ტაქსიში წამიერად აღმოვჩნდი. გეზი წინასწარ დაჯავშნილ სასტუმროსკენ ავიღე, რადგან ერთი სული მქონდა, ბარგი პორტიესთვის მიმებარებინა და ქალაქის სილამაზით თუ ჯერ არგანცდილი ხიბლით სიამოვნება მიმეღო. ასეც მოვიქეცი — ბარგი პორტიეს მივაბარე და ჩემი მეტანიების მიზეზად ნაქცევი წითელი ფანრების ხეივნისკენ გავეშურე.

საღამოს 9 საათი იდგა, ქუჩას ნელ-ნელა ეპარებოდა ლამპიონების სიწითლე და ჰაერში გაბნეული ცოდვის თავისუფლების სურნელი. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა ეს ჩემთვის, როგორც სასულიერო აკადემიის სტუდენტისთვის, რომლის თვალწინ იშლებოდა სიძვის მთელი დიდებულება — ასე მეგონა, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან ვიდექი და რაღაც ძალა მაიძულებდა, ჩემი შეგრძნებებით შემემტვრია დოგმად ნაქცევი ნაბოქლომარი რკინის კარიბჭე და მთელი მისი დიდებულებით ტკბობას მივცემოდი.

გაოგნებული სახის გამომეტყველებით დავხეტიალობდი ქუჩაზე, რომლის ყველა შენობის ვიტრინაში წითელი შეფერილობის ფონზე ლილიტი ცეკვავდა... თითქმის ყოველ ნაბიჯზე ცდილობდნენ ქუჩის მომთაბარე მანდილოსნები, ტკბილი ნექტრით აღევსოთ ჩემი სხეული, თუმცა წარმოუდგენელი სიმტკიცით ამაოდ გაწბილებულს ვტოვებდი, ალბათ იმიტომ, რომ ჩემში შინაგანად ძალად გამოკეტილი სული აღსარებაზე მიიჩქაროდა, რადგან კვლავ თვითგვემას საჩუქრად მეტანიები ებოძებინა.

რაც უფრო მეტ ნაბიჯს ვდგამდი, ვგრძნობდი, მით უფრო ვკარგავდი სიმტკიცის ყველა ბერკეტს და სულსაც სამარადჟამო განსხეულებულ სიამოვნებას ვგვრიდი. ერთ-ერთი ვიტრინის წინ სახელდახელოდ მოეწყოთ ბარ-რესტორანი, სადაც შეგეძლო, სასმლის ფონზე დამტკბარიყავი ლილიტის ცეკვით ღვთისგან შექმნილ სამყაროში და მეც, როგორც ღვთისგან ქმნილი მორიგი ნაზელი ტალახი, რის ადამიანი ვიქნებოდი, ჩემი ადგილი არ აღმომეჩინა იმ ბარ-რესტორნის ერთ-ერთ მაგიდასთან და გონამღვრეულს არ მეცქირა ნეტარი ლილიტისთვის. ჭიქა ვისკის კიდევ ერთი მიემატა. ასე მეცლებოდა ბოთლში ალკოჰოლი და მასთან ერთად ყოველგვარი შეგონებული სტიგმები თუ დოგმები, რაც კი ოდესმე მოძღვრებაში ნასწავლი თუ მოსმენილი მქონდა.

გაცხოველებული ვნებით ცეკვავდა ჩემ თვალწინ სამყაროს ყველა ფერები, რასაც სიშიშვლითა და სხეულის ენით ჩემს გულამდე მოჰყავდა ვიტრინის ქალღმერთი და მეძავთა მარგალიტი სახელად — ლილიტი.

ვნებისა თუ ალკოჰოლის თრობისგან გაბრუებულს უეცრად ხმა შემომესმა:

— ვისკის კიდევ ინებებთ, სერ?

— კი. კიდევ ერთი ჭიქაც!

— სერ, თქვენთან შეხვედრით მოხარული იქნება ჩვენი ვირტუალურად მოცეკვავე ქალბატონი, თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ხართ.

იმ წამს გონებაში ფიქრმა ქაოსურად იწყო ტრიალი — მეძლეოდა შესაძლებლობა, ჩემს ვნებას, ყველა შეგრძნებას დღის სინათლე ეხილა და სხეული სიამოვნების ნაზვირთ ოკეანეში ჩაძირულიყო, ამიტომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შემოთავაზებაზე დავთანხმდი და ბარის სიღრმეში რენესანსის პერიოდის მთელი ეშხით გასხივოსნებულ ოთახში შევაბიჯე, სადაც ნათელს ნელ-ნელა ეპარებოდა წითელი ფერი. ოთახის კუთხეში განთავსებულ საწოლზე აღუწერელი ვნების კოცონი ენთო, რომელშიც შეუმოსავი ქალღმერთის სილამაზე ალად ედებოდა ჩემს სულს...

— ახლოს მოდი... დაჯექი, ნუ გერიდება...

— რა გქვიათ, მის?

— რაც გსურს!

— მსურს, თქვენი ნამდვილი სახელი მითხრათ.

— რისთვის? წუთიერი ვნების გამო, რომელიც ამ ოთახიდან გასვლისას ცხრება და მხოლოდ სიგარეტის კვამლში იკარგება მთელი მისი ვნებად ნაქცევი შეგრძნება?

— შესაძლოა, ასეცაა, მაგრამ...

— მაგრამ არ არსებობს, სერ. მერწმუნეთ, ამ რეალობაში „მაგრამ“ ისეთივე რეალურია, როგორც „იმედი“ სამყაროში, რომელსაც რეალობა თავად კლავს.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ გადავწყვიტე, წამოვსულიყავი. წამოვდექი და კარისკენ გავეშურე.

— სერ... კი მაგრამ... თქვენ ხომ გადაიხადეთ ჩემთან სექსისთვის?

— ცდებით, მის.

— ეს როგორ? არ მოგწონთ ჩემი სხეული?

— პირიქით, მის, წარმოუდგენელ ვნებას აღძრავს ჩემში თქვენი სილამაზე მაგრამ... მაპატიეთ...

— მაგრამ რა, სერ?

— მაგრამ მე უფრო თქვენი სული მომეწონა, მის და არ მსურს, ხორციელი ვნების და გაცხოველებული აქტის გამო ჩემში აღქმული თქვენი სულის დიდებულება უბრალო აქტით დავისრულო.

— მე ენი მქვია, სერ! ენი გრინემსი...

— მე რეი!..

— მადლობა, სერ!.. სერ, შეიძლება ისევ გნახოთ? ეს ჩემი სავიზიტო ბარათია, წარწერას ბარათზე ყურადღებას ნუ მიაქცევთ... უბრალოდ ამ ნომერზე დამიკავშირდით, თუკი ინებებთ, რომ თქვენს გვერდით ერთი საღამო მეძავად ნაქცევმა სხეულმა გაატაროს და წუთით მაინც დაუბრუნოს სული სხეულს... მშვიდობით, სერ...

— მშვიდობით, ენი!

სასწრაფოდ გავედი ქუჩაზე და სწრაფი ნაბიჯით გავწიე სასტუმროსკენ. მინდოდა, მეყვირა, მეღრიალა, რამე გამეკეთებინა, რომ ჩემში ჯერ კიდევ შეუმეცნელი შეგრძნება გულიდან ამომეგლიჯა და სამყაროს მოსდებოდა მთელი მღელვარება, რაც მთელ გულს შუაზე მიგლეჯდა. გზადაგზა უდიერად ხელით ვიშორებდი აკიდებულ მეძავთა შემოტევებს.

სასტუმროში გატარებული ორი უღიმღამო დღის მერე გადავწყვიტე, გარეთ გავსულიყავი და ქალაქში მესეირნა... ვერ ვიტანდი ვერც ენის და ვერც ჩემს განცდებს, ამიტომ მოვძებნე სავიზიტო ბარათი და ენის დავურეკე.

— გამარჯობა, ენი!

— გისმენ!..

— ენი, მეეე...

— რეი? სერ, ეს თქვენ ხართ? ღმერთო ჩემო, ბოდიში, რა უნდა აქ ღმერთს, თქვენ ხომ მეძავთან რეკავთ, სერ.

— ენი, მინდა, რომ გნახო... თუ დრო გაქვს, თხუთმეტ წუთში ქალაქის მოედანთან მოდი.

— უკვე იქ ვარ, სერ!

— დროებით, ენი.

— დროებით, რეი...

მთელი დღე ენისთან გავატარე. ამსტერდამის ქუჩებში უაზროდ დავბოდიალობდით, ათასგვარ სისულელეზე ვსაუბრობდით, ვიცინოდით, ხანდახან ცოტასაც ვტიროდით, მაგრამ ღმერთს ვფიცავ, იმ წამს ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ მეგულებოდა დედამიწის ზურგზე... კაცი სოდომის მარგალიტად ნაქცევ ლილიტთან... უღმერთოდ ლამაზი იყო ეს შეჩვენებული, ვერ გადმოგცემთ, რამდენჯერ ამემღვრა სისხლი და მომინდა, მის ბაგეს დაწაფვოდა ჩემი ბაგენი. ყოველ მის გაღიმებაზე მზის სხივად მეფინებოდა გულზე ამ სამყაროში ნაშობი ყველა ფერი, ხანდახან გათამამებული ხელზე ხელს თუ მოვკიდებდი, რადგან მისი კანის სისათუთე შემეგრძნო და ჩემში ქალღმერთად ედიდებულა...

— ენი...

— მოხდა რამე?

— მე...

— ვიცი, უნდა დამტოვო. როდის მიემგზავრები?

— ხვალ დილით, 7-ზე.

— გინდა, გაგაცილო?

— არა, ენი... ადრეა თან...

— თან, ალბათ, შენც ვერ იტან სენტიმენტებს...

— ჰო...

— მადლობა, რეი...

— ენი...

— მშვიდობით...

— მშვიდობით, ენი...

ვუყურებდი, როგორ მშორდებოდა და ქუჩას მიუყვებოდა ახლად სულშთაბერილი მეძავი ლილიტი და ვგრძნობდი მისი თვალიდან უპეს მოწყვეტილი ცრემლის თითოეულ დაკურებას ქუჩის ფილაქანზე.

მთელი ღამე სასტუმროს ფოიეში ენიზე ფიქრში გავათენე და დილით აეროპორტს მივაშურე... რეგისტრაციის გავლისა და ჩემი კუთვნილი ადგილის დაკავებისთანავე ილუმინატორიდან გაუაზრებელ კადრებად იცვლებოდა მოგონებები წითელი ფანრების ხეივანზე, რომელმაც ჩემი ცნობიერი თავდაყირა ამოატრიალა და ლილიტს სახელად ენი დაარქვა...

თვითმფრინავი დაიძრა... პილოტის მიმართვამ გამომაფხიზლა და და ილუმინატორიდან დავინახე, თუ როგორ მოსდევდა თმაგაწეწილი ქალი ხელების ქნევით და გაგულისებული ყვირილით...

ნუთუ ეს ენია???

ეს ენიააა!!!

— გააჩერეთ!

— სერ, დამშვიდდით.

— გააჩერეთ, გთხოვთ! უნდა ჩავიდე!

ღვედები შევიხსენი და კარისკენ გამალებით გავიქეცი... ავარიული გაჩერებით ბედნიერი ტრაპიდან შეშლილივით გავიქეცი ენისკენ და გულში ჩავიკარი! ვკოცნე გაგულისებულმა და ცრემლით ვასველებდით ემოციებს....

— ენი, შე შეშლილო მეძავო!

— რეი...

— მიყვარხარ, ენიიიი...

— მეც მიყვარხარ, რეიიი...

ასე დარჩა ჩემი აზრი, ფიქრი, სული და სხეული ქალაქ ამსტერდამის „დე ვალენის“ ლილიტთან საბედნიეროდ და სამარადჟამოდ სადიდებლად... მაპატიეთ, მოძღვარნო და მასწავლებელნო, თუკი ჩემი სულის წარწყმენდა მომიწია და სასჯელად მეტანიებს ვერ გისრულებთ, მაგრამ უსათუოდ გეტყვით იმას, რომ ყველაზე ზნედაცემულ სულშიც კი ღრმად ჩამარხულა უფლის დიდებულება, მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ვეძიოთ, აღმოვაჩინოთ და ვადიდებულოთ.

→

„დე ვალენი“ ანუ წითელი ფანრების კვარტალი

XIV საუკუნის დასაწყისიდან ნიდერლანდების სამეფოს ერთ-ერთ სიცოცხლით აღსავსე ქალაქ ამსტერდამში დაარსდა „წითელი ფანრების ხეივანი“ ანუ „დე ვალენი“. ამ ქუჩაზე იმ დროისათვის ყოველ მიჯნაზე განთავსებული იყო ქარხნები, რომლებიც, ძირითადად, ალკოჰოლური სასმელების წარმოებით იყვნენ დაკავებულნი და მათ მომხმარებელთა ოთხმოცდაათ პროცენტს მეზღვაურები წარმოადგენდნენ. ხეივნის სახელწოდებაც სწორედ მისმა მდებარეობამ განაპირობა, რადგან ის დამბის პირას გაშენდა. სახელი „ვალლენ“-იც ხომ დამბის კედელს ნიშნავს და ამიტომაც ამ დამბის მთელ ჩაყოლებას მაშინდელმა საზოგადოებამ „დე ვალენი“ ანუ წითელი ფანრების ხეივანი უწოდა.

მაშინ სასულიერო აკადემიაში ვსწავლობდი და კურსის ბოლოს მომეცა შესაძლებლობა, ნიდერლანდების სამეფო მომენახულებინა. უამრავი ისტორია თუ მითი მსმენოდა წითელი ფანრების ხეივნის შესახებ, თუმცა მასზე გაფიქრებაც კი ჩემი არჩეული სულიერი ცხოვრების კვდომას მიქადდა და ბუნებრივად მიწევდა გულის სიღრმეში რელიგიის მორჩილს ცეცხლად

ალექსანდრე კაკიაშვილი

კაცი, რომელსაც სითბო შიოდა

90-იანი წლები იდგა, მაშინდელ საქართველოში თითქმის ყველა ლუკმა-პურისთვის ჩამდგარიყო რიგში და ხშირად სარჩოს მისაღებად მთელი ღამე უწევდათ დარსა თუ ავდარში აუტანელი ლოდინი...

ღმერთო, როგორ მახსოვს — აპრილის თვე იდგა...

მამამ სასეირნოდ გამიყვანა იქვე პარკში, სადაც ჩვენი გასართობი ძველი რკინის კარუსელი იყო. ისიც ისე გულისწამღებად ჭრიალებდა, თითქოს მთელი ქვეყნის ტვირთი და სატკივარი აჰკიდებოდა და ამ სიმძიმილით დაღლილს უპოვარი გლეხის ურმისთვის მიებაძა... გზად „ბუტკაში“ უნდა გაგვევლო, დედის დანაბარები კვერცხი და ცოტაოდენი შაქარი რომ წაგვეყოლებინა ხელს, რათა იმ ღამით კვლავ დაგვეღწია თავი იმ „დიდებული ეპოქისგან“ ბოძებული რეალობისთვის...

როცა ჩემს ჭრიალა რკინის გასართობს გამოვემშვიდობე და გეზი „ბუტკისკენ“ ავიღეთ, გზად მენაყინე შემოგვხვდა. ის ჩემი ცოდვით სავსე ისე გაჰყვიროდა — ნაყინიიიი! ნაყიიინიიი! აბა, პლომბირი ნაყინიიიი!.. ასე მეგონა, თუ არ ვიყიდდი, ეს უტკბილესი გემრიელობები მოიწყენდნენ და ჩემს მოლოდინში ჩამოიღვენთებოდნენ.

მამა ჩემ წინ მძიმე ნაბიჯით მიდიოდა. მკვირცხლად დავეწიე და ფეხებზე შემოვეხვიე მუდარით:

— მაა, გთხოვ, გთხოვ, გთხოვ, მიყიდე ნაყინი, მიყიდე, გთხოვ...

მამამ ცივი უარით ხელით ჩამომიშორა.

ახლა ვხვდები — თუ ნაყინს მიყიდდა, დედას დანაბარებზე ფული აღარ ეყოფოდა და ამიტომ ამჯობინა, მოწყენილი ნაყინები ჩემს მოლოდინში ჩამოღვენთილიყვნენ.

რა თქმა უნდა, გავიბუტე!

მამას ჩამოვშორდი და ფეხის თრევით გაბრაზებულ-გაბუსხული უკან მივყვებოდი...

მამა წამით შეჩერდა, ჯიბიდან ფული ამოიღო და მითხრა:

— მიდი, გაიქეცი მაღაზიაში, ერთი ძეხვი იყიდე... ზუსტად ეყოფა და მოიტანე.

მე ბუზღუნი ავტეხე:

— ჩემთვის ნაყინი დაგენანა და შენ ძეხვი უნდა ჭამო!

თან ცრემლი ღვარღვარად მდიოდა და ყელში მახრჩობდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა?! წავედი და უკან მამასთან ძეხვით ხელში დავბრუნდი...

— იმ ურნასთან მოხუც კაცს ხედავ? — მკითხა მამამ და რაღაც ამოუცნობი სევდით სავსე თვალებით შემომხედა.

— ვხედავ.

— მიდი, ეს ძეხვი მიუტანე. არ გამოგართმევს, მაგრამ ჩემკენ გამოახედე, უთხარი, რომ მამას მე ვთხოვე და ისე მოვედი შენთან-თქო.

მაშინ ვერ წარმომედგინა, რატომ უნდა მიმეტანა ჩემი შეწირული ნაყინის ფულით ნაყიდი ძეხვი ვიღაც ურნაში ჩამძვრალი მოხუცი კაცისთვის, მაგრამ რას ვიზამდი, უნდა მივსულიყავი.

წასვლა რომ დავაპირე, მამამ შემაჩერა:

— რომ მიხვალ, შეეცადე, მის თვალებში სამყარო შეიმეცნო, — მითხრა და თვალები დახარა.

არც ეს მესმოდა, რატომ უნდა ჰქონოდა იმ მოხუცს თვალებში სამყარო?

ამ ფიქრებში გართული ურნასთან მდგომ მოხუცთან აღმოვჩნდი.

— გამარჯობა. ეს ძეხვია... მამას მე ვთხოვე... მამა იქაა, იცის... აჰა, აიღე! — ერთი ამოსუნთქვით, ბავშვური სისხარტით ამოვაყოლე ყველა ბგერა და მოუთმენლად დაველოდე მის თვალებში სამყაროს აღმოჩენას.

მოხუცი მოტრიალდა, ჯერ მამას გახედა, მამამ ხელით რაღაც ანიშნა, მერე ჩემს წინ მუხლებზე დადგა და გულზე მაკოცა...

როდესაც ლურჯ თვალებში ჩამდგარი ბობოქარი ზღვის მღელვარებით შემომხედა, მყისვე ადგილზე გავიყინე. ღმერთო, ვერ წარმოიდგენთ, მაშინ როგორ დავთმე ბავშვობა, ჩემი ნაყინი და პირველად როგორ შევიმეცნე ადამიანური სევდით გაჯერებული ბედნიერების ამოფრქვევა სულის სიღრმიდან... გონს მაშინ მოვედი, როცა მამამ დამიძახა და მოხუცმა მითხრა — გაიქეცი, პატარა ღვთის საჩუქარო, მამა გეძახისო...

როდესაც მამასთან მივედი, ღიმილით მითხრა:

— დედას ვუთხრათ, რომ წაიქეცი და როცა გაყენებდი, ფული მაშინ დავკარგეთ.

მეც დავთანხმდი...

იმ ღამით ძილი არ გამეკარა. სულ იმ სევდისფერ ზღვაზე მეფიქრებოდა, მოხუცის უპეებიდან გადმოსვლას რომ ლამობდა სამყაროს ყველა სატკივრის წასალეკად...

არ სძინებია მამას...

ჰო, აპრილის თვე იდგა, როცა ნაყინი უჩემოდ მომლოდინე მენაყინის ყუთში მოწყენილი იღვენთებოდა...

უჩა ზაქაშვილი

გადატვირთვა

დასასრული

— მოგწერ ეგრევე.

ტელეფონი გავთიშე და ახლა მესიჯი მოვიდა:

„თუ არ დაბრუნდები, გავიხდი და ტიტველი ვივლი!“ — ნატა მწერდა.

— პორტოს ქვეშ ხუთი მდინარე გადის. ადრე აქ ხეობა იყო. მერე ყველა მდინარე ხელოვნურ ბეტონის კალაპოტში მოექცა და, აჰა, შეხედე, ემჩნევა რამე ახლა? — მიყურებდა გამარჯვებული სახით ნუნუ იმ საღამოს.

ალბათ გრძნობდა ნატა, რომ ოთხთვიანი განშორების მერე უცნაურად ვიქცეოდი და ეს გაურკვევლობა ლილიას მიმართ აგრესიაში უმიზეზოდ გადაჰქონდა. აქ ჩამოსვლამდე ოთხი თვე არ მყავდა ნანახი. დისერტაციის წერა ევროპულ უნივერსიტეტში ისეთი მიზეზია, რომ ყველაფერი შეგიძლია, დააბრალო. დისერტაცია წმინდაა, იმდენად წმინდა, რომ შეგიძლია, შენი მღვრიე ფიქრებიც კი გააზავო მასში: „დისერტაციას ვწერდი და კლუბში წავედით ცოტა განსატვირთად, მთელი დღე ბიბლიოთეკა, შეხვედრები, წიგნები, მეგობრების ნაკლებობა, იქ რაღაც გავსინჯე და მერე არ მახსოვს, რა მოხდა, სად მოხდა. ერთი კარგი ისაა, რომ ისიც ქართველია.“

— და ამაში კარგი რა არის?

— რომ შეყვარებული ჰყავს და ორივე ძალიან ვნანობთ! — დაუსრულებლად ვიმეორებდი გონებაში დიალოგის ყველაზე ნაზი და საყვარელი განვითარების სცენარს.

ბევრჯერ ვცადე, რაღაცნაირად შემძლებოდა ნატასთვის მომეთხრო ჩემი ამბავი, მაგრამ დამაჯერებლობა მაკლდა. მეც არ ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა და იმიტომ. სადოქტოროს ღალატს ალბათ თავად დისერტაციის ქალღმერთი არ მპატიობდა და ხან ქოლგით დამდევდნენ და ხან ღვთიური სიშიშვლით მაშანტაჟებდნენ.

„გატიტვლდი, ნატა!“ — მივწერე ბოლოს და სირბილი გავაგრძელე.

— მე მიყვარს ესე, ხანდახან რომ აღარ გახსოვს ეს განზომილება... როდის არ გახსოვს ეს განზომილება? როდის იღიმი ისე, რომ თვალებში არ იძირავ ქარისგან დამტვრეულ ტოტებს და მტვერს და სიცივეებს და ყინვებს... მე მხოლოდ მაშინ, როცა მიყვარდება! — მაინც გაურია ნუნუმ მონადირული და თვალი თვალში გამიყარა იმ საღამოს, როცა შევაქე, საღოლ, რამდენს სვამ მაგარი კაცი ყოფილხარ-მეთქი.

რომ გატიტვლდეს და ვიღაცამ პოლიციაში დარეკოს და დააკავონ? საგიჟეთშიც გაატარებენ გზაში უეჭველი. და რომ დაიტოვონ? თან ხვალ საღამოს მივფრინავთ. მე რა ვქნა, მარტო წავიდე? მაგისებს რა ვუთხრა? როგორ მოვუყვე? პოლიციამ დაიჭირა და მე წამოვედი ჩემ პონტში. მანამდე ნაჩხუბრები ვიყავით და მაგიტო, თორემ ისე, იასნია, არ მივატოვებდი. უცხო ქვეყანაში, ჰო, თითქმის უფულოდ. ბილეთიც გამოვიყოლე. გადაცვლაზე არც მიჩალიჩია. აქამდე რომ გავტოპე ფიქრებში, ტელეფონი ავიღე...

ლიზიკოს დავურეკე სეულში. ეს პირველად მოხდა მას შემდეგ, რაც სამაგისტროს წერა მიატოვა და გაემგზავრა.

— მოგენატრე? — მკითხა მაშინვე.

მონატრება რა არის, გააჩნია. როცა ვინმე გინდა, გისმენდეს და გისმენს, თუ როცა ვინმესთან ჩახუტება გინდა და გეხუტება. როცა ვიღაცას გამოკიდება უნდება და გეკიდება. როცა გაქცევა გინდა და გარბიხარ, თუ ყველაფერი ერთად? სირბილის დროს სენტიმენტები არ მახსოვს ხოლმე და როცა არ მახსოვს, ვერ ვიხსენებ, რატომ არ მახსოვს.

— არ მომენატრე! — ვუპასუხე ქოშინით.

— ოკეანის ნაპირზე თოლიებს ხშირად ნახავ და უფრო იშვიათად წააწყდები სხვა ფრინველებს, ვიდრე იხვებს, — მარწმუნებდა ნუნუ, როცა ვუხსნიდი, ჩემს ქვეყანაში რა ბედი ეწეოდა ამდენ გემრიელ ფრინველს.

* * *

ლიზიკოსაც ორი სახე ჰქონდა ჩემსავით. ჩემთან ერთი სახით კონტაქტობდა. პირველსავე ღამეს, ჩვენი ნაცნობობის ახალი ეტაპის დაწყებისთანავე, მეორე სახის სილუეტი მაინც გაებლანდა ფეხებში, და მანდ სიცივე წამოიღო, შიში და შეკითხვა:

— დაკარგულის დაკარგვის მეშინია?

განსაკუთრებით ქალაქის იმ მიტოვებული ქარხნის ღამის კლუბში, სადაც მე დისერტაციის და ის სამაგისტროს წერისგან მოსაწყვეტად წავედით და ერთმანეთი სხვანაირებიც ვნახეთ. იმ შეგრძნების სახელზე ვფიქრობდი ამდენი ხანი. რა უნდა დამერქმია ყინვისთვის, რომელიც წამიერად გიპყრობს და გამოგყოფს ყველაფრისგან, რაც სიცოცხლესთან გაკავშირებს, მათ შორის ადამიანებისგანაც, როცა გრძნობ, რომ დაწყებამდე დასრულებულია და აღარაფერი დაგრჩენია. სიუცხოვის შეგრძნება იმდენად მძაფრია, ყველა უჯრედით გრძნობ. ლიზიკოსთან იმ ღამეს დაიწყო და დასრულდა კიდეც. მივხვდი, ზუსტად იმ წამს, როცა ნატას მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით გავურბოდი.

— ოკეანის ნაპირზე ამ კაფეებში იქმნება ლიტერატურა, მხატვრობა, სამეცნიერო ნაშრომები. ასე ჩამოჯდომა აქ ძალიან უყვართ. ოკეანე აწყნარებს. მაშინაც კი როცა შტორმია. დამანგრეველი შტორმის ცქერასაც კი მოაქვს სიმშვიდე. ისეთი სიმშვიდე, რომელიც ზვავის ჩამოწოლიდან რამდენიმე წამში ისადგურებს მთის კალთებზე. თითქოს ჰაერიც რომ აღარ სუნთქავს. თითქოს გულისცემას რომ იჩერებ, რომ მეტჯერ აღარ დააცემინონ მთებმა ასე. რომ არ წაგლეკონ, — აგრძელებდა ნუნუ იმ ღამეს ჩემს დაგრუზვას.

* * *

ბოლოს ძალიან დავიღალე და ბორდიურზე ჩამოვჯექი. ცოტა ხანში ნატა და ტატაც მოვიდნენ, დაღლილები, გასავათებულები. უჩუმრად ჩამოსხდნენ. მერე სახლისკენ წავედით ერთად. სიჩუმეში ვიბოდიალეთ.

ლილია არსად ჩანდა. ნუნუ იჯდა სუფრასთან მარტო, სიგარით და შავი ღვინით სავსე ჭიქით ხელში.

— ამ სიტუაციაში მოგზაურობა საუკეთესო წამალია, — აღნიშნა და დილით ესპანეთის საზღვარზე წასვლა შემოგვთავაზა.

მერე ნუნუმ და ტატამ დალევა და პორტუგალიური მულტფილმის ყურება დაიწყეს. მე აივანზე გავედი და სავარძელში ჩამეძინა.

დილით ნატა წასული დაგვხვდა.

უცნაური იყო სახლი მის გარეშე, როცა მონატრებას ვერ გრძნობ, მაგრამ რაღაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გაკლია.

ტატამ თქვა:

— ფული მე დავუმატე ბილეთის გადაცვლაზე და არ გაგიტყდეს, ცოცხალია და კარგადაა. შენ აქ დარჩი საღამომდე და მერე შენც გიწევს ფრენა და ეგაა, ტრაგედია არ შექმნა აქედან.

არც ვგეგმავდი გლოვის გამოცხადებას, მაგრამ გული ვერაფერს დავუდე. მთელი დღე აივანზე გავატარე თოლიების კივილის მოსმენაში.

მატიე და სელი ოთახში ჩაიკეტნენ, ველარ ვხედავდი აივანზე მოსაწევად გამოსულებს. ლილია დავლანდე რამდენჯერმე, რომელიც ხალათსაც კი შეელია, ჯინსები და მაისური ეცვა და სახეზე მაკიაჟიც არ გაეკეთებინა, ალბათ ასე ცდილობდა საკუთარი უდანაშაულობის ხაზგასმას ან ამ კონფლიქტის გამო თანადგომის გამოხატვას. ტატა ძირითადად აივანზე იდგა ჩემს წინ ტელეფონით ხელში, ხან ნუნუკას ხელით ხელში.

ნუნუკამაც რამდენჯერმე სცადა ჩემი გამხნევება:

— მისაღებ ოთახში მეძინა და როგორ წავიდა, მართლა ვერ დავინახე, არ ვიცი და ვერ ვახდენ იდენტიფიცირებას, თორემ, რომ მენახა, გაგაღვიძებდი უეჭველად, — იფიცებდა ხუთივე მდინარეს პორტოს ქვეშ.

ნატა თბილისის აეროპორტში დამხვდა. სახლში წამოდიო, თავიდან დასაწყებად ყველა პირობაა შექმნილიო — იმეორებდა უჩვეულო, გამოშიგნული ხმით...

გავყევი.



ლაზო წისქვილზე

ინათა თუ არა, სახლიდან შვიდი წლის ბიჭუნა — ლაზო — გამოვიდა, ნახევრად მძინარე გზადაგზა მინდორში გარუჯულ ფეხებს უყრიდა შარვლის ტოტებში და აღტყინებით უხმობდა დას:

— ლიმა! ლიმა! სწრაფად ადექი, მე და მამა წისქვილზე მივდივართ, ხორბალი უნდა დავფქვათ და ფქვილი მოვიტანოთ, თეთრიც და რუხიც...

დაიკომაც არ დააყოვნა, ბუთქუნა ფეხებს შორის პატარა საცერი გაეჩარა და დიდი ზომის წინსაფრის თასმებს მონდომებით იკრავდა კისერთან, მერე ასკინკილით გაიქცა სათონისკენ, სადაც დედა თონის გასახურებლად ფიჩხს ამზადებდა, იქვე პატარა მაგიდაზე დადო საცერი და უკვე მანქანაში მოკალათებულ ძმას სიხარულით გასძახა:

— აბა, თქვენ იცით! მალე მოდით! სულმოუთქმელად გელით!

ლაზო მთელი გზა მოუსვენრად იყო, უხაროდა მამამ წისქვილზე წაყოლის ნება რომ დართო, ყოველ წუთში კითხულობდა, მალე მივალთ თუ არაო.

დრო რომ სწრაფად გაეყვანა, თვალები დახუჭა და ფიქრებში გადაეშვა, ვინ იცის, რამდენჯერ უოცნებიათ და-ძმას წისქვილზე მოხვედრა, ერთხელ წისქვილიც კი დახატეს, ისეთი, როგორიც თავად წარმოედგინათ. ის ნახატი გაახსენდა ლაზოს — თაბახის ფურცლის შუაგულში ძაბრის ფორმის ფერადი მოწყობილობა მოხაზეს, ქვემოთ გადარჩეული მარცვლებისთვის და ფქვილისთვის ამოღრმავებული ჯამი დაუხატეს, ზემოთ კი უშველებელი ფრთები მიაბეს, ეს ფრთები იყო მთავარი დანიშნულება, როცა შიგ პურის მარცვალს ჩაყრიდნენ, პურის მარცვლები ცეკვა-ცეკვით ჩაცვივდებოდნენ ვიწრო ხვრელში, დაიძვრებოდა ფრთები, ამოვარდებოდა ქარი და ქეფჩოსა და დამტვრეულ ხორბლის მარცვლებს ჰაერში წამოშლიდა, ამ დროს მოფრინდებოდნენ ნაირნაირი ჩიტუნები და ჰაერშივე დაიტაცებდნენ ტკბილ ულუფას.

ფიქრებში ისე უცებ გაეპარა დრო ლაზოს, ვერც კი იგრძნო მანქანის გაჩერება, მხოლოდ მაშინ დაფრთხა, საშინელი, გულისგამაწვრილებელი გრუხუნი რომ ჩაესმა.

— მოვედით? — იკითხა და თვალები მოიფშვნიტა. საპასუხოდ მამამ მანქანის კარი გაულო, თვითონ კი ხორბლის ტომრების გადატანას შეუდგა. ლაზო ფეხდაფეხ მიჰყვა, თან აქეთ-იქით იცქირებოდა, გაკვირვებით უყურებდა ტანზემოთ შიშველ კაცებს, რომლებიც წამდაუწუმ სიგარეტს ექაჩებოდნენ, სახეზე მომდგარ ოფლს მხარზე გადაკიდებული მაისურებით იწმენდდნენ და მოღუშული სახეებით თავიანთ რიგს ელოდებოდნენ.

ლაზო უზარმაზარ მოწყობილობასთან აღმოჩნდა დახურულ შენობაში და არა მზის გულზე, როგორც წარმოედგინა, ეგონა, ფეხებთან მიწა ზანზარებდა, თუმცა ცდილობდა, შიში არ შეემჩნია და დანარჩენი კაცებივით აკვირდებოდა ხორბლის მარცვლის გადარჩევასა და დაფქვას.

ეს ყველაფერი რომ მოსწყინდა, გარეთ გავიდა, იქვე წისქვილის შენობის გვერდით პურის მარცვლის მთა შენიშნა, უცებ გაუბრწყინდა თვალები, ხორბლის თავზე რამდენიმე ჩიტი შენიშნა, გაიტრუნა, არ დავაფრთხოო, ამ დროს ვიღაც კაცი გამოჩნდა და ზურგზე მოკიდებული ხორბლის ტომარა დაცალა, დამფრთხალი ჩიტები ჭერზე აიჭრნენ, კაცმა დაცლილი ტომარა გადაჭრილ ხის მორზე დააფინა, ჩრდილში მოკალათდა და სიგარეტს გაუკიდა. ჩიტუნები კვლავ მოფრინდნენ და ხორბალს კენკვა დაუწყეს. „ჰაიტ“ — ხელი აუქნია ჩიტებს კაცმა.

— კი, მაგრამ, რას შეჭამენ მაგდენს? — ხმამაღლა გამოსცრა სახტად დარჩენილ ლაზოს, თუმცა კაცს არაფერი გაუგონია, ყოველ ჯერზე მონდომებით დევნიდა ჩიტებს.

გული მოეწურა ლაზოს, ცრემლი მოადგა, შერცხვა თავისი უმწეობის და სირბილით გაექანა მანქანისკენ, კარი რომ მიხურა, სიჩუმეში საკუთარი გულის ბაგა-ბუგი ჩაესმა, ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა სახლში.

სახლისკენ მიმავალ გზაზე რამდენჯერმე ჰკითხა მამამ მოწყენის მიზეზი. ხმაურში ყურები დამიგუბდაო — იმიზეზებდა ლაზო და ნაძალადევად იკრიჭებოდა.

ჭიშკართან დახვდა დაიკო, ვეებერთელა თვალებით შესცქეროდა, ადგილზევე ხტოდა და ტაშს უკრავდა, მანქანიდან გადმოსვლა არც კი დააცადა, მიეჭრა, ხელი დაავლო და სათონისკენ გააქანა — დედამ მითხრა, თხელ, კნატუნა პურებს დაგიცხობთო, თუ გინდა, შევინახოთ და ღამით ვჭამოთ ლოგინში, მანამდე კი მომიყევი, რა ხდებოდა წისქვილზე, ბევრი ჩიტები იყვნენ, არაა? როგორ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ დედამ არ გამომიშვა, წისქვილზე გოგოს რა უნდაო, არა უშავს, შენ ხომ იყავი და მომიყევი, ხომ მომიყვები?! — ჩააცივდა ძმას ლიმა.

— მოგიყვები, აბა, რას ვიზამ, ოღონდ ღამით. ახლა კი წამო, კარტოფილი მოვიტანოთ და თონეში ნაკვერცხლებში ჩავყაროთ, — თავის დაძვრენა სცადა ლაზომ.

ლიმა კვლავ კისკისებდა, გახურებულ თონეს გარს უვლიდა, ლაზო კი იქვე იჯდა ჩაფიქრებული, დაბრძენებული, თითქოს შვიდი წლის კი არა, უკვე კარგი გამობრძმედილი ბერიკაცი ყოფილიყოს.

სულ მალე კარტოფილის კანმა ტკაცა-ტკუცი დაიწყო, თონის ალმა ერთიანად დაუბრაწა ლოყები ლიმას, მაგრამ მაინც ვერ მოაშორა დედამ სათონეს, მეგობარიც იქ მიიღო, მასავით მოუსვენარი, თვალებმოელვარე და ცნობისმოყვარე ლილე.

ლაზოს ცხოვრებაში პირველად არ გაუხარდა მისი მოსვლა, ადგა, ფქვილისგან დასვრილი შარვალი დაიფერთხა და ეზოს ბოლოდან მოაძახა დედას: გოგასთან მივდივარ და მალე მოვალ.

— რა ჭირს ამ შენ სულელ ძმას? — ჩუმად გადაულაპარაკა ლილემ ლიმას და გვერდზე გაიტყუა.

— მე რა ვიცი, არ იცი ბიჭების ამბავი? მთელი დღეა, ცხვირჩამოშვებულია.

— არც ის გითხრა, იქ რა ხდებოდა?

— სად იქ? — თავი მოიკატუნა ლიმამ.

— სად ახლა, იქ, წისქვილზე...

— ოოო... — თვალები განგებ გააფართოვა ლიმამ, ბუთქუნა ხელები გულზე მიიკრა და დიდი აღტაცებით დაიწყო, — ნამდვილი საოცრებაა იქ ყოფნა თურმე...

— ჩიტები?

— ჩიტებიო? უფ, ნუღარ მკითხავ, იმდენი, იმდენი ჩიტი ყოფილა, ნემსის წვერსაც კი ვერ ჩააგდებდიო, ლაზომ. ადგილი რომ აღარ ჰყოფნიდათ, ერთი ათი ჩიტი მარტო ჩემს მხრებზე მოკალათდაო...

— არ ფრინდებოდნენ? — გულწრფელად გაიკვირვა ლილემ და გაცისკროვნებული მზერით მიაჩერდა ლიმას.

— არა, კაცო, რა ფრინდებოდნენ, ხელს ვუქნევდი და არ მშორდებოდნენო, იმათი მიჩვეული ჩიტები ყოფილან თურმე...

ლაზო კი დადიოდა წინ და უკან, გულდამძიმებული, მოღუშული. აბა, რა იცოდნენ გოგოებმა ის დარდი და საფიქრალი, ლაზოს გულს რომ პირველად შეეხო. ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთის ნახვა მოუწევდა?!

აღარასოდეს წავალ წისქვილზე! სულ აქ ვიქნები, ჩემს დასთან, ლილესთან, გოგისთან და დანარჩენებთან ერთად! — გადაწყვიტა გონებაში ლაზომ; ჯიბიდან რამდენიმე პურის მარცვალი ამოიღო და სახლისკენ გასწია.

— ეს რა არის, რას მალავ? — მუჭზე ჩააფრინდნენ გოგოები ლაზოს.

— თხები ხართ, თხები, აკი სულ გეუბნებით, რა უნდა იყოს, პურის მარცვალია, იქვე ვიჯექი ჩემთვის წისქვილზე, ჩიტები დამესივნენ და ხელისგულებში ჩამიყარეს ეს მარცვლები.

— მართლა? — ერთად გაიოცეს გოგონებმა და ლაზოს ხელისგულზე დააჩერდნენ.

— კი მაგრამ თვითონ არ უნდოდათ? ან შვილებისთვის წაეღოთ, — ჩაეკითხა და.

— კარგი რა. იცი, რამდენი პურის მარცვალია? თვალს ვერ გაუსწორებ, უნაპიროა და, წარმოიდგინეთ, სულ ჩიტები ახვევია.

— იმათი შეჩვეული ჩიტები არიან, ხო? — თვალი ჩაუკრა ლიმამ.

— იმათი შეჩვეულები არიან, აბა, რა, ბუდეებიც იქვე აქვთ, შვილებიც იქვე ჰყავთ და საჭმელიც იქვე აქვთ...

ამასობაში დედამ მათ წინ პატარა მაგიდა დადგა, ზედ ცხელი თონის პურები, ხმელი ყველი და ნაკვერცხალზე შემწვარი კარტოფილი დაულაგა.

— უფ, უფ, რა სურნელიაააა, — დედის გამოჩენა გაუხარდა ლაზოს, მაგრამ გოგონების კითხვებს მაინც ვერ დაეხსნა.

— ერთი ჩიტი ჩაგესვა უბეში, წამოგეყვანა, რა იქნებოდა?

— ხო, მართალი ხარ, ლილე, თანაც ეგენი ხომ შეჩვეული ჩიტები არიან, ვათამაშებდით და საღამოს ისევ გავუშვებდით.

— კარგით ახლა, სული ნუ ამომხადეთ, — უსაყვედურა ლაზომ გოგონებს, მერე თავი დახარა, თონის ცხელი პური შუაზე გადაწია, შიგ ყველის ნაჭერი ჩადო და უგემურად შეექცა.

გოგონები კი კვლავ მაღლა, ძალიან მაღლა, ღრუბლებში დაფრინავდნენ, მათ ფიქრებში ჯერ კიდევ ნარნარით დაქროდა წისქვილის დიდრონი ფრთები, დამტვრეულ ხორბლის მარცვლებს ჰაერში შლიდა და ნაზი ხმით ჩიტებს უხმობდა...

ლაწირაკი

თვალს გაახელდა თუ არა დიმა, საწოლზე წამოჯდებოდა, გაიზმორებოდა, ამოჩემებულ შარვალს ამოიცვამდა, ეზოში გაიჭრებოდა და დაიწყებდა წინ და უკან უმისამართოდ სიარულს.

— ჯერ ადრეა, აცადე მზეს ჯანზე მოსვლა, დილის ცვარი ფეხებს გაგიყინავსო, — დაუყვავებდა დედა.

არც მის ნათქვამს შეისმენდა.

რომ მოჰბეზრდებოდა სიარული, ოთახში განმარტოვდებოდა, გადმოყრიდა აუარებელ სათამაშო მანქანას და საღამომდე თამაშობდა.

— რა დროს თამაშია, შვილო, სკოლაში უნდა მიხვიდე წელსო, — დედა ეტყოდა ხოლმე.

— სკოლა არა კვახიო, — აიქნევდა ხელს.

— გარეთ მაინც გადი, ბავშვებს ეთამაშე, — მერე მამა შეუჩნდებოდა.

ცალკე თანატოლები ცდილობდნენ უშედეგოდ მის გარეთ გატყუებას.

დიმა კი ყურსაც არ იბერტყავდა, იჯდა კოპებშეყრილი და თამაშობდა. მხოლოდ ლიზის ძახილზე წამოენთებოდა თვალნაცემივით და გარბოდა გარეთ, ოღონდ ეგ იყო, არ ეთამაშებოდა, არც ელაპარაკებოდა, უბრალოდ იდგა და უყურებდა — თუ ლიზი ლაპარაკობდა, უსმენდა, საპასუხოდ კი მხოლოდ თავს უქნევდა.

* * *

უბნის სტადიონზე შეკრებილიყვნენ დიმას თანატოლები.

ლიზიც იქ იყო.

— დიმას დედამ მთხოვა, იქნებ როგორმე დიმა სკოლაში წასვლაზე დაითანხმოთო... — ხმადაბლა თქვა ნიკამ.

— ჩვენ როგორ უნდა დავითანხმოთ, აბა? — მხრები აიჩეჩა ცოტნემ.

— ეგ არც მე ვიცი, — ბურთის თამაშთამაშით გაეპასუხა ნიკა.

— კარგი ერთი, მაგას რა მოარჯულებს, არ იცი, როგორია? — დიალოგში ჩაერთო ლექსო და ჩვეულად ტუჩები ყურებამდე გაჭიმა.

— მართალი ხარ! — ბრძენი კაცივით დაემოწმა ცოტნე.

— რატომ ლანძღავთ დიმას, ეგ რა საქციელია? — დოინჯები შემოირტყა ლიზიმ და მტკიცედ თქვა, — მე დავითანხმებ სკოლაში წასვლაზე!

— ოხ, ზღაპარი! — გადაიხარხარა ნიკამ და ჩაბჟირდა.

— აი, ნახავთ თუ არა! — ყელი მოიღერა ლიზიმ.

— ეგ როგორ? — დაინტერესდა ლექსო.

— არ გეტყვით!

— მე მაინც მითხარი, — შეევედრა აქამდე გასუსული მარი.

— კარგი, შენ გეტყვი, — დათანხმდა ლიზი და ორივენი გვერდით გავიდნენ.

— ლაწირაკი! — ბიჭებმა ირონიული სიცილით მიაძახეს ლიზის.

— აბა, როგორ აპირებ დიმას დაყოლიებას? — ჩაეძია მარი.

— როცა დედაჩემს რაიმე ძალიან უნდა, მამაჩემს ეუბნება ხოლმე, მოვკვდები, თუ თხოვნას არ შემისრულებო და მამაც ყველაფერს აკეთებს, დედა რომ არ მოკვდეს... ჰოდა, მეც იმავეს ვეტყვი.

— არა მგონია, მაგან შეაშინოს. მამაშენს უყვარს დედაშენი, დიმას კი... დიმამ რა იცის საერთოდ სიყვარული? — ირონიულად ჩაიცინა მარიმ.

ლიზის გულის სიღრმეში ეწყინა, მაგრამ არ გატეხილა.

— ნახავ თუ არ დავითანხმებ! — თქვა და ბრაზისაგან პატარა, თხელი ცხვირი ძლიერად შეჭმუხნა.

* * *

დიმა სკოლაში წასვლაზე დათანხმდა მშობლებს...

სირბილისგან გულამოვარდნილი დიმას დედა აქოშინებული მივიდა ქმართან.

— რა მოხდა, დიმა სად არის? — შეწუხდა კაცი.

— დიმამ ლექსი მოჰყვა! — მიახარა გაოგნებულმა ქალმა.

— მატყუებ, ხო? — სიხარულისგან გული ამოუჯდა კაცს.

— სიმართლეს გეუბნები. არ ვიცი, რა დაემართა. აი, ნახე, სურათიც გადავუღე, — ტელეფონი გაუწოდა ქალმა.

მხრებში გამართული დიმა, მიკროფონით ხელში, კინაღამ ვერ იცნო მამამ...

არაპროფესიონალი მწერალი

ჩემი მოთხრობები აუტისტი ბავშვივითაა — მათი არავის ესმის, მაგრამ შინაგანად კარგები არიან.

პირველად რომ მოთხრობა დავწერე, ახლობლებს არ სჯეროდათ: ეს შენი დაწერილი არ არისო. სწორედ ასე მივხვდი, რომ გარშემო ყველას დებილი ვეგონე. მაგრამ მერე მეორე, მესამე და მეოთხეც მივამატე. მეხუთე და მეექვსეც. ჩემით რომ ვწერდი, დაიჯერეს, სხვა არ ვიცი.

ჩემმა პირველმა მოთხრობამ დიდი ქართველი გამომცემლის ყურადღებაც კი მიიქცია და ჯერ სულ ღლაპი ვიყავი, როცა გასაუბრება/გაცნობაზე დამიბარა. არ ვიცი, ჩემგან რას ელოდა, მაგრამ საუბარი რაც უფრო წინ მიდიოდა, რედაქტორი სულ უფრო უკან-უკან იხევდა. როგორც შემდეგ სხვა რედაქტორებმა მითხრეს, ლიტერატურას რომ ვკითხულობთ, რეალობის დანახვა გვინდაო... რეალობის დანახვა თუ გინდა, მამაცხონებულო, თვალები გაახილე!

გავიდა დრო და ჩემი მოთხრობით სხვა რედაქტორებიც დაინტერესდნენ. პირველად რომ დამბეჭდეს, საკმაოდ დიდი ჰონორარი ავიღე (მაშინ ასე მეგონა) და ძალიან გამიხარდა. ასე დაიწყო ჩემი მოთხრობების სხვადასხვა ლიტერატურულ პერიოდიკაში ბეჭდვა. ყველა მეუბნებოდა, რომ ამ ჟურნალ-გაზეთებში ჩემი გამოჩენა ძალიან ბევრს ნიშნავდა. მე ეს მნიშვნელობა არასოდეს მიგრძნია, მაგრამ ჰონორარი საოცრად ტკბილი იყო. თითქოს არაფრიდან ვქმნიდი რაღაცას, მხოლოდ ჩემი ცნობიერით, და ამაში ფულს მიხდიდნენ, თუმცა ცოტას, მაგრამ შეგრძნება საოცრად კარგი იყო.

ახლაც ერთი მოთხრობა ბოტასები მაცვია ფეხზე. ალბათ, „ლედი ინტეგრა“ შეცბუნდებოდა, ეს ამბავი რომ გაეგო, მაგრამ მისმა სასიყვარულო რომანმა საოცრად რბილი და კომფორტული ბოტასები მაყიდვინა. დიდი მადლობა მას!

მართალია, რედაქტორებს ძალიან აინტერესებდათ ჩემი მოთხრობები, და თითქმის ყველა მოთხრობა გამოქვეყნებულია, მაგრამ ლიტერატურული კონკურსები დიდად არ მწყალობენ.

წლების განმავლობაში მხოლოდ ორი მარგინალური ადგილი ავიღე თბილისის ერთსა და იმავე მარგინალურ კონკურსში. მესამედ იქიდანაც დამითხოვეს. გეყო უკვე, ორი წელია გბეჭდავთო. ასე არ უთქვამთ, მაგრამ... არ ვემდური. პირიქით!

როცა საკუთარი მუზები მღლიდნენ, მაშინ სხვებისაზე გადავდიოდი ხოლმე: ვთარგმნიდი. ჩემი ლიტერატურული თარგმანები არც თუ ისე ბევრია და ყველა გამოქვეყნებულა. მაგრამ კვლავაც კონკურსები მითვალწუნებდნენ. ერთ-ერთი თარგმანის კონკურსშიც ასევე მარგინალური ადგილი ავიღე და ბევრი წიგნით დამასაჩუქრეს.

წიგნებს ვერ ვიტან. ალბათ ყველაზე უწიგნურ მწერლად თუ დამიმახსოვრებს ისტორია. ეს ნიშა მაინც უნდა დავიჭირო როგორმე.

მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ, წიგნები ვიკითხო. მაგრამ კლასიკური ლიტერატურა ჩემი წაკითხული წიგნების სიაში იშვიათად ხვდება. ამასწინათ, მახსოვს, „ოსტატი და მარგარიტა“ ავიღე ხელში, მაგრამ ავტორის ამპარტავნებამ გული შემიწუხა და ისე შორს მოვისროლე, რომ დღესაც არ ვიცი, სადაა.

როცა თავადაც იცი მოთხრობების წერა, მგონი, უკვე ყველა წიგნი დასპოილერებულია შენთვის. კითხვისას მაშინვე ხვდები, ავტორი რა ხერხებს იყენებს, რით ნუსხავს ან აინტრიგებს მკითხველს, და თუ მართლაც საოცარ ოსტატთან არ გაქვს საქმე, რიგითი მკითხველივით ვერ ჩაგითრევს თავის ამბავში. მეც ასე, შინაგანად ვხედავ ხოლმე ავტორის ჩანაფიქრს და მისი მონაყოლის გლუვი ზედაპირი ვეღარაფრით მაჯადოებს.

ყველაფერი ნაღდი მიყვარს: ადამიანები, ფილმები, მუსიკა, ცხოვრება. თუ რომელიმეს სიყალბე შევატყვე, დამთავრებულია საქმე. ამგვარად, ბევრი კლასიკად აღიარებული ნაწარმოები, სამწუხაროდ, მე სიყალბის შეგრძნებას მიტოვებს.

ჩემი მთარგმნელობითი და მწერლური ნიჭი ვცადე უფრო პრაქტიკულად გამომეყენებინა. საბოლოოდ, ბრუტალური ძალისხმევით, ფილმების მთარგმნელად და ერთ-ერთი კომპანიის უმცროს სარეკლამო აგენტად მოვეწყვე. კომპანიამ შანსი მომცა, რომ დავწინაურებულიყავი და მთხოვეს, მათი სამომავლო ბლოგისთვის რამდენიმე სტატია მომემზადებინა.

სტატიები არ უნდა ყოფილიყო პროდუქტზე, ოღონდ პროდუქტზე უნდა ყოფილიყო. ნახსენები არ უნდა ყოფილიყო ყიდვა, ოღონდ შესყიდვის მარტივ მეთოდზე უნდა დამეწერა. კიდევ რამდენიმე რთული და ურთიერთსაპირისპირო პირობა იყო დასახელებული. ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერაფერი დავწერე. მერე სხვა მსგავსი შემოთავაზებებიც მომივიდა, ამ პროფესიას პიარში „კონტენტ ვრაითერი“ ჰქვია. მაგრამ არა, ვერაფერიც ვერ დავწერე.

ასე გავიგე, რომ არაპროფესიონალი მწერალი ვყოფილვარ.

ახალი წელი

თამადამ რაღაცა იბოდიალა, თავის თავი დაარწმუნა, რომ ქვევრივით სტომაქში ჭიქა ღვინის გადაშვებისას სინდისს არ უნდა შეეწუხებინა და გადაჰკრა თავისი მოტანილი ღვინო, რომელზეც თვითონვე თქვა, არ ვარგაო.

სუფრა აყირავდა. ოთახი წაიქცა. ხალხი შეჭიხვინდა. ფოიერვერკი ფანჯარას მოასკდა. დენთის სუნს კარი ვეღარ მივუხურეთ. ავყროლდით. გავიბღინძეთ. გავიხარეთ. გვეჯვოდა. დაიჭყივლეს. ქალებიც აჭიხვინდნენ. ჭურჭელი არაკუნდა. თამადას სიტყვა გაუგრძელდა. გამდნარი თოვლისგან ფეხსაცმელში წყალი შემივიდა. სტუმრებისთვის განკუთვნილ და ყველაზე არაკომფორტულ სკამზე წელი მეტკინა.

დონ კიხოტი

უკვე მესამე მონამზიდი მიდის. ბაქანზე ხალხი არ ცოტავდება. ვაგონები გატენილია. კარი იღება. ორი ადამიანი გამოდის — ოთხი შედის. ვერ ვიჯერებ, რომ ხუთ საათზე უკვე ასეთი ამბავია. სამსახურიდან ხალხი ექვსზე გამოდის. ჩემი სამსახურიდან სპეციალურად ადრე წამოვედი, რომ ამ ამბისთვის თავი ამერიდებინა. ჯერ ხელფასს არ მიხდიან, ასე რომ, მეც ავდექი და ადრე წამოვედი. ვიცი, არც მერე გადამიხდიან, ამიტომ ხვალაც ადრე წამოვალ.

მოხუცი წყვილი, ესკალატორიდან რომ ჩამოვედი, ჯერ კიდევ მაშინ შევნიშნე. ერთი ქალი მეორეზე უფრო მაღალია და განიერიც. მეორე ძალიან ჩიაა და პირველს ებღაუჭება. ორივეს უზარმაზარი სათვალე უკეთია, საოცრად გაფითრებული კანი აქვთ. ერთმანეთს ეყუდებიან, მეორე უფრო ეყუდება პირველს, და ორივენი ერთად მონამზიდს ელოდებიან. მაგრამ მონამზიდში შესასვლელად ბუნებრივი შერჩევის კანონი მოქმედებს. მეოთხეჯერაც გაძეძგილი რომ წავიდა, უკვე ნერვები მომეშალა. მოხუცები ძალიან შემეცოდნენ. სრულიად დაუცველები და საწყლები იყვნენ ჩვენს ფონზე. გავეშებული ბრბო, რომელიც მთელი სიველურით ტენის საკუთარ სხეულს ვაგონში და ორი დროით ნაიარევი, ერთმანეთს მიყუდებული მოხუცი ქალი.

ვისაც დიდი კუნთი აქვს, პირველი ის შედის ვაგონში. და ვინ იცის, გამოსვლაც ამ კანონს ექვემდებარება. მეხუთეჯერ მოდის მონამზიდი. მოხუცები, როგორც მანამდე, ახლაც ყველას ფეხებზე ჰკიდია. ნერვები ამეშალა. ყველას წინ გადავუდექი. თითქმის ორი თვე არ მქონდა სექსი და წინა დღისით ავინაზღაურე ყველაფერი, ასე რომ, ჩემი წვრილი კუნთები სუყველა ერთად მტკიოდა. მაინც შევიმაგრე ბეჭები, მხრები დავჭიმე, და როგორც კი მონამზიდის კარი გაიღო და ორი ადამიანი გამოვიდა, მაშინვე კარში ჩავდექი და ხელებით გავაკავე, რომ არ დაკეტილიყო.

არავის ვაძლევ შესვლის უფლებას. ყველა გაოგნებული მიყურებს.

უკან მოვიხედე, მინდა, მოხუცებს დავუძახო და დანარჩენებსაც ვანიშნო, რომ ეს ორი ადამიანიც არსებობს აქ ჩვენთან ერთად. მინდა, რომ პირველი ისინი შევუშვა ვაგონში. მაგრამ ისინი წავიდნენ. უკვე გვიანია. აქ მარტო დავრჩით.

— რას აკეთებ? — თბილისის მეტროპოლიტენისთვის შეუსაბამო თავაზიანობით მეკითხება ერთი ბიჭი.

— ...არ ვიცი.

ვიღაც სირს ჭიქა მივუჭახუნე, აბა, რა, ძმაო, გაგვიმარჯოს. მისი საშუალო ადამიანის თავპირი ძალიან ჰგავს ფრაზას „კარგად ვიყოთ — მაგრად ვიყოთ.“ არა, მისი საშუალო ადამიანის თავპირი არის ფრაზა „კარგად ვიყოთ — მაგრად ვიყოთ.“

გვცხელა. საჭმელი მოაქვთ. საჭმელი მიაქვთ. ცივი საჭმელი ახლა ცხელი საჭმლის საყრდენია. ხაჭაპური არ ვარგოდა. არაფერი არ ვარგოდა. ამას რესტორანში წასვლა ჯობდა. ამას ჩაის დალევა ჯობდა. ამას წიგნის დაწერა ჯობდა. ამას ბანაობა ჯობდა...

მდიდრებს არ სცივათ

ოთახში ბევრნი ვართ.
პროლეტარი მხოლოდ მე.
ოთახში სიგარეტს ეწევიან.
არ ვეწევი მხოლოდ მე.
კონდიციონერი უწუწუნებს.
არავის სცივა. მცივა მხოლოდ მე.

წეღან კონდიციონერის ეკრანს შევხედე. 16 გრადუსზეა დაყენებული.

კონდიციონერის გათიშვა არ იქნება, სიგარეტის კვამლს შლის. შენობაში მოწევა არ შეიძლება. მაგრამ ყველა ეწევა. შენობა მთავრობას ეკუთვნის. ეს ხალხიც ჩვენი მსახურები არიან. თბილისში ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ეწევიან. და ჯერაც არ ვყოფილვარ კერძო შენობაში, სადაც ვინმე მოწევას გაბედავს.

მხოლოდ ერთი არჩევანი რჩება, პულტი უნდა ჩავიგდო ხელში და ტემპერატურას მოვუმატო.

ცოტა დრო გავიდა.

წამოვდექი ვითომ არაფრისთვის. პულტს დავწვდი. პულტი არ არის. რაღაც თეთრი მოწყობილობაა. პატრონი გაკვირვებული მიყურებს.

— ბოდიში, პულტი მეგონა.

გაურკვეველ ტექნოლოგიის ნაგლეჯს, რომელიც პროლეტარებისთვის არაა განკუთვნილი, ადგილზე ვაბრუნებ. თან ჯიუტად ვეძებ პულტს.

მივიხედ-მოვიხედე, ვიპოვე. სანამ არავინ მიყურებს, უნდა ავუწიო. პულტზე თითის ყოველ დაჭერას მოსდევს საშინლად ხმამაღალი წკაპუნი. თითო დაჭერა ნახევარ გრადუსს უმატებს.

!!!წკაპ!!! 16.5
!!!წკაპ!!! 17
!!!წკაპ!!! 17.5
!!!წკაპ!!! 18

კონდიციონერი ფაქტობრივად ყვირის:

— ვინმემ რამე იღონეთ, ამ პროლეტარს ვინ მისცა პულტი?!

!!!წკაპ!!! 18.5

ბარემ დავაჭერ თითს ისე, რომ არ ავუშვა და ტემპერატურა უხმაუროდ აიწევს.

!!!წკაპ!!! 19
!!!წკაპ!!! 19.5
!!!წკაპ!!! 20

არ შველის. კონდიციონერი განგაშს არ წყვეტს.

!!!წკაპ!!! 20.5

ვხვდები, რომ ყველას ტვინი მოეღუნა ამ წკაპუნზე, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ მაქვს. ტემპერატურას უნდა ავუწიო. ამ ოთახში კიდევ დიდხანს მომიწევს ყოფნა.

!!!წკაპ!!! 21

შუა ოთახში ვდგავარ პულტით ხელში. ყველა მე მიყურებს. მათი მზერა ვერ მტეხს.

!!!წკაპ!!! 21.5

უკვე მეც გამიწვრილა გული კონდიციონერის ყიჟინამ.

კიდევ რამდენჯერმე ამოიოხრა ოთახის ტემპერატურის მაღალტექნოლოგიურმა ღმერთმა და როგორღაც 23 გრადუსზე დადგა...

...რაღაც საერთო დავინახე ჩემსა და მშიერ აფრიკელ ბავშვებს შორის:

ორივეს არაფერი გვაბადია და სიცხეს უფრო ვიტანთ, ვიდრე სიცივეს.

ნიჟარა

თბილისის მონამზიდს თავისი მისტიკური მახასიათებლებიც აქვს. მაგალითად, გრძელი ფოიეები ხშირად რკინის ხარიხებითაა გადაკეტილი და დერეფნის ბოლოში ერთი ან ორი კარის დანახვა შეგიძლიათ შორიდან. იმ კარში რა ხდება, პროლეტარიატმა არ იცის, რადგანაც გრძელი ფოიეები ყოველთვის გადაკეტილია.

სხვადასხვა სადგურები ხშირად შემკულია რომელიმე სრულიად უცნობი ავტორის სრულიად შეუმჩნეველი ინსტალაციებით: იქნება ეს რომელიმე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის უზარმაზარი რკინის სახე თუ რაიმე სხვა მოზაიკა. ეს ხელოვნების ნიმუშები იმდენად შესისხლხორცებულია მეტროპოლიტენის ინტერიერში, რომ მათ საერთოდაც ვერავინ ხედავს.

მაგრამ ყველაზე იდუმალი ადგილი რუსთაველის გაჩერებაზე იმალება. რუსთაველის გაჩერებაზე ჩარიგებული წითელ ფილაქნიანი ბოძებიდან ერთ-ერთი საკმაოდ გამორჩეულია.

ერთ-ერთ ფილაქანს პატარა ჭრილი აქვს დარჩენილი და ეს ჭრილი ძალიან წააგავს ნიჟარას.

პროლეტარებს დღემდე სჯერათ, რომ თუკი ამ ნიჟარას თითით შეეხებიან და სურვილს ჩაიფიქრებენ — აუცილებლად აუხდებათ. ზოგმა შეიძლება გითხრათ, რომ სამჯერ უნდა გაიმეოროთ სურვილი და თვალები დახუჭული უნდა გქონდეთ, რომ მონამზიდის ჯადოსნობა ასრულდეს.

პირველად ეს ნიჟარა ჩემმა ყოფილმა პროლეტარმა მეგობარმა მაჩვენა. მე ჩავიფიქრე, რომ დიდი ასო მქონოდა. თვალებიც დავხუჭე და სამჯერაც გავიმეორე. ჩვენი ოცნებები ერთმანეთისთვის არ გაგვინდვია.

წავედი სახლში. დავიძინე. გავიღვიძე. სარკეში ვიყურები და პენისი აშკარად ისევ იმხელაა. თუმცა თან გამეფიქრა, რომ პატარაც ნამდვილად არ იყო. მერე კი მივხვდი: იქნებ სურვილი უკვე ასრულდა და მე არც მახსოვს ის დრო, როცა ჩემი პენისი დიდი არ იყო-მეთქი?!

მაშინვე ტელეფონს დავწვდი და ჩემს მეგობარს დავურეკე.

მისმა მდივანმა მიპასუხა.

ტომ სოიერი

ამასწინათ დაბადების დღეზე ვიყავი.

ჩემი მეგობარი იდეაში სვეტკია, ოღონდ არც ისე. მაგრამ მისი მეგობრები ბევრად უფრო სვეტკები არიან. ვიყავით ძველ თბილისში, რაღაც არც ბარ, არც რესტორან, არც კაფე, არც დაივ, არც ლაუნჯ, მაგრამ ჩამოთვლილიდან ყველაფერი ერთად რომაა, ისეთ ადგილას. აქ ერთი ჭიქა ღვინო ღირს ბევრი ლარი და ტუალეტი მაინც სოფლის ჩეჩმას ჰგავს.

მიუხედავად სვეტკობისა, მაინც მომიწია არაერთი სადღეგრძელოს მოსმენა. ყველამ ხაზი გაუსვა, პირადად როგორ უსარ-

გებლიათ და სარგებლობენ ჩემი მეგობრით. ამ სადღეგრძელოებში იუბილარი დადებითად ისე შეაფასეს და ისე ილაპარაკეს მასზე, რომ შუა სუფრაში დავასკვენი: ჩემი მეგობარი თავის მეგობრებს საერთოდ არ უყვართ-მეთქი.

მე არ მჯერა, რომ სიყვარული ობიექტური გრძნობაა. არ მჯერა, რომ რომელიმე ადამიანი იმიტომ გიყვარს, რომ ამასა და იმას გიკეთებს, ასეთი თუ ისეთი ქცევები აქვს და ხასიათი, რომელიც შენთვის გასართობია.

მერე ახალგაზრდები საქართველოს სადღეგრძელოზეც მიდგნენ და ახლა საქართველოს ჩამოუთვალეს დადებითი თვისებები. თითო ამ დადებით თვისებას თითო უარყოფითი მოჰყვებოდა ჩემს გონებაში. საქართველოს შესაყვარებლად იმდენივე მიზეზი არსებობს, რამდენიც შესაძულებლად.

ძვირიან ჭიქას, შიგნით ძვირიანი ღვინო რომ ესხა, მარცხენა ხელი მოვკიდე, რომელზეც იაფფასიანი საათი მეკეთა:

— მე მგონი, სიყვარულს ობიექტური მიზეზები არ სჭირდება. მე საქართველო და თბილისი მიყვარს იმიტომ, რომ აქ დავიბადე და გავიზარდე, აქაურობის მეტი არაფერი ვიცი და ეს სრულიად საკმარისი მგონია. გაუმარჯოს.

სიჩუმე ისე ხმაურიანად ჩამოვარდა, როგორც სამების გუმბათი ჩემს წარმოსახვაში.

დოქტორი მანჰეტენი

მე ვხედავ. მე ვხედავ, რომ შენ ახლა იცინი. მე ვხედავ, რომ გვერდით მიწევხარ. მაგრამ მე ვხედავ, რომ რამდენიმე საათში სახლში წახვალ და ჩემს ტელეფონზე შენი მესიჯი აინთება. იქ ეწერება, რომ ეს ერთხელ მოხდა და აღარ განმეორდება. ასე არ შეიძლება. და ასე ვერ გააგრძელებ ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელში ბედნიერი ხარ და იცინი.

ქალებს უჭირთ ზედაპირული ბედნიერება.

2012 წელია. მე უნივერსიტეტში ვდგავარ. დერეფნებში მაშინ კამერები არ ეყენა. ბოლო აუდიტორიაში დაშტერებულები ვსხედვართ და ჩვენც ვიცინით. მე ეს უკვე ვნახე. და ვიცი, რომ კიდევ ვნახავ.

ადამიანებს ჰგონიათ, რომ დრო მიდის. მაგრამ დრო მეორდება. დროის მორევში ადამიანებმა არ იციან, რომ მორევში არიან. მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ შეძლებენ ხოლმე მორევის ზედა ტალღაში ასვლას და ჰგონიათ, თავი დააღწიეს რამეს.

მე მორევში ვარ. მე ვხედავ ჩემს შეყვარებულს, რომელიც იცინის. მაგრამ ვიცი, რომ რამდენიმე დღეში ვიჩხუბებთ. ის ძალიან გაბრაზდება. მე გულს ვატკენ იმით, რომ მის გაბრაზებასა და სიცილს ერთნაირად ვუყურებ. იმიტომ, რომ ის იცინის მაშინ, 2019 წელს, მე კი ვუყურებ, როგორ ყვირის 2020-ში, და ვხედავ როგორ ვიცინით 2021-ში. ყველაფერი გაივლის. ყველაფერი წრეზე იქნება.

შენ ბრაზდები, რომ ერთნაირი გულგრილობით ვხვდები შენს ბრაზსა და სიხარულს. ან ბრაზს უფრო. შენი სიხარული მეც მიხარია, შენი ბრაზი კი ქვედა ტალღაზე დარჩა და მე ვერ მომწვდება. იმიტომ, რომ მე უკვე ვხედავ ზედა ტალღაში როგორ იცინი.

შენ ბრაზდები ჩემს გულგრილობაზე, მე კი გული მწყდება. ვცდილობ და ვეძებ, მორევში რამე ახალი ვიპოვო. მაგრამ მორევი მხოლოდ ფსკერისკენ მიგვაქანებს.

მე მოხუცი ვარ. ჩემი ახირებები გაუარესდა და ვხედავ, როგორ ეშლებათ გარშემომყოფებს ნერვები იმაზე, თუ როგორ ვჭრი ყველს. მე ძალიან ბევრი მაქვს მათთვის სათქმელი, დასარიგებელი, მაგრამ ყურს არავინ მიგდებს. ჩემი ცხოვრებისეული შეხედულებები დაძველდა. მაგრამ შენ ახლა მისმენ და ჩემი სიტყვები შენთვის უახლესია. ასეთი არაფერი გსმენია. 2008 წელია, მე და შენ თანაკლასელები ვართ და თავგამოდებით არ მეთანხმები. მაგრამ მე ვხედავ, რომ 2015 წელს ამავე აზრში დამეთანხმე. 2013 წელს კი მივხვდი, რომ დამეთანხმებოდი.

დროის მორევში ზედა ტალღაზე ვარ და ჩემი თანატოლები ვერ მეწევიან. მაგრამ ახლა უკვე არაფერს ვეუბნები. იმიტომ, რომ ზედა ტალღაში უჩემოდაც გაიგებენ. მე უმნიშვნელო ვარ. თუ ადამიანმა თავისით არ გაიარა ტალღა, რთულია ზემოთ აქაჩო. მე ვხედავ, შენ როგორ მეუბნები 2019 წელს იმას, რასაც მე გეუბნებოდი 2014-ში.

2070 წელია. დავბერდი. ეს საშინელი ტექნოლოგია საერთოდ აღარ მესმის და მაღიზიანებს. ყველს ისევ ჩემებურად ვიჭრი. ძველი რობოტი გაფუჭებულია. მის დავალებათა თანმიმდევრობიდან ყველის დაჭრა ამოვარდა, რამაც პროგრამული ხარვეზი გამოიწვია. დაეკიდა.

უნდა გამოგეცვალა ეს რობოტი თავის დროზე! — მეჩხუბებიან მომავალში. მაგრამ არ მცალია. იმიტომ, რომ ვხედავ, როგორ მეჩხუბებიან ახლაც. ვხედავ, როგორ გამიღიმეს მერე. მე იმ ტალღებისკენ მივდივარ, სადაც მიღიმიან.

მე და შენ ერთად ვწევართ და ვიცინით. მე მგონია, რომ ესაა ცხოვრება. და შიშველი ქალის თვალებშია მთელი სამყარო. ეს 2015 წელსაც ვთქვი. და ზედა ტალღებშიც ეს ყველგან სიმართლეა.

ოდრი ჰეპბერნი გალიაში

— გავბრაზდი... — მეუბნება ის.

დღეს დილით დავიწყე მუშაობა. მინდოდა, ყველაფერი კარგად მომესწრო და ნაჩქარევი არ ყოფილიყო. დილის ათზე ავდექი და ჩავთვალე, რომ დიდი მსხვერპლი გავიღე ამ საქციელით.

— გამახსენდა და გავბრაზდი... — აგრძელებს.

მოვრჩი თუ არა მუშაობას, მაშინვე ჩალაგება დავიწყე. ზურგჩანთაში ყველა საჭირო და ნაკლებ საჭირო ნივთი ჩავტენე. ჩავდე ტრუსიკი ჩემთვის. ჩავდე ტრუსიკი მისთვის. ჩავდე თბილი წინდები ჩემთვის. ჩავდე თბილი წინდები მისთვის. ზამთარია და ძალიან ცივა.

— ერთად ვისხედით და...

ჩავდე ლეპტოპი. ფლეშკაზე საგულდაგულოდ გადავიტანე ფილმი. აუცილებლად სუბტიტრებით. ინგლისურს სწავლობს და მინდა, რომ ხელი შევუწყო. ყველა სიტყვა გავიგოთ და თუ იუმორისტული სიტყვათა თამაში იქნება — ავუხსნა.

ავიკიდე ყველაფერი. ჩავიცვი ძალიან თბილი ქურთუკი. სახლიდან გასულს სადარბაზოში დამეტაკა სიცივე. სადარბაზოდან გასულს ეზოში დამეტაკა ქარი. საითაც არ წავედი, ქარი მაინცდამაინც ჩემს საპირისპიროდ უბერავდა. ცხოვრებაში ჯერაც არ ვიცი, ზურგის ქარი როგორია. გავიწიე და წავედი. ქუდი წარბებამდე ჩამოვიფხატე. კაშნე ცხვირამდე ავიფარე. ცხვირი კი პირბადეში ჩავყავი.

— გუშინწინდელზე გეუბნები...

ცოტა წამოწვიმა კიდეც. ბასრმა წვეთებმა ყინულის ნემსებივით გადამიარა გუგებზე. მაღაზიამდე მივაღწიე. ვიყიდე მისი საყვარელი ყველანაირი სასუსნავი და სასმელი: ალკოჰოლური, გაზიანი, ტკბილი. ჯერ ამას შევჭამთ, მერე ამას, მერე იმას დავლევთ და მერე ღამე რომ ცოტა მოგვშვდებასავით, საბანში გახვეულებს ესეც გვექნება.

წამოვიკიდე ეს ჩანთებიც. დავადექი აღმართს. იმიტომ, რომ ცხოვრებაში საითაც არ უნდა გავწიო, ყველგან აღმართი მელოდება.

მართალია, გარეთ ცივა და ყინავს, მაგრამ ჩემი ქურთუკი მაინც ძალიან თბილია. ასე რომ, სახეზე მცივა და ტანით ვიხარშები. ვიოფლები. მივათრევ ჩემს ტვირთს. მე და აღმართი ვართ. აღმართი აღმართულია, მაგრამ არ ვნებდები. ბევრი მასზე უარესი აღმართი დამიძლევია. მე მჯერა იმის, რაც აღმართის ბოლოში მელოდება. მერე რა, თუ ამ აღმართზე არც ასფალტია და არც ტროტუარი. მერე რა, რომ ტალახითა და ღრმულებითაა დაჯიჯგნილი და მოზვირთული უშნოდ.

— გუშინ გამახსენდა და მერე დღესაც გამახსენდა, და გავბრაზდი...

როგორც იქნა, აღმართი დავძლიე და ტრიალ მინდორზე მოვხვდი. ოდესღაც იყო აქ მინდორი. ახლა უბრალოდ ტრიალია. ქარი უკვე ყველა მხრიდან უბერავს, მარტო საპირისპიროდ აღარ. ხან ზურგში მთავაზობს ჭიტლაყს, ხან ცხვირში. კიდევ კარგი, ჩანთები მძიმე მაქვს. ისე მივაბიჯებ, როგორც არნოლდ შვარცენეგერი ტერმინატორში. სადარბაზოს კარს მივუახლოვდი, დერეფანში შევედი და სითბო არა, მაგრამ გაჩერებული და ჩამოჟამებული ჰაერი დამეცა თავში. უჰაერობა. რემონტის სუნი. ხარაჩოების გემო. ჟანგიანი სისველე და მტვრიანი სუნთქვა.

— გოგომ ჩაიარა, მწვანე კაბა ეცვა...

მივედი. ცოტა ხანი ფეხით ვეწვალე ფეხსაწმენდს, რომ გადამეწია და გასაღები ამეღო. ცუდად დაყენებულ საკეტს ცოტა ვეჯაჯგურე და, როგორც იქნა, შევედი. ყველაფერი ამოვალაგე, თავის ადგილას დავდე. ჩემი საცვლები ლოგინის ჩემ მხარეს, მისი — მის მხარეს. სასმელები მაცივარში. ლეპტოპი ტელევიზორში. ჩვენი საყვარელი მუსიკა ჩავრთე. ჰიგიენის ნივთები სააბაზანოში დავალაგე. წყლის ტემპერატურა დავარეგულირე. ჩემი ტანსაცმელი და ქურთუკი შემოსასვლელის კარადაში დავაბინავე. შევედი საბანაოდ, მთელი ოფლი და დაჭიმულობა ჩამოვიბანე. კარგ სუნებზე დავდექი. საჭმლის მომზადება დავიწყე. დღეს არ მიჭამია.

ახლა კი ვჭამთ და უხასიათოდ აქანავებს ხელში ჩანგალს...

— გუშინწინ რომ ერთად ვისხედით, გახსოვს? გოგომ ჩაიარა, მწვანე კაბა ეცვა.

— არ მახსოვს.

— რა გემახსოვრება, ზურგით იჯექი, არ დაგინახავს.

— მერე?

— რომ დაგენახა მოგეწონებოდა, და ნერვები მომეშალა.

პრადა

ეს ჩემი უბნის ცენტრია. გლდანი პლაზას ჩამოვცდით და ევრაზიის წინ სამარშრუტოების გაჩერებაზე ვდგავართ. ჭუჭყი. მტვრიან ჰაერს ვსუნთქავთ. პირბადე ავიწიე.

პირბადე მარტო შენობის გარეთ მოიხსენი. მაგრამ შენობის გარეთ ცუდი ჰაერია. შენობაში პირბადე გეკეთოს. გამოდის, საზოგადოებრივი ტუალეტია ერთადერთი ადგილი, სადაც სუფთა ჰაერი შეგიძლია, ჩაყლაპო.

ტუალეტზე ფიქრი ისევ სამარშრუტოების გაჩერებაზე მაბრუნებს. პარკინგის ჩასასვლელი ორმოდან სამ მეტრიანი ცემენტის ცხვირი ამოდის. ცალი ნესტოთი. შიგნით სულ ბნელა და როცა ამომავალ ოთხბორბლიან ჟღვინტს დაინახავ, უკვე ყოველთვის გვიანია. დიდ აღმართზე ამოსასვლელად დიდ გაზს აძლევენ მძღოლები და მანქანაც ისე გამოვარდება ხოლმე, როგორც კაი მოწყვეტილი ჩირქიანი ბელტი.

მიწისქვეშა პარკინგიდან ამოსასვლელი უშნო კედლების ჭუჭყში მთლიანად ჭუჭყის სავარძელი დგას. ამ სავარძელს ოდესღაც შალითა ჰქონდა. შიგნიდან ხისგან იყო აწყობილი. ახლა მთლიანად სიბინძურეა. ყველა ლაქა აქვს ზედ. სავარძლის ფორმა დაჭრილ ბებერს მაგონებს. ხშირად დამინახავს შიგნით ჩამჯდარი მათხოვრები, მოხუცები, სამარშრუტოს მძღოლები. უცბად ვინტერესდები, აქ საიდან გაჩნდა. ვიღაცამ მოიტანა და ევრაზიის წინ უბრალოდ დააგდო სავარძელი? თავიდან ცოტა უფრო შუისკენ იდგა. მგონი, მეტროში ჩასასვლელი სწორი ნაწლავის თაღს უყურებდა. მერე ნელ-ნელა გაჩოჩდა და გაჩოჩდა, სანამ კუთხის ჭუჭყს არ მიეტყეპა და შეეხორცა.

მოლიდან დამლაგებელი ქალი გამოდის. ყველაზე ცუდი და სტერეოტიპული დამლაგებლის სახე აქვს. ყველა მულტფილმში დახატული ყველა კარიკატურული დამლაგებელი ქალის ესკიზი აიღეს, და ამ ქალის თავისქალას გადაახატეს. მერე კანი გადაასხეს. მერე მეჭეჭები გადაასხეს, მერე ყველაზე უშნო ხალები. გამომეტყველება ისეთი მისცეს, თითქოს თავისი თავი დაინახა. ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ჩვენ გვქონდეს მისი სახე ყველას და თვითონ უწევდეს ჩვენი ყურება. ვერ ვიგებ, თვითონ უფრო მახინჯია თუ მისი გამომეტყველება. ბავშვობიდან ვგრძნობდი, რომ სიმახინჯეს თავისი მშვენიერება აქვს. მე მგონი, ესეც ამერიკულმა მულტფილმებმა მასწავლეს, სადაც ყოველთვის ძალიან უყვარდათ ჟღვინტებისა და რწყევის სრული სიმძაფრით გამოსახვა. ამერიკელები კარგად აფასებენ სიმახინჯეს. ჩვენ ვერა.

დამლაგებელ ქალს ორი უზარმაზარი ცელოფანი გამოაქვს. გამომეტყველება არ ეცვლება. ცოტა ხნის ყურების შემდეგ მივხვდი, რომ ამ ქალს ასეთი გამომეტყველება აქვს. თითქოს გარშემო ყველა და ყველაფერი მახინჯი და საზიზღარი იყოს. ამ სახით იცინის. ამ სახით ტირის. ახლა ამ სახით მიუბრუნდა ძაღლებს და ნაგვის პარკიდან გადაწეწილი ცხოველების თავ-ფეხს უყრის მაწანწალებს. ძაღლებს თავიდან არ მოსწონთ გადმოყრილი ლუკმები. განებივრებული არიან. გამვლელები ხშირად ისეთ საჭმელებს უყრიან, ბევრს რომ ენატრება. მეორე მხარეს ერთი მსუქანა ძაღლი წევს. სამნაირი ფუნთუშა უდევს თავთან და ჭამა ეზარება. მაგრამ აქეთ რომ რაღაც დაინახა, ყეფა დაიწყო.

აქეთ ახალი საჭმელი იყრებოდა, რომლის წილსაც არ აძლევდნენ და განრისხდა. მაგრამ რადგანაც მსუქანა და ზარმაცია, გზაზე გადმოსვლა დაეზარა. თან შუქნიშანთან უნდა ჩასულიყო 5 მეტრის მანძილზე, წითელს დალოდებოდა, ეს მახინჯი ქალი კარგს მაინც არაფერს დაყრიდა, კიდევ წაუყეფა ერთი-ორი და ისევ მიწვა კონდიციონერის გამოდევნილ მცხუნვარე ჰაერში. ძაღლებმა დაყრილი თავ-ფეხი და ნაწლავები გარშემო მოაბნიეს. ზოგი შეჭამეს. ზოგიც — არა.

სიბინძურე და ჭუჭყი მატულობს. ეს ამბავი რომ მორჩა, მოვტრიალდი და დავინახე სამარშრუტო, რომელიც უკუსვლით თავისი გაჩერების ადგილას მოდიოდა. გაჩერების ადგილას ყავარჯნიანი კაცი იდგა. მოხუცი. დავინახე, რომ ეჯახებოდა, მაგრამ ძალიან გვიანი იყო. ვერ მოვასწრებდი ვერც დაძახებას, ვერც მირბენას. მაღლევე მივხვდი, რომ ვერაფერს ვიზამდი, და ამისთვისაც ისე უნდა მეყურებინა, როგორც უკრაინაში დაბომბილი ხალხისთვის. ოღონდ ეს უბედურება ტელეფონის ეკრანიდან არ იტვირთება ჩემს ტვინში. პირდაპირ ვხედავ. წინა რიგის ბილეთი მაქვს. სამარშრუტო ძალიან ნელა მოდის, ჩვეულებრივ ადამიანს ვერაფერს უზამდა. მაგრამ ეს კაცი ორი ყავარჯნითაც ძლივს დგას.

დაეჯახა.

შეატორტმანა ცოტა. არ წაქცეულა. მძღოლმა გამოხედა. ჩამოვიდა მანქანიდან. ყავარჯნიანმა საცემრად გაიწია. გარშემომყოფებმა... დაიჭირეს. მძღოლი არ გაილახა.

სწორი ნაწლავიდან ამოსული ხალხი მატულობს და ყველას რაღაც უვარდება ჯიბიდან. ზოგი ძალით ყრის. ნაკუწები. ჩეკები. ცელოფნები. ბანანის ქერქები. ნაგვის ბუნკერი ბუნკერების ნაგავია. ვიწრო გზაზე მანქანები ყველა მხარეს მიდი-მოდიან. ერთი მხრიდან ავტობუსები და სამარშრუტოები გადიან, და მეორე მხრიდან ავტობუსები და სამარშრუტოები შემოდიან. პატრული ყველა მხრიდან შემორბის. ვიღაც მანქანებიც შემოდიან. აქ უფრო ხშირად ყველაზე უხერხულად დიდი ჯიპები ჩერდებიან ხოლმე და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ვიწრო გზას კიდევ უფრო ავიწროებენ. ახლა რომ ვაკვირდები, ეს დიდი ჯიპები პირდაპირ ნაწლავის წინ ჩერდებიან ხოლმე.

ახმეტელზე მეტროდან რომ ამოდიხარ, ყოველთვის 700 კაცი ხარ. მარტო ვერ ამოხვალ. 700 კაცი ერთდროულად უნდა ამოიზილოთ ერთი ესკალატორით. მეორეს მარტო მაშინ ჩაგირთავენ, თუ 1700 ხართ. მერე მეტროს ფოიეში ბიჟუტერიის მაღაზიას უნდა წაეცხო, რომ გარეთ გახვიდე და გარე მოვაჭრეებზე იხტუნაო, თითქოს სამხედრო წვრთნას გადიოდე. პირბადე სულ გიკეთია. მოლში შესასვლელად ტრაკი მარჯვნივ უნდა გასწიო და მარცხნისაკენ წამოხვიდე იმიტომ, რომ რიგის დასაცავად ლენტები ასე დააყენეს. მოლში შეხვალ თუ არა, ბანკომატების რიგში უნდა იჯიკაო, რომელიც სულ იწყება და არასდროს მთავრდება. კიბეებს აივლი და მოლის ესკალატორი დაგხვდება, რომელიც განწყობის თეორიით მუშაობს. მოლიდან ნაწლავში უნდა გამოხვიდე, რომელიც სულ უფრო და უფრო სწორდება და ვიწროვდება. მის ბოლოს კი ვიღაც მოღლეტილი ბიძის პრადო დგას, რომელსაც ვერც გარშემოუვლი და ვერც ზედ გადაახტები. მუხლი მგლისი თუ უქენი, წეღან შემორბენილი პატრული მაშინვე წაგარბენინებს. საიდანღაც შაურმის სუნი მოგდის. ქვაფენილიდან ასფალტზე შიგადაშიგ რკინით გადაფარებული ღვარსადენები. მაღალი და დაბალი ტროტუარები. უნდა ააბიჯო და ჩამოაბიჯო. გაზონისთვის განკუთვნილი მონაკვეთები, რომელზეც მარტო ტალახი ამოდის. ევრაზია. კაზინო. აფთიაქი. ინდაურის მიმოფანტული შიგნეულობა. ყავარჯნიანი კაცი. ჩემს გარშემო ყველაფერი ნაწლავებია. ეს ჩემი უბნის ცენტრია.



დეა

წვიმდა... ახალგაღვიძებულმა დეამ კისერზე გამობერილი ძარღვი თხელი, გლუვი თითებით დაიზილა.

„დღეს კარგი ამინდი იქნება, წუხელ ცა ვარსკვლავებით იყო სავსე... “ — ჯიუტად დაასკვნა და უნებურად მარცხენა ფეხით გადმოვიდა საწოლიდან.

„ფუ, შენი!“ — შეიკურთხა და ამჯერად მარჯვენა ფეხი ჩამოდგა საგულდაგულოდ მოპრიალებულ იატაკზე.

კომოდიდან მობილური აიღო და მოუთმენლად გახსნა ნიკასთან მიმოწერები: „ყველაფერს ვიზამ, რომ ბედნიერი იყო, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას მომცემ. ხვალ 12 საათზე გელოდები.“

დეას გააჟრიალა, ღაწვები ვარდისფრად წამოენთო.

„მორჩა, ამ შანსს ხელიდან აღარ გავუშვებ!“ — ფეხზე წამოვარდა, კარადა გამოაღო და წითელ მაისურს დაავლო ხელი.

„ფუ, შენი, რაღა ამას ვეცი? ეს ხომ ლადოსთან მეცვა პირველ პაემანზე. ნიკასთანაც რომ არაფერი გამოვიდეს?“ — შიშმა შეიპყრო დეა და ზედატანი ოთახის კუთხისკენ გაიქნია.

მხრებში გაიმართა დეა და გადაჭრით თქვა: „მოდი, ასე ვიზამ, თუ ერთ საათში სახლის დალაგებას მოვრჩები, დღეს ნიკას შეხვედრაზე დავთანხმდები!“

საათს დახედა: 08:57. „ძალიან კარგი, საიდან დავიწყო?“

ოთახს მოავლო თვალი...

„პირველ რიგში, საწოლს დავალაგებ“ — გაიფიქრა და ელვის სისწრაფით აიღო საწოლიდან ზედმეტი ნივთები.

ოთახში და მისაღებში ავეჯი გადაასუფთავა, მერე დივან-სავარძლის ტყავის ზედაპირი ზერელედ გაწმინდა და ზედ დალაგებული ფუმფულა ბალიშები დაბერტყა ფანჯარაში.

„ფუ, შენი! ცოცხი მაქვს გასარეცხი, ნეტავ წუხელ გამერეცხა“ — აივანზე გაიქცა, ცოცხს დაავლო ხელი და სააბაზანოში შეიჭრა. „ჯანდაბა! სარეცხი მქონია“ — ელდა ეცა დეას — „მოდი ჯერ სარეცხს შევყრი“ — მოეწონა საკუთარი აზრი და დამშვიდდა.

„ესეც ასე, საძინებელი და მისაღები ოთახი დავგავე...“

სარკეზე წაუცდა თვალი — „რა კარგია, რომ წუხელ თმა დავიხვიე, სულაც არ დამშლია. კარგი რა, რა დროს ესაა?“ — დატუქსა საკუთარი თავი და იატაკის წმენდას შეუდგა.

ჭურჭელი გარეცხა... „იმედია, ლაქი შემრჩებოდა ფრჩხილებზე“ — თქვა და თითებს დახედა — „მშვენიერია. თანაც, ნელნელა ფინალში გავდივარ. ფანჯრები რომ არ გამიწმენდია? პრინციპში რა აზრი აქვს? მაინც წვიმს...“ — გადაიფიქრა და ხელები შეიმშრალა.

ლოჯში გავიდა. გაუხარდა, არაფერი იყო უადგილოდ, გასანიავებლად დატოვებული ფეხსაცმელი აიღო და იქვე კუთხეში მიაწყო. მისაღებისკენ გავარდა, დატრიალდა,მერე სამზარეულოში შეიჭრა, იქაც მიმოიხედა, აბა, ოთახშიც შევირბინო და ეგააო. ოთახში შესულს გული აუჩქარდა, კომოდზე დადებული მობილურის დამტენი უჯრაში ჩააგდო და საათს დახედა — 08:59. „ესეც ასე!“ — ღრმად ამოისუნთქა და გულდაღმა დაეშვა საწოლზე...

„რა ჩავიცვა?“ — გაიფიქრა და პატარა ბავშვივით სხარტად წამოვარდა, ტანსაცმლის კარადა გამოაღო — „აი, ამ გულამოღებულ ზედას ჩავიცვამ, ნიკას მოეწონება“ — ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა დეას. ამ დროს ზარივით გაისმა სარეცხი მანქანის ხმა... „ფუ, შენი დედა ვატირე, სარეცხი დამრჩა გასაფენი...“ — ბოლო ხმაზე აღმოხდა გულშემოყრილ დეას, ერთიანად დაავლო ტანსაცმელს ხელი და ძირს მოაშვავა.

წვიმამ გადაიღო...

ცეცხლი აინთო...

დიდ, ორსართულიან სახლში ცხოვრობდა ჯუბა ცოლ-შვილთან ერთად.

ზაფხულობით გარეთ ძილი უყვარდა, ჩაძვრებოდა საბნის ქვეშ და დილამდე ფეხს არ გაატოკებდა, საღამომდეც გააგრძელებდა დილის ძილს, რომ არა — შვილი.

დილაუთენია წამოვარდებოდა იანა, უბნის ბავშვებს შემოიკრებდა, მერე ყველანი ერთად აცვივდებოდნენ ვერანდაზე ჟივილ-ხივილით და გულისგამაწვრილებლად აყვირდებოდნენ: გაიღვიძე! გაიღვიძე!

გამოძვრებოდა დაფეთებული ჯუბა საბნიდან, თვალებს მოიფშვნეტდა, გაიზმორებოდა, ზანტად დასწვდებოდა წყლით სავსე ბოთლს, ერთ მოსმაზე ჩაცლიდა მერე დიდი ჩაის ჭიქით ყავას მოიდგამდა და ვერანდის ქვემოთ მაგიდას მიუჯდებოდა. ყავას რომ ნახევრამდე დალევდა, ჯანზე მოსული წამოვარდებოდა ფეხზე, იქვე კართან მიგდებულ წკეპლას დაავლებდა ხელს და მორთავდა ტყუილუბრალო ყვირილს — ახლავე ჩამოდით, მანდედან რომ გადმოსცვივდეთ, ხომ გასკდებით კვახივით?

ბავშვები კი იდგნენ მშვიდად და თავისას გაიძახდნენ ჯიუტად — ჯერ გვეთამაშე და მერე ჩამოვალთ!

— გვეთამაშე, თორემ აქედან ფეხს არ მოვიცვლით! — ფეხებს ააბაკუნებდა იანა.

— ჯერ შენ პატარა ხარ, სამი წლის ბავშვს რა დაგრჩენია ვერანდაზე, — უწყრებოდა დედა.

შეჰყრიდა იანა კოპებს, შედგებოდა ფეხის წვერებზე, ბავშვებს მიეტოლებოდა და გადაჭრით იტყოდა — სულაც არ ვარ პატარა! მერე კი თაფლისფერ, კრიალა თვალებს მინაბავდა და მამას შეევედრებოდა, გვეთამაშეო.

— კარგი, ხო... — გაშლიდა ჯუბა ხელებს და ვითომ თვითონ ნაკლებად უხაროდა შვილთან ერთად თამაში, წელათრევით გამოიტანდა სახლიდან თავისსავე ხელით ოსტატურად დამზადებულ ცხოველების ნიღბებს, მოირგებდა რომელიმეს სახეზე და ბავშვების დასაბნევად სხვა ცხოველის ან ფრინველის ხმის პაროდიას გააკეთებდა, ზურგშექცევით მდგომ ბავშვებს კი უნდა გამოეცნოთ, სინამდვილეში რომელი ცხოველის ნიღაბი ჰქონდა სახეზე აფარებული ჯუბას.

თამაშის წესისამებრ წაგებულს სამი სურვილი უნდა შეესრულებინა, ამიტომაც, დიდი ხანია, აღარავის უკვირდა შუა გზაზე ხელებგაშლილი, მეზობლების ორღობეზე თავდაყირა, უცხო მგზავრზე აკიდებული ჯუბას დანახვა...

ამოუდგებოდა ქმარს ზურგიდან ლორა, აირჩევდა რომელიმე ცხოველის ნიღაბს და სახეზე თასმებით მიამაგრებდა, მერე ტუჩებს ყურთან მიუტანდა და ჩასჩურჩულებდა — თხის ხმაზე დაიკიკინე.

ჯუბა კი ისეთი გაპარული ხმით დაიკიკინებდა ხოლმე, თითქოს ახლად დაბადებული თიკანი ყოფილიყო, ამ ხმაზე ლორა და ბავშვები ყოველ ჯერზე მუცლის ტკივილამდე ბჟირდებოდნენ. ჯუბა გველნაკბენივით დაიყვირებდა — აბა, ჰა, თქვით ახლა, სინამდვილეში რომელი ცხოველი ვარო.

ბავშვებს სულაც არ უჭირდათ გამოცნობა და მერე იწყებოდა არდავიწყება... დასჭექდა იანა, მამამ დედას აკოცოსო, ბავშვებიც მხარს აუბამდნენ და აყვირდებოდნენ — ჯუბამ ლორას აკოცოს! ჯუბამ ლორას აკოცოს! ათჯერ ერთ ლოყაზე, ათჯერ — მეორეზე... სხვა რა გზა გვაქვსო, აიჩეჩავდნენ ლორა და ჯუბა მხრებს, მერე ჯუბა ხელებში მოიქცევდა ცოლის სახეს და ხან ერთ ლოყაზე კოცნიდა, ხან — მეორეზე...

* * *

იმ დღეს ჩვეულზე მეტად ეზარებოდა ჯუბას ადგომა... შვილი კი მოსვენების საშუალებას არ აძლევდა.

— ადექი, მა, გვეთამაშე... — ტკბილი ხმით ეტიტინებოდა.

როდის-როდის აზიდა საწოლიდან სხეული ჯუბამ.

ლორამ ყავა მოუმზადა და დაამშვიდა — ხომ იცი, არ მოგეშვებიან, ერთი-ორი გაეთამაშე და ისევ დაიძინე...

თავის დაქნევით დაეთანხმა ჯუბა ცოლს.

ცხოველების ნიღბები ამოალაგა ყუთიდან და ყავა ხარბად მოსვა.

იანამ ბოლო ხმაზე შეჰკივლა:

— ცეცხლი აინთო...

— თამაში დაიწყოოო! — ბანი მისცეს დანარჩენებმა.

ჯუბას სახლიდან დათვის, თხის, მგლის, მამლის, ძაღლის ხმა ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, იანასა და ბავშვების კისკისი ცას სწვდებოდა, ცაზე კი მშვიდად დაცურავდნენ ღრუბლები და ნაირნაირ ფორმებს იცვლიდნენ..

ქანცმილეულმა ჯუბამ ძაღლის ნიღაბი აიფარა სახეზე და შვილს რომ უყვარდა, მამლის ხმაზე დაიყივლა...

— სინამდვილეში შენ იქნები თხა! — დაჭექეს ბავშვებმა.

— ვერ მოგართვით! — ისევ დაიყივლა ჯუბამ.

— მაშინ... მგელი!

— ამჯერადაც ვერ გამოიცანით. მორჩა, ბოლო მცდელობაა და მოგებული ვარ! — თქვა ჯუბამ და იქვე მოფუსფუსე ცოლს თვალი ჩაუკრა.

— დათვი! დათვი იქნები! — იხუვლეს ბავშვებმა.

— წააგეთ!

ბავშვები აბუზღუნდნენ...

— აუუ, ძაღლი ყოფილხარ... — შეიცხადა იანამ და სირბილი და ხტუნვა დაიწყო...

— ფრთხილად იყავი, არაფერი იტკინო, — დაუყვავა მამამ.

იანა თავისას აგრძელებდა, დახტოდა და კრიალა, მჭექარე ხმით გაჰყვიროდა — ძაღლი ყოფილხარ! ძაღლი ყოფილხარ!

ამ დროს ვერანდის კიდესთან მყოფ პატარას მოაჯირმა უმტყუნა და გასაქცევად ხელებგაშლილი იანა ძირს გადაიყოლა...

ჯუბა უგონოდ მიესვენა სკამზე.

ლორამ ხმამაღალი ტირილით შეძრა დედამიწა.

გონზე მოსული ჯუბა ხალხის დანახვაზე დაფრთხა — აქ მე რა მესაქმებაო — გაიკვირვა და წავიდა...

* * *

წავიდა ჯუბა და იმის მერე გაყინული მზერით დადის კარდაკარ, ღობე ყორეს უვლის. იშვიათად თუ ამოილუღლუღებს, ისიც ორ სიტყვას — „ძაღლი ყოფილხარ...“ ამ სიტყვებით შესჩივლებს ხოლმე გამვლელ-გამომვლელს, ნაცნობები უჩუმრად გაერიდებიან ხოლმე, უცხოები კი ბრაზობენ და ქვის სროლით ემუქრებიან... მხოლოდ ცოლი ჩაიბუტბუტებს ხოლმე მის სიტყვებზე, ძაღლი ვყოფილვარ, ძაღლიო და შეპარვით ეუბნება ქმარს:

— ჩემი შვილიც ხომ იყო, მეც ხომ ვდარდობ, მოდი სახლში, დავილაპარაკოთ, ღამით მაინც მოდი, მარტო მეშინია...

ჯუბა კი უთქმელად ტოვებს და მიდის...

რჩება უშველებელ სახლში გულგახეთქილი ლორა მარტო... ტირის და ტირის, ტირის და ტირის... მერე ღია ცის ქვეშ მოხეტიალე ქმარი ახსენდება და ცრემლებს იმშრალებს, ხავსს ეჭიდება. იქნებ როგორმე შემოვაბრუნოო — ფიქრობს და გამხმარ სახეს ბალიშში მალავს.

ზვიად კვარაცხელია

ერთი ცვლილება

წერედიანის ლორკამ ისეთივე აღიარება მოიპოვა, როგორც წერედიანის ვიიონმა, ერთი განსხვავებით — მთარგმნელი „ბოშური რომანსეროს“ აღიარებას ვერ მოესწრო. სიტყვა და ნაწერი უკვდავყოფს მის შემოქმედს, ამიტომ ნამდვილი პოეტის სიცოცხლე სხვაგვარად აღორძინდება ხოლმე, როცა ის არ არის ამქვეყნად და მისი პოეტური სამყარო კი თითოეული ჩვენგანის თანამდევად ქცეულა.

ლორკას „ბოშური რომანსეროს“ კორექტურა რომ მივიტანე წერედიანების ოჯახში, ბატონ დავითს, ტრადიციული პურობის შემდეგ, გამოსვლამდე ისიც ვუთხარი — სულ რამდენიმე კორექტურული და ტექნიკური წვრილმანია, სხვა ყველაფერი დიდებულადაა, მხოლოდ ერთი სიტყვა... ცოტა ისე მეჩვენება... იქნებ მაინც შეხედოთ.

„თვალიანად“ მიბრუნება თავის ნაწერნათარგმნთან დავით წერედიანს რომ შეეძლო, ისეთი სხვასთან ალბათ არც მინახავს — ზოგჯერ მთლიანად ცვლიდა და თუმცა უკეთეს ვერსიებს ქმნიდა, მაგრამ ისიც, ძველიც, ფასეული იყო და გენანებოდა.

„ის ერთი სიტყვა“ „სან მიგელში“ გავხაზე:

„გ ზებ ზე მზესუმზირის კვნეტით
ტურფები იწყებენ გოგმანს,
დიდ-დიდი ტრაკები ბნელში
სპილენძის პლანეტებს მოჰგავს “.

რამდენიმე დღის შემდეგ მანანა ღარიბაშვილმა დამირეკა, სადილზე მიმიწვია და სანამ სუფრას შემოვუსხდებოდით, ბატონმა დავითმა „ბოშური რომანსეროს“ კორექტურიანი ანაბეჭდი გამომიწოდა. „ის ერთი სტროფი“ ხმამაღლა წავიკითხე და სანამ გულიანად გავიცინებდი, წამით თვალი გავუსწორე დავით წერედიანის კვიმატ მზერას, სადაც სამეგრელოში დაბადებული და მეგრულის ბრწყინვალედ მცოდნე დიდი პოეტის ნოსტალგია და ის იუმორი/სილაღე ჩანდა, რაც მის მიერ თარგმნილ პოეზიაში მარგალიტივით ბრწყინავს:

„გ ზებ ზე მზესუმზირის კვნეტით
ტურფები იწყებენ გოგმანს,
დიდ-დიდი მუნდები ბნელში
სპილენძის პლანეტებს მოჰგავს “.

შემდეგი ნომერი გამოვა 2 სექტემბერს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004